

ახალი ივერია

ივნისი 2025
N.09

ბადრი ოყუჯავა
ბრძოლა მესსიერებით და
მესსიერების წინააღმდეგ

თენგიზ გოგოტიშვილი
გლობალური ვი-ჩუსი

ნანა კალანდაძე
“დრო იყო გაშინ ასეთი!”



ახალი ივერია

“ახალი ივერია” - საზოგადოებრივ პოლიტიკური ჟურნალი

გამომცემელი:

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

მთავარი რედაქტორი: ზაზა ბიბილაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ქეთი ქურდოვანიძე

დიზაინი: ანი გველესიანი

დაკაბადონება: ლაშა გაბელია

ნომერზე მუშაობდნენ:

შამილ შუგაევი

კოკა თოფურია

გიორგი ხარებავა

გიგა ჯოხაძე

© 2025 “ახალი ივერია”

ყველა უფლება დაცულია

ჟურნალი გამოიცემა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისთვის, საქართველოს
უნივერსიტეტისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

ტირაჟი 1000 ცალი

www.akhaliiveria.ge



ევროპის
ცენტრი

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი



FRIEDRICH NAUMANN
FOUNDATION For Freedom.
South Caucasus



Auswärtiges Amt



www.akhaliiveria.ge

”ჩვენმა მშობლებმა უზარმაზარი
ფასი გაიღეს ფაშიზმისა და
კომუნიზმის დასამარცხებლად. ჩვენი
თაობის ამოცანა 21-ე საუკუნის
ტოტალიტარიანიზმების დამარცხებაა.
გაუმარჯოს თავისუფალ უკრაინას, „
გაუმარჯოს დემოკრატიულ ევროპას!

კლოდ მალურე, ფრანგი სენატორი



სარჩევი

6

კატრინ ბანახი
საქართველო - გაუმართლებელი
ევროპის
პოლიტიკა



10

ბადრი ოყუჯავა
ბრძოლა მემკვიდრეობით და
მემკვიდრეობის წინააღმდეგ
მემკვიდრეობა და იდენტობა




14

თენგიზ გოგოტიშვილი
გლობალური ვი-რუსი
რუსული პროპაგანდა



22

თამარ ჩხეიძე
რუსული ნაპოვნებები
ქართულ საზოგადოებაზე
წამოქმედებისთვის
რუსული პროპაგანდა



26

ქეთი ქურდოვანიძე
ვინ მოკლა თავისუფლება
საზოგადოება



30

რიკარდო სილვესტრე
ხედვა აზრანობიდან
პოლიტიკა



33

გია ჯაფარიძე
შარტაძის არჩევანი

არჩევანი



38

მათე გულუა, რატი ტყემალაძე
ხახვი და სანახაობა

სტუდენტური სივრცე



43

გიორგი ფანიაშვილი
საზღო საუიქაღისთვის

პოლიტიკა



46

ვასილ ჟიჟიაშვილი
ჩეპესიული კანონები ხაღის
წინააღმდეგ

საზოგადოება



50

გიგი გიგინეიშვილი
ღისნის უუაქი

აფხაზეთი



55

ნანა კალანდაძე
“ღო იყო გაუინ ასეთი!”

აფხაზეთი



60

ირაკლი ლაითაძე
თანაგეგოვეობის იღუზია
ნაწილი 2: კოგოოგზის ზონიდან გასედა

საზოგადოება





კატრინ ბანაში

„ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი
თავისუფლებისთვის“ სამხრეთ
კავკასიის ოფისის ხელმძღვანელი



საქართველო – გაფრთხილება ევროკავსს

როდესაც საქართველოში 2022 წლის თებერვალში ჩამოვედი, მიზნად ვისახავდი გერმანიაში სამხრეთ კავკასიის რეგიონის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ევროპულ კონტექსტში ლიბერალური დემოკრატიის ხელშეწყობას. თუმცა ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენები მალე ასეთი საგანგაშო გახდებოდა, რადგან მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“, ზურგი შეაქცია თავის დასავლელ პარტნიორებს და უკრაინის წინააღმდეგ პუტინის სასტიკი ომის ფონზე ქვეყანა თავის ევროპულ მომავალს დააშორა.

საქართველოს დაღმასვლა ავტოკრატიისკენ

ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩემთვის ნათელი გახდა, რომ საქართველო სწრაფი და მიზანმიმართული ნაბიჯებით ავტოკრატიისკენ მიდის. ამ პროცესს საფუძველი ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, 2022 წლამდე, ჩაეყარა, როდესაც ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი გეგმაზომიერად ასუსტებდა დემოკრატიულ ინსტიტუტებს. თუმცა ეს პროცესი მაშინ დაჩქარდა, როდესაც

ევროკავშირმა საქართველოს წევრობის პერსპექტივა შესთავაზა. მთავრობამ პროდასავლური ნილაბი ჩამოიხსნა, და აღარც კი ცდილობს დემოკრატიული ღირებულებების გაზიარებას. დღეს, როგორც ჩანს, საქართველო, ავტოკრატიების რიგებში აპირებს ჩადგომას.

ამის ნიშნები აშკარაა. 2024 წლის ოქტომბერში, გაყალბებული არჩევნების შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ დაჩქარებული წესით მიიღო რეპრესიული კანონები, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ოპოზიციური ძალებისა და შეკრების თავისუფლების წინააღმდეგ. აღნიშნული კანონები არ ემსახურება სამართლიანობის ან ქვეყანაში სტაბილურობის უზრუნველყოფას. ეს კანონები არა კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მმართველობის, არამედ კანონებით მმართველობის ყველაზე უარეს მაგალითს წარმოადგენენ. იმავდროულად, ე.წ. მთავრობა აძლიერებს სიძულვილის ენას ყოფილი დასავლელი პარტნიორების წინააღმდეგ, აგრძელებს ისტორიის გადანერის მცდელობას რუსეთის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით და ცდილობს, განსხვავებული აზრი ღალატად წარმოაჩინოს.

გლობალური ტენდენცია: საქართველო „ავტოკრატიის გაერთიანების“ ანაკეხლია

საქართველოში მიმდინარე მოვლენები ბევრად ფართო ტენდენციის ნაწილია, რომელსაც ენ ეპელბაუმი თავის წიგნში „ავტოკრატიების გაერთიანება“ აღწერს: ეს არის თანამედროვე ავტოკრატიების არასტრუქტურირებული, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ქსელი, რომელშიც ისინი არა იდეოლოგიით, არამედ საერთო ინტერესებით არიან გაერთიანებულნი - თვითგადარჩენის, ქონების დაგროვებისა და ანგარიშვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით. ეს რეჟიმები ერთმანეთთან

თანამშრომლობენ, იზიარებენ ტექნოლოგიებს, ფინანსურ მხარდაჭერასა და სტრატეგიებს.

„ქართული ოცნება“ ზედმინევენით მორგებულია აღნიშნულ მოდელს. მისმა ხელმძღვანელობამ საკმაოდ ბევრი რამ გაიზიარა ავტორიტარიზმის სახელმძღვანელოდან: LGBTQI+ უფლებების შესაზღუდად მოიხსენიებს „ტრადიციულ საოჯახო ღირებულებებს“, უცხოური დაფინანსების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებზე

ეს კანონები არა კანონის
უზენაესობაზე დაფუძნებული
მმართველობის, არამედ
კანონებით მმართველობის
ყველაზე უარეს მაგალითს
წარმოადგენენ.

თავდასახმელად იყენებს „ეროვნულ სუვერენიტეტს“, ხოლო „გამჭვირვალობას“ დამოუკიდებელი მედიის დისკრედიტაციის იარაღად აქცევს. ამგვარი ტაქტიკა შეიძლება შიდასახელმწიფოებრივ მოვლენად მოგეჩვენოთ, მაგრამ ის ზედმინევენით იმეორებს მოსკოვიდან ბუდაპეშტამდე და პეკინამდე გამოყენებულ სტრატეგიებს. რუსული სტილის ნარატივები - ოჯახზე, სუვერენიტეტზე, სტაბილურობასა და „დიფ სტეიტზე“ - აქტიურად და ხმამაღლა ჟღერდება „ქართული ოცნების“ მიერ.

გაეოქსილი ეპოქაუმი: თბილისიდან ბეკლინამდე

საქართველოში არსებული ვითარება განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ის დასავლურ სამყაროში მიმდინარე მოვლენების სარკისებურ ანარეკლს წარმოადგენს. იმავე ნარატივებს - უცხოური ჩარევის, ტრადიციული ღირებულებებისა და ეროვნული იდენტობის დაკნინების შესახებ - სულ უფრო ხშირად

ახმოვანებენ ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების ულტრამემარჯვენე პარტიები. შესაძლოა, რომ „ქართული ოცნება“ ოცნებობს ისეთ ევროკავშირზე, რომელიც ამგვარი არალიბერალიზმისკენ მიექანება.

ავტოკრატია ყოველთვის ტანკებით არ მოდის. ზოგჯერ ის ჩუმად შემოიპარება

**ავტოკრატია ყოველთვის
ტანკებით არ მოდის. ზოგჯერ
ის ჩუმად შემოიპარება ხოლმე
ლოზუნგებით, გამოძიებებითა
და ღია საზოგადოებაზე
გათვლილი თავდასხმებით.**

ხოლმე ლოზუნგებით, გამოძიებებითა და ღია საზოგადოებაზე გათვლილი თავდასხმებით. საქართველოს მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, თუ საით მიემართება ამგვარი ლოგიკა. ის, რაც პოლიტიკური გზავნილით იწყება, შემდგომ პოლიტიკად მკვიდრდება; ის, რაც განტევების ვაცისძიებით იწყება - რეპრესიებით მთავრდება. საქართველო წარმოადგენს პრიზმას, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია დავინახოთ, თუ საით იხრება არალიბერალიზმის ტრაექტორია სხვა ქვეყნებში.

გეგანაელაბისთვის აგვარი ნიუნახი ნაცნობია

ჩვენ არ შეგვიძლია ყოველივე ამას თვალყური ვადევნოთ ჩვენი საკუთარი წარსულის გახსენების გარეშე. სულ რაღაც ერთი საუკუნის განმავლობაში, გერმანიამ ორი ავტორიტარული რეჟიმი გამოიარა და თითოეულს დამანგრეველი შედეგები მოჰყვა. ქართველებმაც დაძლიეს საბჭოთა ავტორიტარიზმი და გაბედეს დემოკრატიულ მომავალზე ფიქრი. დღეს ჩვენი გაერთიანების საფუძველი უნდა იყოს არა მხოლოდ საერთო პოლიტიკური მიზნები, არამედ საერთო ხედვა: ღია საზოგადოება, ადამიანის ღირსება,

პლურალიზმი, მშვიდობა და ჩაგვრისადმი, კორუფციისა და ომის მიმართ საერთო შიში.

დადგასვლა დრეკადეზა

თვეების განმავლობაში ქართველები ქუჩებში გამოდიან მზარდი ავტორიტარიზმის გასაპროტესტებლად. მათი გზავნილი ნათელია: ეს არ არის ის მომავალი, რომელიც მათ სურთ. თუმცა ე.წ. მთავრობა შეუვალი რჩება. კანონები მკაცრდება, მედია იდევენება და სამოქალაქო საზოგადოებას ეპყრობიან, როგორც მტერს. დემოკრატიის ენა შენარჩუნებულია - მაგრამ მხოლოდ, როგორც ნიღაბი. ჯერ კიდევ ბევრისთვის სანუკვარი ევროპული მომავლის ხედვა, სულ უფრო მეტად ბუნდოვანი ხდება. მის ნაცვლად ჩნდება სისტემა, რომელიც აგებულია არა კონსენსუსზე ან უფლებებზე, არამედ ლოიალობაზე, შიშსა და კონტროლზე. ეს არ არის დემოკრატიის ქართული ვერსია - ეს არის დეზინფორმაციაზე აგებული რეპრესიული მმართველობის კარგად გააზრებული სისტემა.

**ეს არ არის დემოკრატიის
ქართული ვერსია - ეს არის
დეზინფორმაციაზე აგებული
რეპრესიული მმართველობის
კარგად გააზრებული სისტემა.**

რატომ აგრძელებს ე.წ. მთავრობა ამ გზით უკუსვლას? ეს ძალაუფლების დაკარგვის შიშია? რუსეთის მხრიდან ზეწოლა? ჩვენ ვერასდროს გავიგებთ სრულ სიმართლეს, რადგან გადაწყვეტილებებს იზოლირებული ელიტა იღებს, გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გარეშე, რომლისთვისაც დემოკრატიის ნგრევის მანდატი არავის მიუცია. რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილებები საშიშია ხალხისთვის, რადგან ისინი მხოლოდ რამდენიმე ადამიანის ინტერესს ემსახურება. თუმცა ასეთი გადაწყვეტილებები იზოლირებული



ელიტისთვისაც საკმაოდ სახიფათოა, რადგან სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი ადამიანი არასაკმარისად იყოს ინფორმირებული და მთლად კარგად არ დაფიქრდეს ისეთი გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელიც გავლენას მოახდენს მთელ ქვეყანაზე. არასწორმა გადაწყვეტილებებმა უკვე დაამხო ბევრი დიქტატორი.

როგორც ენ ეპელბაუმი წერს თავის ზემოხსენებულ წიგნში, „ავტორიტარიზმი არ არის უბრალოდ მმართველობის კიდევ ერთი ფორმა - ეს არის პოლიტიკის უარყოფა“. ის დაფუძნებულია პოლიტიკურ აპათიაზე, ანუ იმაზე, რასაც საქართველოში ნიჰილიზმს უწოდებენ. და მიუხედავად იმისა, რომ ნიჰილიზმი შესაძლოა იზრდება, სამოქალაქო ჩართულობა საქართველოში მაინც ძალიან მაღალ დონეზე რჩება. საქართველოში მუშაობის განმავლობაში მე ვიხილე ძალიან შთამბეჭდავი ინტელექტუალური სულისკვეთება და საკმაოდ მტკიცე, პროაქტიული და დემოკრატიული ღირებულებებისკენ უაღრესად ერთგული სწრაფვის სურვილი. ამგვარი ქართული ლიბერალიზმი აღმაფრთოვანებს და იმედს მისახავს, რომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დემოკრატია საბოლოოდ გაიმარჯვებს. ■





ბადრი ოყუჯავა



რა უნდა გვასწავდეს?

„ახალი ივერიის“ ბოლო ნომერში ისტორიული მეხსიერებისა და თანამედროვე საქართველოში არსებული საარქივო პოლიტიკის შესახებ ორი სტატია გამოქვეყნდა. პირველი სტატიის ავტორი საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი და ჩემი კოლეგა - დავით ხვადაგიანია, მეორე კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ისტორიკოს ტიმოთი ბლაუველტს ეკუთვნის. ორივე ავტორი ხაზს უსვამს, რომ უახლესი წარსული და ამ წარსულის საფუძვლიანი კვლევა წინააღმდეგობაშია მმართველი ძალის ინტერესებთან. მეტიც, მოქმედი ხელისუფლება

ბოლო წლების მანძილზე ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობს დაამახინჯოს ან კოლექტიური მეხსიერებიდან გააქროს უახლეს წარსულში მომხდარი ის მოვლენები, რომლებიც ქართველი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას უკავშირდება.

ბრძოლა მეხსიერებით და მეხსიერების წინააღმდეგ

უსაფუძვლოდ ზღუდავს ყოფილი კგბ-სა და კომუნისტური პარტიის ცენტრალურ არქივებზე წვდომას. შემთხვევითი არც ისაა, სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოებში წლიდან წლამდე რომ მცირდება უახლეს წარსულთან დაკავშირებული გვერდების რაოდენობა და ამ გვერდების ადგილს შუა საუკუნეებში ან უფრო ადრე მომხდარი მოვლენები იკავებს. ნათელია, რომ ბოლო წლების მანძილზე ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობს დაამახინჯოს ან კოლექტიური მეხსიერებიდან გააქროს უახლეს წარსულში მომხდარი ის მოვლენები, რომლებიც ქართველი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას უკავშირდება.

1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაცია, 1924 წლის ანტისაოკუპაციო ეროვნული აჯანყება, წითელი ტერორი, 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი დარბევა, 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალება, აფხაზეთის ომი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი - ყველა ამ მოვლენაში უნდა გაქრეს, მინიმუმ კი უნდა გაფერმკრთალდეს რუსეთის, როგორც მტრის, როლი. რატომ? პასუხი მარტივია. იმიტომ, რომ ბოლო 240 წლის მანძილზე ქართველი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი განვითარების ერთადერთი მტერი რუსეთი

იყო და დღემდე ასეთად რჩება, „ქართული ოცნებისთვის“ კი რუსეთი მტერი არ არის.

ამ სტატიის შიგნით გამოვკვეთო, თუ რა როლი აქვს კოლექტიურ მეხსიერებას ავტორიტარულ რეჟიმებთან ბრძოლაში, რა გვაჩვენა გასულმა წლებმა და როგორ მიმდინარეობს ისტორიული ნარატივებით ბრძოლა ფიზიკურ თუ ციფრულ სივრცეებში.

თუ მტერი არ გყავს, მისი გამოგონება გინევსო, მოსწრებულად აღნიშნავს უმბერტო ეკო მის ცნობილ ესეში „მტრის ხატის შექმნა“. მართლაც, ისტორიის მანძილზე, სახელმწიფოები მუდმივად უპირისპირდებოდნენ რეალურ თუ გამოგონილ მტრებს და ქმნიდნენ ამბებს ამა თუ იმ მტერთან წარმატებული თუ წარუმატებელი ბრძოლების შესახებ. საინტერესოა, რომ ეკოს მიხედვით, მტერს უნდა ებრძოლო, მაგრამ აუცილებელი არ არის დაამარცხო, ამიტომ ყველა



ავტორიტარ მმართველსა და დიქტატორს ძალიან უყვარს გამოგონილ მტერთან მუდმივი ბრძოლა. მეტიც, ხშირად ასეთი მმართველები სწორედ გამოგონილ მტრებთან ბრძოლით ინარჩუნებენ ძალაუფლებას. გამოგონილ მტერთან ბრძოლას არ სჭირდება გამბედაობა და სიმამაცე, არც ბევრი ტყვია-წამალი, ასეთ მტერთან ბრძოლაში აუცილებელი იარაღი არის პროპაგანდა და დეზინფორმაცია. ასე შექმნა „ქართული ოცნების“ რეჟიმმა შეთქმულების თეორია გლობალური ომის პარტიისა და მის უკან მდგომი Deep State-ის შესახებ, რომელმაც კოლექტიურ მეხსიერებაში რუსეთის მტრის ხატი უნდა ჩაანაცვლოს.

გამოგონილ მტერთან ბრძოლას არ სჭირდება გამბედაობა და სიმამაცე, არც ბევრი ტყვია-წამალი, ასეთ მტერთან ბრძოლაში აუცილებელი იარაღი არის პროპაგანდა და დეზინფორმაცია.

საოცნებო სოციალური ანეკდოტი

საგარეო კურსის მკვეთრი ცვლილების, რუსულ თარგზე მოჭრილი კანონების, არჩევნების მოპარვის, მოქალაქეებზე უპრეცედენტო ძალადობისა და დასავლეთთან მუდმივი კონფრონტაციის ფონზე, „ქართულმა ოცნებამ“ დამსახურებულად მიიღო რუსული რეჟიმისა თუ რუსული ოცნების სახელი. პროპაგანდისტული მედია მალევე გადაერთო პროდასავლური კურსის კრიტიკის სტრატეგიაზე, „ოცნების“ წარმომადგენლები კი სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებდნენ ერეკლე მეორეს, როგორც პრაგმატული საგარეო პოლიტიკის მქონე ლიდერსა და ასეთი პოლიტიკის სიმბოლოს. ერთი სიტყვით, „ოცნებამ“ საკუთარი მოტივაციების პროდასავლური საბურვლით შეფუთვა შეწყვიტა და ბოლომდე შეიფერა რუსული რეჟიმის სახელი.

„საქართველოში 1921 წლის სცენარი არ განმეორდა და ეს არის საქართველოს ხელისუფლების დამსახურება“ - 25 თებერვალს, საბჭოთა რუსული ოკუპაციის დღეს განაცხადა „ოცნების“ პრემიერმა კობახიძემ. „9 აპრილი არის დღე, როდესაც უცხოურმა ძალამ განახორციელა ძალადობა ჩვენი თანამოქალაქეების წინააღმდეგ“ - ორი კვირის შემდეგ კობახიძე 9 აპრილის შესახებ

საგარეო კურსის მკვეთრი ცვლილების, რუსულ თარგზე მოჭრილი კანონების, არჩევნების მოპარვის, მოქალაქეებზე უპრეცედენტო ძალადობისა და დასავლეთთან მუდმივი კონფრონტაციის ფონზე, „ქართულმა ოცნებამ“ დამსახურებულად მიიღო რუსული რეჟიმისა თუ რუსული ოცნების სახელი.

სოციალური ამნეზიის „ოცნებისეული“ მოდელი დავიწყებასა და დამახინჯებას შორის მოძრაობს და ძირითად მიზნად სწორედ რეალობის გაბუნდოვანებას ისახავს.

არსებული ნარატივის ამოტრიალებას ცდილობს, სადაც რუსეთის ადგილს „უცხოური ძალა“ იკავებს. „ყველა ბავშვს ჭირდება თავისი მშობელი სახლში და არა უაზროდ განწირული ვიდაცის პიარისთვის“ - ასე აფასებს რეჟიმის კიდევ ერთი სახე, თეა წულუკიანი, 2008 წლის ომში დაღუპული ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის მსხვერპლს.

„ქართული ოცნების“ მიერ წარმოსახულ მეხსიერების მოდელში, ერთადერთი ძალა, რომელსაც რუსეთთან ომის არიდება შეუძლია, თავად „ოცნებაა“. რაც 1921 წელს, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა ვერ აირიდეს თავიდან, „ოცნებამ“ აირიდა; 9 აპრილის სისხლისღვრა „უცხოური ძალის“ ხელით მოხდა, ხოლო სამშობლოს დასაცავად სიცოცხლის გაწირვა სულაც არ არის საჭირო. ისტორიის გადანერისა და წარსულის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის მსგავსი მცდელობები სოციალური ამნეზიის მაგალითებია. სოციალური ამნეზია, როგორც კოლექტიურ მეხსიერებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, აქტიურად გამოიყენებოდა მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე ტოტალიტარული რეჟი-



მების, მათ შორის საბჭოთა კავშირის მიერ. სოციალური ამნეზიის „ოცნებისეული“ მოდელი დავიწყებასა და დამახინჯებას შორის მოძრაობს და ძირითად მიზნად სწორედ რეალობის გაბუნდოვანებას ისახავს.

ბასსენაბა დავიწყების წინააღმდეგ

„ჩემი 37 წლის სამსახური მე მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას“ - კათალიკოს პატრიარქ ამბროსი ხელაიას ეს ცნობილი სიტყვები მის გამოსახულებასთან ერთად გასული წლის გაზაფხულზე გამოჩნდა თბილისის ქუჩებში. ანტისახელისუფლებო, პროდასავლური საპროტესტო აქციების პარალელურად, თბილისის ქუჩებში, სხვადასხვა დაწესებულების კედლებზე, ჩნდებოდა სტენსილები მარო მაყაშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ამბროსი ხელაიასა და გიორგი ანწუხელიძის გამოსახულებებით. არცერთ საპროტესტო მსვლელობას არ ჩაუვლია საქართველოს რესპუბლიკის სამფროვანი დროშების გარეშე და სიტყვით გამომსვლელებიც სულ უფრო ხშირად ახსენებდნენ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელებს. მეტიც, 25 თებერვალს, ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი ანტისახელისუფლებო მარშები ვალიკო ჯუღელისა და მარო მაყაშვილის სახელებს ატარებდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა რუსული საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ 100 წლის წინ მებრძოლი გმირები საზოგადოების მოთხოვნით, სიმბოლურად, ხალხს ისევ ჩაუდგნენ სათავეში. მსვლელობებზე გამოჩნდა გენერალ კოტე აფხაზის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ჟიული შარტავას გამოსახულებები. არც „ოცნების“ მხრიდან ანწუხელიძეზე თავდასხმას ჩაუვლია უპასუხო. მორიგი ანტისახელისუფლებო პროტესტის შემდეგ, უკვე პარლამენტის შენობის ფასადზე გაჩნდა წარწერა „ანწუხელიძე გმირია“. რამდენიმე კვირის გასვლის მიუხედავად, დასუფთავების სამსახურმა ვერ გაბედა პარლამენტის შენობის კედლიდან ამ წარწერის წაშლა.



შეიძლება ვთქვათ, რომ ძალაუფლების უზურპატორთა მხრიდან ერის კოლექტიურ მეხსიერებაში უხეშმა ჩარევამ, ისტორიული ფაქტების დამახინჯებამ და დავიწყებამ, რაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცვლილების პარალელურად ხდებოდა, სამოქალაქო საზოგადოებაში საპირისპირო პროცესს - გახსენებასა და ეროვნული წინააღმდეგობის შესახებ არსებული მეხსიერების რეაბილიტაციას მისცა დასაბამი.

თუმცა სანამ ფიზიკურ სივრცეებსა და პროტესტზე გამოჩნდებოდნენ, ეროვნული გმირები თუ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერები კვლევებსა და წიგნებში, მოგვიანებით კი სოციალურ ქსელებში გამოჩნდნენ. პოპულარულ ენაზე მათ შესახებ

უზურპატორთა მხრიდან ერის კოლექტიურ მეხსიერებაში უხეშმა ჩარევამ, ისტორიული ფაქტების დამახინჯებამ და დავიწყებამ, რაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცვლილების პარალელურად ხდებოდა, სამოქალაქო საზოგადოებაში საპირისპირო პროცესს - გახსენებასა და ეროვნული წინააღმდეგობის შესახებ არსებული მეხსიერების რეაბილიტაციას მისცა დასაბამი.

გადმოცემულმა ამბებმა საზოგადოების დიდ ჯგუფებამდე მიაღწია, რამაც კრიტიკულ მომენტში მათი კოლექტიურ მეხსიერებაში დაბრუნება ნაახალისა. ცხადია, სოციალურ ქსელებშიც შეიქმნა პარალელური, ალტერნატიული ნარატივები, რომლებიც, ერთი მხრივ, რუსეთის დებინფორმაციულ

ნაკადებს, მეორე მხრივ „ოცნებისა“ და სხვა პრორუსული ჯგუფების გზავნილებს ავრცელებდნენ. მოულოდნელი არ არის, რომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მეხსიერებას ასეთმა ჯგუფებმა სტალინის სახე-ხატი დაუპირისპირეს. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელებში, განსაკუთრებით კი ფეისბუქის, ტიკ-ტოკისა და იუთუბის პლატფორმებზე, სწორედ სტალინის პერსონა და „ზასტოის“ პერიოდის საბჭოთა საქართველოს სენტიმენტი წამყვანი ალტერნატიული ნარატივი.

ისტორიის უხეში რევიზია საზოგადოებაში პროტესტისა და ამ პროტესტის გზით ახალი ტიპის კოლექტიური მეხსიერების შექმნის საფუძველი ხდება.

დასასრულს, შევაჯამოთ და კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი სტატიის მთავარ სათქმელს: ერის კოლექტიური მეხსიერება შეიძლება მუდმივად იყოს მანიპულაციის ობიექტი. რევიმები არასდროს ერიდებიან მასში უხეშ ჩარევას და თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამისად ცვლიან, ან ცდილობენ რომ შეცვალონ წარსული. ისტორიული ნარატივებით ბრძოლა, დავიწყება და გახსენება, რთული სოციალური პროცესებია და პოლიტიკურ რეალობასთან არის გადაჯაჭვული. „ქართული ოცნების“ მიერ ისტორიის გადანერა და უახლეს წარსულში მომხდარი გარდამტეხი მოვლენებიდან რუსეთის, როგორც მტრის ხატის გაქრობა, სწორედ ამ პროცესების ნაწილია. ნიშანდობლივია, რომ ისტორიის უხეში რევიზია საზოგადოებაში პროტესტისა და ამ პროტესტის გზით ახალი ტიპის კოლექტიური მეხსიერების შექმნის საფუძველი ხდება. არქივებზე წვდომის შეზღუდვისა თუ სხვა ტიპის არადემოკრატიული ბერკეტების გამოყენების მიუხედავად, ძალაუფლებაში მყოფი ჯგუფის მცდელობა, არსებითად შეცვალოს წარსული და ამ გზით ზემოქმედება მოახდინოს აწმყოში მიმდინარე პროცესებზე, დიდწილად წარუმატებელია. ■



თენგიზ გოგოტიშვილი



გლობალური ვი-კუსი

პედოგოგებისა და პედაგოგების პედ... ჰიბრიდული ომი

„მოსკვიჩი“? - არა, ეგ ქარხნიანად მოპარული „ოპელა“.

„ლადა“? - არა, „ფიატა“. მხოლოდ დასაწყისში ლიცენზირებული.

„ვოლგა“? - არც ეგ. ჯერ „ფორდი“ მოიპარეს, შემდეგ - „პლიმუტი“.

კოსმოსური რაკეტები? - უი, ეგენი ნაცისტების ნახაზებითა და ტყვე კონსტრუქტორებით დაიწყეს.

იხევე, როგორც „კალაშნიკოვი“. უბრალოდ გადაშუშეს.

აბა, რაღაა რუსული ტექნოლოგია? არსებობს კი საერთოდ?

არსებობს!

აქამდე იყო მხოლოდ კრემლში გამოფენილი „მეფე-ზარი“, რომელსაც არასდროს დაურეკავს.
და „მეფე-ზარბაზანი“ იმავე კრემლიდან, რომელსაც არასდროს გაუსვრია.

ახლა კი ნამდვილად ახალი ამბავია - მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდული ომის ელემენტებს კაცობრიობა ათასწლეულების განმავლობაში იყენებდა, სრულყოფილი ბრძოლის ფორმად ის სწორედ რუსმა „შეკრა“. მართალია, ამაშიც ედავებიან, მოიპარეო, მაგრამ ეს ახლა არაა მთავარი. ფაქტია, რომ რუსმა პოლიტიკად აქცია ჩვენებური „სამი ჩ-ს“ დეფინიცია. ისეთები ჩაიფიქრა და გააკეთა, რაც სტანდარტულ დასავლურ გონს აზრადაც არ მოუვიდოდა. და ამისთვის ისევ დასავლური მიღწევები გამოიყენა - ტექნოლოგია და დემოკრატია.

თებერვლის ბოლოს ბუქარესტში პოლიციამ გააჩერა მანქანა, გადმოიყვანა მისი მგზავრი და დაკითხვაზე წაიყვანა. ყოველდღიურობად ჟღერს, თუ არ გავითვალისწინებთ მთავარ გარემოებას - ის მგზავრი დღეს შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტი ყოფილიყო. წინა პრეზიდენტს რომ არჩევნების პირველი ტურის შედეგი არ გაუქმებინა. როგორც თქვა, უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

კალინ ჯორჯესკუ რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ გაუშვეს, მაგრამ გამოძიება გაგრძელდა. დაპატიმრებულები არიან მისი თანამებრძოლები და პირადი მცველები, ჩხრეკის დროს ნაპოვნია ასობით ათასი დოლარი და... მოსკოვის ბილეთები. ეს ბოლო ამბავი ცოტა ხელოვნურს ჰგავს, თუმცა პირდაპირ მიაჩნია, საით მიდის გამოძიება - რუმინეთის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის დამტკიცებისკენ.

„გვჯერა, ცუდია, როცა რუსეთი სხვა ქვეყნის მედიაში საარჩევნო რეკლამას ყიდულობს და არჩევნებზე ზემოქმედებას ცდილობს“ - მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ვენსმა ამ საქმეს საგანგებო დრო დაუთმო. „მაგრამ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ თქვენი დემოკრატია რამდენიმეათასდოლარიანი ციფრული რეკლამით შეიძლება ჩამოიშალოს, მაშინ ის ვერ ყოფილა საკმარისად ძლიერი“.

ტრამპის ადმინისტრაციას რომ სიმპათიები შეიძლება ჰქონდეს ულტრამემარჯვენე ჯორჯესკუს მიმართ, გასაკვირი არაა. მაგრამ ნამდვილად

გასაკვირია, რომ ამომრჩევლისთვის დიდწილად უცნობმა პედოლოგმა (ფარცავი არაფერი იფიქროთ - პედოლოგია ნიადაგმცოდნეობის განხრაა. იმ კაცს ისიც ეყოფა, ახლა რომ საერთოდ მოხსნეს არჩევნებიდან და მის საქმეს იძიებენ) არჩევნების პირველი ტური მოიგო.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდული ომის ელემენტებს კაცობრიობა ათასწლეულების განმავლობაში იყენებდა, სრულყოფილი ბრძოლის ფორმად ის სწორედ რუსმა „შეკრა“.

ახსნა მხოლოდ ტექნოლოგიებშია. ძირითადად ტიკ-ტოკში, სადაც არჩევნებამდე ორი თვით ადრე ჯორჯესკუს მხარდამჭერი 20 ათასზე მეტი ტროლი გაჩნდა. მათ უმრავლესობას ჰქონდა თურქული IP და ელექტრონული ფოსტის რუსული მისამართი. გამოძიებამ დათვალა, რომ ტროლების ფაბრიკამ პედოლოგ კანდიდატს ერთ თვეში 2.1 მილიონი კომენტარი მიუძღვნა, სულ ერთმანეთზე დადებითი, კარგი და კეთილი; რომ „ლაიქების“ (მოწონებების) რაოდენობა 4.3 მილიონზე ავარდა; ნახვების რაოდენობა - 150 მილიონამდე დარომმთელი კამპანია, საბოლოო ჯამში, რუმინეთის გარედან იმართებოდა. ისეთ დროში ვცხოვრობთ, დაზუსტებაც არაა საჭირო, ეს „გარეთ“, კონკრეტულად, სადაა.

გამოძიებამ დათვალა, რომ ტროლების ფაბრიკამ პედოლოგ კანდიდატს ერთ თვეში 2.1 მილიონი კომენტარი მიუძღვნა, სულ ერთმანეთზე დადებითი, კარგი და კეთილი; რომ „ლაიქების“ (მოწონებების) რაოდენობა 4.3 მილიონზე ავარდა; ნახვების რაოდენობა - 150 მილიონამდე და რომ მთელი კამპანია, საბოლოო ჯამში, რუმინეთის გარედან იმართებოდა.

რომელ ქვეყანას შეიძლება სურდეს რუმინელი ულტრამემარჯვენე კანდიდატის გამარჯვება, რომელიც ღიად გამოდის უკრაინის დახმარებისა

და ნატოს წინააღმდეგ, სამაგიეროდ, აქებს პუტინს. ან რომელი ქვეყანა შეიძლება იყოს დაინტერესებული, მაგალითად, სერბეთის არჩევნებზე ზემოქმედებით, რათა იქ პუტინის მოკავშირის, ვუჩიჩის, პარტიამ შეინარჩუნოს ძალაუფლება?

„სერბეთის უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები საგრძნობლად გაყალბდა. ხელახალი არჩევნების დანიშვნას ვერ მივალწით, თუმცა დასავლეთის მხარდაჭერით დავიწყეთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. ბოლო არჩევნებზე, 2023 წლის დეკემბერში, ხელისუფლების პროპაგანდა ძირითადად აგებული იყო ომის საფრთხეზე. სულ ასე ხდება. როგორც კი საზოგადოება აძლიერებს ზეწოლას მთავრობაზე, ხელისუფლების კონტროლირებადი ტელევიზიები და სხვა მედიები იწყებენ ყვირილს, რომ სერბეთი დგას ომის განახლების საფრთხის წინაშე.“

სწორ პასუხს კვლევისა და გამჭვირვალობის ცენტრის, CRTA დირექტორი, რაშა ნედელნიკოვი გიკარნახებთ: „სერბეთის უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები საგრძნობლად გაყალბდა. ხელახალი არჩევნების დანიშვნას ვერ მივალწით, თუმცა დასავლეთის მხარდაჭერით დავიწყეთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. ბოლო არჩევნებზე, 2023 წლის დეკემბერში, ხელისუფლების პროპაგანდა ძირითადად აგებული იყო ომის საფრთხეზე. სულ ასე



რაშა ნედელნიკოვი - კვლევისა და გამჭვირვალობის ცენტრის, CRTA, დირექტორი

ხდება. როგორც კი საზოგადოება აძლიერებს ზეწოლას მთავრობაზე, ხელისუფლების კონტროლირებადი ტელევიზიები და სხვა მედიები იწყებენ ყვირილს, რომ სერბეთი დგას ომის განახლების საფრთხის წინაშე. რომ, მმართველი ძალა თუ შეიცვლება, კოსოვო, ალბანეთი, ხორვატია, ბოსნიელი მუსლიმები დაგვესხმებიან თავს“.

სერბეთის პრეზიდენტი, ვუჩიჩი, დღევანდელი ინფორმაციით, დაესწრება 9 მაისის სამხედრო აღლუმს მოსკოვში. სადაც, ასე თუ გაგრძელდა, იქნებ კიდევ ერთი ერთმორწმუნე ქვეყნის უზურპატორ ლიდერებს შეხვდეს, რომლებიც ასევე რუსული ფსბ-ს სახელმძღვანელოთი მართავენ ქვეყანას - „მეორე ფრონტი“, „ევროპა საფრთხეა“, „ნატოს ომი უნდა“, „მართლმადიდებლობას ებრძვიან“, „იდეტობას გვართმევნ“, „პუტინი, როგორ შეიძლება, იყოს მტერი“ და სხვანი.

ჩვენ გვგონია, რომ კარგად ვიცნობთ რუსეთს. გვგონია, რომ ზედმინევნით გვაქვს შესწავლილი ფსბ-ს ყველა ხრიკი, რაკი ყველაფერი, თუ ოდნავ დააკვირდები, მარტივად დასანახი და დასაკავშირებელია. ოღონდ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთი არც მუშაობის მეთოდებს იცვლის, არც ზნესა და არც ფერს, ევროპიდან ლათინურ ამერიკამდე, გნებავთ - აფრიკამდე. სადღაც გამოსდის, სადღაც - ფლავდება, სადღაც - საერთოდ შილაფლავდება.

“2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ქვეყანაში გამოჩნდა რუსების დიდი ჯგუფი“, გვიყვება მადაგასკარელი გამომძიებელი ჟურნალისტი, გაელ ბორჯია. „გამოაცხადეს, რომ იყვნენ არჩევნებისა და კომუნიკაციების სპეციალისტები, გახსნეს ოფისი და დაიწყეს კანდიდატებთან მუშაობა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ მთელი გუნდი „ვაგნერის“ დამფუძნებლის, ევგენი პრიგოჟინისა იყო. დიდი ფული ჩამოიტანეს, შავი ფული. 36 კანდიდატიდან დაახლოებით მესამედზე გავიდნენ და შეუთანხმდნენ, რომ მეორე ტურში ყველა დანარჩენის ხმას მათ შორის გამარჯვებული მიიღებდა. გათვლა ჰქონდათ, რომ გაიმარჯვებდა მაშინდელი პრეზიდენტი, რაც აფრიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ შეცდნენ. მან წააგო. რუსებმა წააგეს“.

მოქმედ პრეზიდენტსა და ერთ დუჟინ სხვა კანდიდატს რომ გადაიბირებ და მაინც წააგებ, დასაკვებნი ბევრი არაფერი გაქვს. თან ამ ყველაფერში მილიონებს რომ ჩაყრი. BBC-ს გამოძიებაში კანდიდატები და მათი შტაბების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ რუსები მათთან პირდაპირ ფულით სავსე ჩემოდნებით მიდიოდნენ და ყველაფერს საკუთარ თავზე იღებდნენ. მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელი



გაელ ბორტია - გამომძიებელი ჟურნალისტი

იყო პოლიტექნოლოგი მაქსიმ შუგალეი. მადაგასკარიდან მაშინ კი გაასწრო, მაგრამ არ მოიშალა და 2024 წელს თავის „გუნდთან“ ერთად ჩადში დააპატიმრეს.

გიჩნდებათ კითხვა, რუსის თვალში, რამდენად ახლოს ვართ შორეულ აფრიკულ კუნძულთან?

„რუსების მოთხოვნით, მათი კანდიდატების მთავარი მიმართულება ანტიდასავლური უნდა ყოფილიყო - ასე უნდა გაემარჯვათ არჩევნებში.“ - აგრძელებს გაელ ბორტია. „უფრო - ანტიფრანგული, რაკი მადაგასკარი საფრანგეთის ყოფილი კოლონიაა. ამის გამოყენება რუსებმა აქტიურად სცადეს. საელჩოსთან მომიტინგეებიც კი მიიყვანეს და აყვირეს. მათაც ფული გადაუხადეს. ყველაფერთან ერთად, ჰქონდათ ეკონომიკური ინტერესიც - ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდება“.

ფულით სავსე ჩემოდნები და „დასავლეთი ქიხია“-ს ძახილი თუ აფრიკაში მუშაობს, იქნებ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც იმუშაოს? მით უფრო, რომ ოკუპირებული დნესტრისპირეთიდან ფულით სავსე ჩემოდნების შეტანა უფრო მარტივია. ასე დახარჯა რუსეთმა, სულ ცოტა, 100 მილიონი ევრო მოლდოვას საპრეზიდენტო არჩევნებზე შემოდგომაზე. ეს რაც დათვლილია

რუსეთი არც მუშაობის მეთოდებს იცვლის, არც ზნესა და არც ფერს

- ნაწილობრივ პოლიციის მიერ „ქეშად“ აღმოჩენილი ოპოზიციონერთა შტაბებში. თუმცა ძირითადი ნაწილის დახარჯვა-დარიგება მაინც მოასწრეს. ან, პირდაპირი მნიშვნელობით, ჰაერში გაანიავეს - რუსებმა იმდენად მოინდომეს მაია სანდუს დამარცხება, რომ თავისთან მცხოვრები ათასობით მოლდოველი რუსეთიდან სტამბოლში, სტამბოლიდან ბუქარესტში გადააფრინეს, შემდეგ კი ავტობუსებით ჩაიყვანეს მოლდოვაში, რომ ხმა მიეცათ და უკან იმავე გზით წამოსულიყვნენ.

და რამდენად შორს ვართ მოლდოვასგან, რომელიც ძალიან ახლოსაა?

ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებით, რომელიც არჩევნების მეორე ტურის შემდეგ გასაჯაროვდა, რუსეთმა ყველაფერი გააკეთა სანდუს დასამარცხებლად და რეფერენდუმის ჩასაშლელად (ევროკავშირის წევრობის, როგორც საკონსტიტუციო ვალდებულების, დადგენა - თ.გ.). და ყველაფერს გააკეთებს, რომ სანდუ და პროევროპელები დაამარცხოს საპარლამენტო არჩევნებზე, 2025 წლის მაის-ივნისში რომ უნდა ჩატარდეს. მთავარ ინსტრუმენტად იყენებენ ოლიგარქ ილან შორს, რომელიც მოლდოვურ სასამართლოს რამდენიმე წელია, მოსკოვში ემალება. სწორედ ილან შორია შუაკაცი მოლდოვაში კრემლის ფულის ჩასატანად და დასარიგებლად.

მოლდოვამ, ჩვენი არ იყოს, საბჭოეთიდან ჯერ ბოლომდე ვერ გაასწრო. აი, ბალტიის ქვეყნებმა კი გაასწრეს და ახლა კარის ჩარაზვას ცდილობენ, რომ უკან, რუსეთში, ვედარავინ შეათრიოს. რუსი კი ძალიან ცდილობს. ყველა ქვეყნის წინააღმდეგ მის სპეციფიკურ ნიშნებს იყენებს, თუმცა, საბოლოო ჯამში, როგორც ყველა დიდ მანქანას, ერთიანი ხელწერით ამოიცნობთ.

ციფრულ სფეროში ბრძოლა ვიდაცას შეიძლება უბრალოდ მამაძაღლობად მოეჩვენოს - „ბავშვი იჭდა კომპიუტერთან“ სახელმწიფო დონეზე. მაგრამ ამ სტადიას კარგა ხანია გასცდა და სრულყოფილ იარაღად იქცა.





წლებია, ბალტიის ზღვის რეგიონში პილოტები GPS-სიგნალის გართულებას ან საერთოდ გაქრობას უჩივიან. 2022 წლის შემდეგ ასეთი ფორმის „მამაძაღლობა“ გააქტიურდა, უკანასკნელ ერთ წელიწადში კი ნამდვილად სახიფათო ზღვარს მიაღწია. ახლა ყოველწლიურად რამდენიმე ათასი რეისის მფრინავები ეჩხეებიან სატელიტური სიგნალის პრობლემებს, რაც, პოტენციურად, ფატალურად საშიშია. ყველამ იცის, ამას ვინ აკეთებს. ყველამ იცის, საიდან. კალინინგრადის ანკლავში რუსმა რადიოელექტრონული საბრძოლო საშუალებები, როგორც ჩანს, ოხრად განაღდა.

ოღონდ მხოლოდ კალინინგრადი აღარ ჰყოფნის. წლების წინ სტოკჰოლმის ვესტერასის აეროპორტიდან ძალიან ახლოს რუსეთის მოქალაქემ მართლმადიდებელი ტაძრის მშენებლობის ნებართვა მიიღო. ყველაფერს წარმოიდგენდა შვედი, მაგრამ რუსი თუ სახვისთავა ეკლესიას ჯაშუშობისთვის გამოიყენებდა - ნამდვილად ვერ. ასაფრენი ზოლიდან 200 მეტრში 22 მეტრის სიმაღლის სამრეკლო რომ დადგეს, მერეღა დაიწყეს სპეცსამსახურებმა კვლევა, რამე საეჭვო ხომ არ ხდებოდა. შვედეთის კონტრდაზვერვის, Säpo-ს პრესსპიკერის განცხადებით, ეკლესიის წარმომადგენლებს კავშირი აქვთ ქვეყანაში მომუშავე რუს მზვერავებთან: *“რუსეთი მართლმადიდებელ ეკლესიას შვედეთში დაზვერვის პლატფორმად იყენებს”*.



ელინა ლანგე - იონათამიშვილი, ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის უფროსი ექსპერტი

ახლა შვედები აქტიურად აკვირდებიან რუს მზვერავებს, რომლებიც აქტიურად აკვირდებიან შვედ კონტრმზვერავებს. ერთადერთი აქტიური ღონისძიება, რომელიც გაატარეს - შეუწყვიტეს სახელმწიფო დაფინანსება, შვედეთის ბიუჯეტი

რელიგიური ორგანიზაციისთვის წლების განმავლობაში რომ უხვად იხდიდა.

ახლაც ეცინება ალბათ ვიღაცას ფსბ-ში, როდესაც ხედავს, როგორ მუშაობს დემოკრატია. ამიტომაც გაკვალულ გზაზე კიდევ უფრო შორს, კიდევ უფრო თამამად წავიდა და შვედეთის სუპერთანამედროვე საზღვაო ბაზის - მუსკოს გვერდით, ასევე რუსი ბიზნესმენის სახელით, დიდი ნაკვეთი და ქონება იყიდა. იგივე ქნა ნორვეგიაში - რუსეთის ორმა მოქალაქემ სამხედრო აეროდრომ ბარდუფოსზე დაკვირვებისთვის იქვე სათხილამურო ცენტრები შეიძინა.

“რუსეთი მართლმადიდებელ ეკლესიას შვედეთში დაზვერვის პლატფორმად იყენებს”.

2016 წელს რიგაში განთავსებულმა ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრმა დაიწყო ბალტიისა და ნორდიკული ქვეყნების წინააღმდეგ კრემლისტური საბოტაჟის შესწავლა. დაიწყო და, რასაც ჰქვია, ვერ დაამთავრა, რაკი აღარც რუსის გაჩერება იქნა.

„მოკლედ შემძლია გითხრათ, მაგალითად, რა საბოლოო ამოცანა აქვთ ლატვიაში“, გვიზიარებს ორიოდ კვირის წინ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებს ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის უფროსი, ექსპერტი ელინა ლანგე-იონათამიშვილი. *„ცდილობენ ისეთი ხელისუფლების მოყვანას, რომელიც, მოსკოვის მიმართ მეგობრული თუ არ იქნება, წინააღმდეგობას მაინც არ გაუწევს მის მტრულ მოქმედებებს. გაჩუმდება, როდესაც რუსეთი ეცდება თუნდაც სხვა ქვეყნების დაპყრობას. ეს უნდა იყოს ჩუმი, ფარული ოკუპაცია, რათა ორ უძლიერეს ალიანსში, ნატოსა და ევროკავშირში, საკუთარი აგენტი ჰყავდეთ“*.

რა უდგას წინ მოსკოვის სურვილს, ნატოსა და ევროკავშირში აგენტები გაიჩინოს? აგერ, უნგრეთი და სლოვაკეთი, პრაქტიკულად, უკვე ჰყავს. რამდენად შორსაა ლატვია, ან, მაგალითად, ესტონეთი იმისგან, რომ მეხუთე კოლონა ჩაუდგეს სათავეში? ოფიციალური ინფორმაციით, ლატვიაში ეთნიკური რუსების რიცხვი 23.7%-ია, ესტონეთში კი - 22.5%. როგორც

ნესი, მათ ჰყავთ საკუთარი წარმომადგენელი პოლიტიკური ძალები, რომელთაც ტრადიციულად აძლევენ ხმას. მაგრამ არც ერთხელ, ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის განმავლობაში, „რუსულ პარტიებს“ არ მოუპოვებიათ არათუ საპარლამენტო უმრავლესობა, არამედ ადგილიც კი მმართველ კოალიციაში. ცოდვა გამხელილი სჯობს - ამის გამო ამ ქვეყნებს წლების განმავლობაში დემოკრატიულ სამყაროშიც კი აკრიტიკებდნენ. „ინკლუზიურობა“, „ადამიანის უფლებები“, „ბალტიური აპარტიდი“, „უმცირესობათა უფლებები“ - ამ ლოზუნგებს ბოლო დრომდე ბრიუსელიდანაც კი დასძახოდნენ. სანამ პუტინი მთელ კონტინენტზე შეტევაზე არ გადავიდა და „ბებერ ევროპასაც“ არ მოუწია აღიარება, რომ, ეთნიკური რუსების ვითომ დარღვეული უფლებებისთვის ბრძოლით, მოსკოვის თამაშს ათამაშებდნენ.

ბოლოს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ლატვიელ რუსულენოვანთა მთავარ ადვოკატს, ტატიანა ჟდანოკას, ოდესღაც მათემატიკის პედაგოგს, იმ მომენტისთვის კი მთლად ევროპარლამენტის წევრს, ფსბ-სთან კავშირის საბუთები დაუდეს.

„ხელისუფლების ცვლილებაზე უფრო რეალისტურ ამოცანად მოსკოვს ჩვენი საზოგადოებების დაყოფა მიაჩნია“, განაცხადებს ელინა ლანგე-იონათამიშვილი. „ასე ჩვენი მედეგობის შესუსტებას ცდილობს. მუდმივად გვიმეორებს, რომ არშემდგარი ქვეყნები ვართ, რომ აქაურობა დაცვად არ ღირს და ნატოელი მოკავშირეები ჩვენს დასახმარებლად არ მოვლენ. თუმცა, ეს საფუძველშივე სიცრუეა - ისინი უკვე აქ არიან.“

სიტყვამ მოიტანა და ნატოელი მოკავშირეები მართლაც უკვე ბალტიაში არიან. „ნატოს გაძლიერებული მოწინავე განლაგების ინიციატივის“ ფარგლებში, 8 წელია, ამ ქვეყნების სამხედრო ბაზებზე განლაგებულია მოკავშირეთა კონტინგენტები. ნატოს გეგმით, დაჯგუფებების ზომა ბრიგადამდე (3.5 - 5 000 სამხედრო მოსამსახურე) უნდა გაიზარდოს. 2022 წელს ფართომასშტაბიანი რუსული ომის დაწყების შემდეგ ნატომ ეს გამოცდილება უკრაინის მოსაზღვრე ყველა სხვა წევრ ქვეყანაზეც გაავრცელა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ნატომ

ბალტიის სამი სახელმწიფოს ცა მათი განწევრიანების მეორე დილასვე, 2004 წლის 30 მარტს, „დახურა“ - ლიეტუვასა და ახლა უკვე ესტონეთში 4-თვიანი მორიგეობით ჩადიან მოკავშირეთა გამანადგურებელი თვითმფრინავები, რომლებიც მათ საჰაერო სივრცეში პატრულირებენ.

ვისგან იცავენ, თქმა საჭიროა?

შენს რადარზე რომ რუსის თვითმფრინავს დაინახავ, უკვე შეიძლება გვიანი იყოს. არსებობს თუ არა ამომცნობი ნიშნები, რაც უტყუარად მიგანიშნებს, რომ რუსი ხვალ თავს დაგესხმება? ხვალისთვის არსებობს. ზეგისთვისაც. მერე კი სულ უფრო და უფრო ჭირს.



იურგის ნორვაიმა - ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრის ოფიცერი

ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრის ოფიცერი, იურგის ნორვაიმა: „გავაანალიზეთ რუსული სამთავრობო მედია და სოციალური ქსელები, რომ მათში გვეპოვა ომის დაწყების უტყუარი ნიშნები. შესწავლა 2021 წლიდან დავიწყეთ. ეს ჩვენამდე სხვებმა სცადეს, მაგრამ ურთულესი აღმოჩნდა. მხოლოდ 2022 წლის 17 თებერვლიდან (ფართომასშტაბიანი ომის დაწყებამდე 1 კვირით ადრე. - თ. გ.) შეინიშნება რაღაც განსხვავებული აქცენტები. დასკვნა ასეთია - მოსკოვი მუდმივად ამზადებს საინფორმაციო შეტევას. ყოველდღიურად აქვეყნებს მიზანმიმართულად მცდარ ინფორმაციას, რომ საზოგადოებრივი აზრი მუდმივად „მზად იყოს“.

კვლევაში, რომელიც ჯერ გამოქვეყნებულიც არ არის, რუსული საინფორმაციო სისტემა ერთიან სივრცედაა შეკრული. „სათავეში არის სამთავრობო ინფორმაცია - როგორც საერთო, ტონალობის განმსაზღვრელი, ხაზი“, ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი ნორვაიმა ჩვენთან ინტერვიუში. „უფრო ქვემოთ კი ყველაფერი





ნაწილდება. სტატისტიკურად, რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ინფორმაციას ტელევიზიით იღებს, შემდეგ მოდის ტელეგრამი და სხვა პლატფორმები. უფრო საინტერესო სტატისტიკაც არსებობს - სამთავრობო სატელევიზიო არხებს მოსახლეობის 50%-ზე მეტი სრულად ენდობა. ძალიან სპეციფიკური ფაქტია, რომ ისიც კი, ვინც განსხვავებულ ინფორმაციას ეძებს და, მაგალითად, რეგულარულად სარგებლობს VPN-ით, უფრო ხშირად მაინც სახელისუფლებო წყაროებს ენდობა. განსხვავებული ინფორმაციის მიმღებლობა რუსეთში ძალიან დაბალია“.

პროფესიონალის ნათქვამი რომ გადმოვა ხალხურით - რუსს, გინდ აუხსენი სიმართლე, გინდ ნუ აუხსნი, მაინც იმისა სჯერა, რასაც ხელისუფლება ეუბნება.

ახლა, ვიცი, ბევრ თქვენგანს შეეპარა მღრღნელი კითხვა - და ჩვენ რამდენად შორს ვართ რუსეთისგან, თუ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ადამიანების დიდ ნაწილს მაინც მხოლოდ პროპაგანდისა სჯერა?

პროფესიონალის ნათქვამი რომ გადმოვა ხალხურით - რუსს, გინდ აუხსენი სიმართლე, გინდ ნუ აუხსნი, მაინც იმისა სჯერა, რასაც ხელისუფლება ეუბნება.

სოციალური ქსელების გაჩენამ ინფორმაციის მოცულობა მრავალჯერ რომ გაზარდა, მარტივი ფაქტია. შედეგი უფრო საფრთხილოა - ამის გამო შემცირდა ფიქრის დრო. თანამედროვეადამიანი, ტელეფონს რომ მოიმარჯვებს, ზუსტად ისევე ვერ ინელებს მთელ „ჩაყლაპულ“ ინფორმაციას, როგორც ადამიანი, ვინც არ ღეჭავს. ეს ამბავი კარგად აქვთ შესწავლილი იმათ, ვისაც თქვენი ტვინების კონტროლი სურს. და, მარტივად რომ ვთქვათ, სურს „გაჭამოთ“. ჩვენც საინფორმაციო ველის გადატვირთულობის გამო ტყუილისა და მართლის ერთმანეთისგან გასარჩევად არც დრო გვყოფნის და, ხშირად, არც ენერგია და ყველაფერს ერთიანად „ვჭამთ“.

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ „მეტა“-მ რამდენჯერმე ჩაატარა ქართული ფეისბუქისა

და ინსტაგრამის წმენდა და, ყოველ ჯერზე, წაშალა ასობით ანგარიში, გვერდი, ჯგუფი. „ჩვენმა გამოძიებამ აღმოაჩინა (მათი) კავშირი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტთან“ - წერია 2023 წლის კვარტალური საფრთხეების ანგარიშში. ამავე გამოძიების მიხედვით, ფეისბუქისა და ინსტაგრამის რეკლამებისთვის საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ ამ შემთხვევაში 33 500 დოლარი გადაიხადა.

იგივე მოხდა 2019, 2020 და სხვა წლებში და კუდი ისევ ან მთავრობის ადმინისტრაციისკენ მიდიოდა, ან კოკა ყანდიაშვილისკენ. რაც, პრინციპში, ერთი და იგივეა. ამ გახსენებაზე - 2024 წელს „მეტამ“ მოლდოვაშიც აღმოაჩინა ათასობით ყალბი ანგარიში და გვერდი, რომელთა მიზანიც მაია სანდუს დისკრედიტაცია, რუსეთთან „ნორმალიზების“ პროპაგანდა და რეფერენდუმზე ევროკავშირისთვის „არა“-ს თქმა იყო. პარალელურად მოლდოვას ხელისუფლებამ თავადაც დაბლოკა ტელეგრამის ათობით არხი, რომლებიც „ამომრჩევლის მოსყიდვას ცდილობდა“.

ჯერ კიდევ ჯარების გაგზავნამდე პუტინმა უკრაინაში კიბერჯარები გაგზავნა. 2022 წლის შემდეგ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა 100-ზე მეტი ჩანერგილი „ბოტების ფერმა“ აღმოაჩინა. ციფრული ტერორის მასშტაბი რომ წარმოიდგინოთ - ეს ინფრასტრუქტურა დაახლოებით 12 მილიონ უკრაინელს „მისწვდა“. გაუყალბა რეალური ისტორია და გაუშალა მოსკოვური ტყუილები ედინოვერცობისა და ერთიანი წარსულის შესახებ; ჩაუნერგა წარუმატებლობის სინდრომი; „გაუბერა“ რუსის არმიისა და იარაღის წარმატებები; გაუჩინა ბზარი უკრაინული სახელმწიფოსთვის ბრძოლის მზადყოფნაში; მოკლედ, ჩაატარა კლასიკური ფსიქოლოგიური ოპერაცია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის დაახლოებით მესამედზე. ამ ოპერაციას ვიღაც მეტად დაეჭვმდებარა, ვიღაც - ნაკლებად. მაგრამ უკვალოდ რომ არ ჩაივლიდა, ფსბ-ს მრავალწლიანი, მრავალფეროვანი, მრავალენოვანი და მრავალკონტინენტური გამოცდილება მოწმობს.

არც ყალბი გვერდები და ონლაინმანიპულაციაა რუსის მოგონილი, მით უმეტეს - ქოცის. დიდად გავრცელებული პრაქტიკაა და დიდი თავისტიკილი უნდა იყოს ყველა სოციალური

პლატფორმისთვის. ნათო ამ საქმეს წლებია, იკვლევს. აღმოჩნდა, რომ სოციალურ ქსელებში გაცილებით მარტივია ყალბი სტატისტიკის შექმნა, ვიდრე ნაშლა.

გუნდარს ბერგმანის-კორატსმა თავისი ექსპერიმენტი 2024 წლის დასასრულს ისევ ჩაატარა. ისეთივე, როგორსაც ატარებს 2019 წლიდან. ჯერ შექმნა ფეიკი ანგარიშები და გამოაქვეყნა 44 სრულიად უწყინარი, არაპოლიტიკური და არაპროვოკაციული პოსტი რამდენიმე პლატფორმაზე, შემდეგ ამ საქმეში სპეციალიზებული კომპანიებისგან იყიდა „სტატისტიკა“, მომსახურება, რომელიც სწრაფად და გარანტირებულად გიმეტებს ნახვებს, მოწონებებს, კომენტარებს.

„სულ რაღაც 58 ევროდ მივიღეთ 1 150 არაავთენტიკური კომენტარი, 11 725 მოწონება, 3 150 გაზიარება და 8 233 ნახვა Facebook-ზე, Instagram-ზე, YouTube-ზე, TikTok-ზე, VKontakte-სა, and X-ზე. 2022 წლის ექსპერიმენტს თუ შევადარებთ, დაახლოებით იგივე სტატისტიკა სამჯერ უფრო იაფად მივიღეთ“ - აჭამებს შედეგს ბერგმანის-კორატსი. „ყველაზე ძვირი ამათგან ფეისბუქისა და ინსტაგრამის კომენტარებია. რადგან შემსრულებელს ტექსტი შენ უნდა მიაწოდო და შემდეგ ის განათავსებს სხვადასხვა მომხმარებლის სახელით გარკვეული დროის განმავლობაში. თუმცა, ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად ველოდებით, რომ კომენტარების შექმნის ფუნქციას ხელოვნური ინტელექტი აიღებს და ეს მომსახურება კიდევ უფრო გაიაფდება.“

ოლონდ ექსპერიმენტის მიზანი არ ყოფილა იმ რუსული და სხვა კომპანიების მხილება, რომლებიც ამ ყალბ „ჩართულობას“ მოგყიდნიან. მთავარი იყო დადგენა, რამდენად გამართულია ამ პლატფორმების „თვითკონტროლი“. აი, თქვენ რომ მოგდით შეტყობინება, „ბანი“ გადევს ამის და ამის გამოო და გასაჩივრებითაც ვერაფერს აღწევთ, ათასობით პაკისტანელი, შრი-ლანკელი და ჩინელი „მომხმარებელი“ როგორ რჩება უყურადღებოდ ალგორითმს საქართველოს მთავრობის ან რომელიმე სხვა ფეისბუქგვერდზე, ინსტაგრამზე ან იუთუბზე? გუნდარს ბერგმანის-კორატსის ექსპერიმენტის შედეგი დიდად ოპტიმისტური ვერ არის. „4 კვირის შემდეგ ამ ნაყიდი ანგარიშებიდან, საშუალოდ, მხოლოდ


“ომი აღარ მიდის მხოლოდ ბრძოლის ველზე. საინფორმაციო შეტევებმა, კიბერთავდასხმებმა და დეზინფორმაციის კამპანიებმა ციფრული ველიც ბრძოლის ველად აქცია. რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ ნათლად გვაჩვენა, რომ ჩვენი დემოკრატია საფრთხეშია სიმართლის არასწორი აღქმის გამო”

15% ნაიშლა“- გვიყვება მეცნიერი. „2021 წელს ეს მაჩვენებელი, მაგალითად, 25 პროცენტი იყო და მაინც ჩავთვალეთ, რომ სისტემა ცუდად მუშაობდა. ამჯერად ყველაზე კარგად იმუშავა X-მა (ყოფილი „ტვიტერი“) - 4 კვირაში ფეიკი კომენტარებისა და აქტივობების 50% ნაშლა. ყველაზე ცუდი შედეგი კი ჩინურ TikTok-სა და რუსულ VKontakte-ს ჰქონდათ - მხოლოდ 3% და 2%.“

ასეთი სტატისტიკით ნებისმიერი „ოკაყან-დიპზილი“ და „ჰაკიმ ფაშა“ ისარგებლებს, აბა, რას იზამს?! და თქვენ გადმოგამხოვთ თავზე მავნებლური ტყუილების მთელ კლოაკას, რომელიც ფსბ-ს სახელმძღვანელოს მითითებებით აქვს დაგროვილი.

“ომი აღარ მიდის მხოლოდ ბრძოლის ველზე. საინფორმაციო შეტევებმა, კიბერთავდასხმებმა და დეზინფორმაციის კამპანიებმა ციფრული ველიც ბრძოლის ველად აქცია. რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ ნათლად გვაჩვენა, რომ ჩვენი დემოკრატია საფრთხეშია სიმართლის არასწორი აღქმის გამო“- ეს ევროპარლამენტის პრეზიდენტის, რობერტა მეტსოლას სიტყვებია. „გამოადეკვატურების“, ანუ ევროპის „გამოღვიძების“ შემდეგ. პასუხიც მრავალჯერ მიიღო. 2023 წლის 23 ნოემბერს, როდესაც ევროპარლამენტმამხარი დაუჭირა რეზოლუციას ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ რუსეთის გამოცხადების შესახებ, მის ვებგვერდზე, ყველა ადრინდელთან შედარებით, გაცილებით მასშტაბური DDoS შეტევა მოხდა.

არც პირველი, არც უკანასკნელი. გითხრათ, საიდან? ■





თამარ ჩხეიძე

რუსული ნაკაბიჯები ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედებისთვის

გლობალური და შიდა ფაქტორების შედეგად, რუსული იმპერია საბჭოთა კავშირის სახით დაიშალა, საქართველომ მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა დაიბრუნა. ამას მოჰყვა პოსტსაბჭოთა რუსეთის იმპერიული მისწრაფებების რამდენიმენლიანი შესუსტება და გარკვეული დემოკრატიული ელემენტების ჩანასახის გაჩენა, რამაც მსოფლიოს რუსეთის ნორმალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ილუზია გაუჩინა. მონსტრის ამ შესუსტების დროსაც კი რუსეთს არ შეუწყვეტია დამპყრობლური იმპერიალისტური საქართველოს წინააღმდეგ და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. დღეს კი, როდესაც მსოფლიოს რუსეთის იმპერია თავისი რეინკარნაციის ერთ-ერთი უბოროტესი ფორმით წარუდგა, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ერი, საზოგადოება მისი სუსტი, ფასადური, მაგრამ მაინც დემოკრატიული ინსტიტუტებით, კვლავ სასიცოცხლო გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ამჯერად ფაქტობრივად მთელ დემოკრატიულ სამყაროსთან ერთად.

ივანიშვილის ხელისუფლების რუსული მიზანდასახულობა მისი პოლიტიკური წარმოშობიდან და ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე გაკეთებული განცხადებებიდან

თავიდანვე მარტივად გამოსაცნობი იყო. სამწუხაროდ, ეს ასე ხილული არ აღმოჩნდა ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის, სანამ რუსეთი თავისი ექსპანსიის აქტიურ ფაზაში არ გადავიდა და მისი შეკვეთები საქართველოს ხელისუფლებისადმი უფრო კატეგორიული და სასწრაფოდ შესასრულებელი არ გახდა.

საინტერესოა ის რუსული ნარატივები, რომლებიც მეტ-ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილზე. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

„ივანიშვილი და მისი მთავრობა გვინარჩუნებს მშვიდობას.“

ამ აშკარა ტყუილმა ვერ უზრუნველყო ქოცებისთვის მიზნად დასახული კონსტიტუციური მრავლესობა, (სინამდვილეში, ვერც უბრალო უმრავლესობა), მაგრამ მაინც არცთუ უმნიშვნელოდ იმუშავა არჩევნებში და, ნაწილობრივ, ახლაც მუშაობს მოსახლეობაში. სამწუხაროდ, სრულიად არასაკმარისად ხდებოდა ამ ტყუილის გაქარწყლება და მასზე პასუხის გაცემა ოპოზიციის მხრიდან. უფრო მეტიც, ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ არ ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება, რადგან



ომი მგრძნობიარე და სტრესული თემააო, თუმცა პირიქით კი უნდა ყოფილიყო, სწორედ იმიტომ, რომ ეს ძალიან მგრძნობიარე თემაა და, ბუნებრივია, ბომბების ცვენა და ომთან დაკავშირებული სხვა უბედურებები ისეთი შემზარავია, რომ შეიძლება ადამიანების დიდ ნაწილს სხვა ყველაფერზე უარი ათქმევინოს: „რაც არ უნდა ცუდი იყვნენ ქოცები, ჯანდაბას, ოღონდ ომი ნუ იქნებაო“. ასე რომ, ეს ტყუილი საკმაოდ ქმედითი იყო ხალხის შეცდომაში შესაყვანად და ეს არა მიჩქმალვას, არამედ სიმართლის ხალხამდე რაც შეიძლება ფართოდ მითანას საჭიროებდა. ამას მოჰყვებოდა „აბა ომი გინდათ?“ - ცნობილი რიტორიკული კითხვა. სიმართლე კი ისაა, რომ მშვიდობის შენარჩუნებასთან (თუკი შეიძლება დღეს რაც ხდება, იმას „მშვიდობა“ ვუწოდოთ) ივანიშვილს არავითარი კავშირი არა აქვს. მშვიდობას სინამდვილეში უკრაინელების თავგანწირულ ბრძოლას უნდა ვუმაღლოდეთ. კიევი რომ დაცემულიყო და დღემდე რომ უკრაინა არ აკავებდეს მონსტრს, როგორც არ უნდა ეძახათ მისთვის „ბაბაია“ ქოცებს, ის მაშინ შემოიჭრებოდა, როდესაც ბარბაროსების ბრბო ამისთვის მოიცლიდა და როდესაც ამას თავად ჩათვლიდა საჭიროდ. მართალია, რუსეთს ძალიან აწყობს ქოცების მმართველობა, მაგრამ ის საქართველოს, როგორც ქვეყანას, ემტერება და მისი დამორჩილების შემდეგ ეტაპზე გადასვლას თუ შეძლებს ქოცებით, თუ

უქოცებოდ, მას ივანიშვილის მმართველობის რუსეთუმეობა და პირფერობა ვერ შეაკავებს. უბრალოდ, უკრაინა მას შემდეგ ამოცანებზე გადასვლის საშუალებას არ აძლევს.

ცხადია, ხელისუფლების პროპაგანდისტებში უხერხულობას არ იწვევს შეკითხვა - აქ თუ მათი წყალობითაა მშვიდობა, მაინც სხვა რომელ ქვეყანაში დაიწყო ომი უკრაინის პარალელურად. ომი არც მოლდოვაშია, უკრაინის უშუალოდ მეზობლად, რომელსაც ღიად უკავია უკრაინის მხარე და არ ეპირფერება აგრესორს.



**ამაზრზენ და
უსასტიკეს ომს რუსეთი
აწარმოებს, ესენი კი
ომისგამჩალებლად
საქართველოს
პარტნიორებს აცხადებენ.**

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ქოცებმა სულ უფრო და უფრო ღიად დაიწყეს პროდასავლურობის ფარდის მოშორება და მსოფლიო დიპლომატიისთვის სრულიად უჩვეულო, გამოგნებული ლანძღვა-გინების კამპანია გააჩაღეს დასავლეთის წინააღმდეგ. სრულიად ალოგიკური და კომიკურია

პუტინისტური ბოდვა იმის შესახებ, რომ თითქმის არსებობს რაღაც გლობალური ომის პარტია, რომელსაც დღიდან ომის დაწყებისა გაურკვეველი მიზეზით დაჟინებით სურს ჩვენი ქვეყნის ომში ჩათრევა და საქართველოს ხელისუფლება გმირულად უწევს მის ამ ბოროტ განზრახვას წინააღმდეგობას. ამაზრუნ და უსასტიკეს ომს რუსეთი აწარმოებს, ესენი კი ომისგამჩალებლად საქართველოს პარტნიორებს აცხადებენ. ვის რაში შეიძლება ჭირდებოდეს, ვისთვის რა სარგებელი უნდა მოიტანოს საქართველოს ომში ჩართვამ მისი სამხედრო პოტენციალით და რუსული მთავრობით? რა დიდი ძალა მიემატებოდათ? ეს ხომ პირიქით დამატებითი ტვირთი იქნებოდა მსოფლიოსთვის?

**რუსეთს მხოლოდ
იმიტომ აწყობს
დასაპყრობად
მონიშნული ქვეყნის
ნეიტრალობა, რომ ის
მოკავშირეების გარეშე
დატოვოს და შემდეგ
ადვილი გადასაყლაპი
გახადოს.**

„შინაგან საქმეებში ჩარევა“.

ქოცები - ისე, როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირი - დასავლეთის მხრიდან ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, დამოუკიდებელი სასამართლოს აუცილებლობის და ა.შ. საკითხებზე აზრის გამოთქმას, არჩევნების გაყალბებაზე პროტესტს, პოლიტპატიმართა განთავისუფლების მოთხოვნას და ა.შ. „შიდა საქმეებში ჩარევას“ ეძახიან და თავს სუვერენული უფლებების დამცველად აცხადებენ. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ამის სჯერა და დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან დემოკრატიული ფასეულობების დაცვის მოთხოვნას უკადრისობს, ხოლო ამ მოთხოვნების საპირისპირო, ბარბაროსულ ქცევას დამოუკიდებლობის დაცვად მიიჩნევს.

ასეთია ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების მენტალიტეტი.

სინამდვილეში ადამიანის უფლებები არავის „შიდა საქმე“ არ არის. პირიქით, უნდა არსებობდეს რაღაც საერთაშორისო ორგანო (გაერო ამას ვერ უმკლავდება), რომელიც ვალდებული, სათანადოდ უფლებამოსილი და აღჭურვილი უნდა იყოს, რათა მოახდინოს სწრაფი რეაგირება და გადაარჩინონ ადამიანების სიცოცხლე და უფლებები, როცა ეს აუცილებელია უზურპატორის თუ უზურპატორთა ჯგუფისგან. ცხადია, ეს პროცესი სრულიად გამჭვირვალე და მკაცრად დასაბუთებული უნდა იყოს.

ნეიტრალიტეტი - უდიდესი ტყუილი მტრის სამსახურში.

ერთი შეხედვით, შეიძლება, ბევრმა იფიქროს - ეს კარგია, რატომ უნდა ვიყოთ ვინმეს მხარეს, ჩვენთვის მშვიდად ვიქნებით. მაგრამ სინამდვილეში ეს დამპყრობლის მიერ შემოგდებული დიდი ტყუილია. საქართველო შვეიცარია არ არის. შვეიცარია ევროპული ქვეყნებითაა გარშემორტყმული და მის ჩასაყლაპად გამზადებული მეზობელი არა ჰყავს გვერდით. ცალკეულმა ქვეყანამ კონკრეტული გარემოებების გაუთვალისწინებლად თვითონ რომ გადაწყვიტოს ნეიტრალურობა, ეს თავისთავად ქვეყანას ვერ დაიცავს. რუსეთს მხოლოდ იმიტომ აწყობს დასაპყრობად მონიშნული ქვეყნის ნეიტრალობა, რომ ის მოკავშირეების გარეშე დატოვოს და შემდეგ ადვილი გადასაყლაპი გახადოს.

რუსეთი აქტიურად უწყობს ხელს ანტიდასავლურ პროპაგანდას საქართველოში. ამას ის ყოველთვის აკეთებდა, მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა ამის კეთება თავად დე ფაქტო ხელისუფლების გამოყენებით. ქოცები რაც არ უნდა ქოცები იყვნენ, ცხადია, ამ უპრეცედენტო ანტიდასავლურ ვაჰხანალიას არ და ვერ წამოიწყებდნენ პირდაპირი რუსული ინსტრუქციის გარეშე. ასეთი ფორმის ყოველგვარ წითელ ხაზებს მოკლებულ და უხამსობამდე მისულ ლანძღვა-გინებას კომუნისტებიც კი არ მიმართავდნენ.

რუსული, ანტიდასავლური პროპაგანდის კიდევ

ერთ-ერთი უსაყვარლესი თემაა ლგბტ-ს საკითხი.

ბუნებრივია, ქოცებსაც დიდი ამბით აქვს ატაცებული ეს თემა და ცდილობენ ქართველები შეაშინონ ფსევდო საფრთხით, რომ თითქოს დასავლეთი ტრადიციულ ფასეულობებს, ქართველობას გვართმევს, დედა დედა აღარ იქნება და მამა მამაო. ამ პროპაგანდაში დიდ როლს თამაშობს რუსეთის ვითომდა ერთმორწმუნეობა და ის დასახულია ტრადიციული ფასეულობების დამცველად და გამფრთხილებლად, ხოლო დასავლეთი კი გარყვნილების წყაროდ. ეს რა თქმა უნდა, დიდი სიყალბე და ფარისევლობაა. განსხვავებული ორიენტაცია ამ სფეროში კაცობრიობასთან ერთად ყოველთვის არსებობდა (ძველ საბერძნეთში საერთოდ ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა), გარკვეული რაოდენობის ადამიანებს რომ ასეთი ორიენტაცია აქვთ და ექნებათ, ეს მოცემულობაა და არავისი დაშინების საგანი ეს არ უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, ვის მოსწონს ეს და ვის არ მოსწონს. სხვათა შორის, „მართლმადიდებლურ“ (სინამდვილეში კი კომუნისტურ-ფაშისტურ რუსეთში) არც ერთ ქვეყანაზე ნაკლებად არაა გავრცელებული ეს მოვლენა და, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით იმ წრეებში, რომლებიც პროპაგანდით, ძალადობით და კანონმდებლობითაც ებრძვიან მას. ტყუილია,

რომ დასავლეთი ვითომ თავს გვახვევს რაიმე ორიენტაციას, ისინი ზოგადად ყველა სფეროში მოითხოვენ ერთადერთ რამეს - ადამიანის უფლებების დაცვას. ეს უპირველეს ყოვლისა თავად მართლმადიდებლობის და ზოგადად ქრისტიანობის მოთხოვნაა.

ცხადია, ქოც დიდ მოხელეებს ძალიან ნაკლებად აღელვებს, უფრო სწორად, საერთოდაც არ აღელვებთ ვინმეს სექსუალური ორიენტაცია და „ოჯახური სინდინდე“, ისინი მხოლოდ ჩრდილოეთიდან მოსულ პოლიტიკურ საშინაო დავალებას ასრულებენ და საქართველოს მოსახლეობის დასავლურ ორიენტაციას ებრძვიან, როდესაც ამ საკითხს სრულიად ყალბად აკავშირებენ დასავლეთთან. სხვათა შორის, ეს თემა ადრე უფრო სენსიტიურობით გამოირჩეოდა მოსახლეობაში. კარგია, რომ ქოცების მეტისმეტმა თავგამოდებამ კომიკური ელფერი შესძინა საკითხს და გაამასხარავა ის (იხილეთ „კაცის რძე“ და მისთ.).

მოკლედ, ეს ფენომენი - რუსულ ნარატივში ეროვნულის რუსეთთან დაკავშირება და დასავლეთის ეროვნულ-კულტურული იდენტობის მტრად გამოცხადება ეწინააღმდეგება ყოველგვარ ისტორიულ თუ ამჟამინდელ გამოცდილებას და დამპყრობლის მიზნიდან გამომდინარე ცდილობს მოსახლეობაში მტრის და მოყვრის ერთმანეთში არევას. ■





ქეთი ქურდოვანიძე

ვინ მოკლა თავისუფლება

ბოლო რამდენიმე თვეა საქართველოში პოლიტიკური პროცესი ერთგვარად შენელდა და ფრაგმენტული გახდა: თუ აქამდე ვწუხდით, რომ საქართველო ავტორიტარიზმისკენ მიდიოდა და ფორმალურ დემოკრატიადაც კი აუქმებდა, ახლა უკვე ცხადად გამოჩნდა, რომ რეჟიმმა ავტორიტარული მმართველობის ჩარჩოები მოხდენილად მოირგო და უკიდურესად გაამკაცრა კონტროლის ბერკეტები: კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო თავისუფალი მედიის დევნა, აქტივისტებზე ძალადობა, პოლიტიკური ოპონენტების დემონიზაცია, მიიღო პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შესახებ კანონი, საჯარო სამსახურში კი ბოლშევიკური ტიპის წმენდა ჩაატარა, გაუგონარი ჯარიმებისა და მრავალი სხვა, აქამდე წარმოუდგენელი, ანტიდემოკრატიული ქმედების მომსწრე გავგზავდა, რომლებიც ცხადყოფს, რომ რეჟიმი

დიქტატურის დამყარების აქტიურ ფაზაში შევიდა.

მაგრამ დიქტატურა ჩვენში თავისი კლასიკური ნიშნებით არ დაწყებულა: ვთქვათ, სამხედრო ან საკონსტიტუციო გადატრიალებით, თავისუფალი მედიის გაუქმებით, პარტიების აკრძალვით ან თუნდაც რომელიმე ავტორიტარის გაკერპებით - ჩვენმა რეალობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ყველაფერი ბევრად უფრო მარტივად და დემოკრატიის სახელით შეიძლება მოხდეს. ამჯერად რუსული მმართველობა საქართველოში რუსული ჩექმითა და ტანკით არ შემოსულა, მოვიდა „გამჭვირვალობის კანონის“ სახელით და განგვიცხადა: მე დღეიდან ქვეყნის სუვერენიტეტსა და მშვიდობას დავიცავო. პარადოქსია, მაგრამ ეს აბსურდი ბევრმა დაიჯერა, რომ ოკუპანტისა

და საქართველოს ყველაზე დიდი მტრის ემისრები ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გაირჯებოდნენ. რას უნდა მივანეროთ ეს - კარგად დაგეგმილ პროპაგანდას თუ იმ ადამიანების სიბრყველასა და ინფანტილიზმს, რომლებსაც წითელქუდასავით სჯერათ, რომ მგელი მზრუნველი ბებიაა, ბურატინოსავით ელოდებიან, რომ კატა ბაბილიოსა და მელა ალისას რჩევით საოცრებათა მინდორში დაფლული ოქროს მონეტები მეორე დღეს, ყოველგვარი გარჯის გარეშე, დიდ განძად იქცევა. ალბათ ორივეს ერთად.

საქართველოში არსებული რეჟიმი ყოველდღიურად და ჩვეული უტიფრობით გვარწმუნებს, რომ უცხოური აგენტების შესახებ კანონის მიღება თურმე ქვეყნის გადარჩენისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყოფილა, საქართველოს ყველა დიდ ქალაქში დაწყებული საპროტესტო მოძრაობა, ახალგაზრდების ქუჩაში გამოსვლა, საზოგადოების წინააღმდეგობა კი - იმ ექსტრემისტულად განწყობილი მცირე ჯგუფებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ახირება, რომლებსაც, რეჟიმის თქმით, მართავს და აფინანსებს „გლობალური ომის პარტია“, ირაკლი კობახიძის მიერ ან უკვე „დიფ სთეიტად“ წოდებული. გამოდის, რომ ფაქტობრივად, ვინც ქვეყანაში ხმას იღებს და არ ეთანხმება მმართველი გუნდის ნარატივს, ან აგენტი, ან სამშობლოს მოღალატე და ან „ნაცი“. ასე, ერთი ქოლგის ქვეშ, აგროვებს რეჟიმი მათ, ვინც უნდა დასაჯოს, პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოაშოროს ან ამ ქვეყნიდან გააქციოს.

რეჟიმის მიზნებს შესაშური ერთგულებითა და მორჩილებით ემსახურებიან ძალოვანი სტრუქტურები, რომლებიც საოცარი სინქრონიტა და სიზუსტით ასრულებენ მორგებულ როლს: პოლიცია და სპეცრაზმი საპროტესტო აქციებს შლიან, სუსი გამორჩეულად აქტიურ ადამიანებს სახლებში უვარდება და ჩხრეკის პროცესს მეთვალყურეობს, პროკურატურა - ყალბ ბრალდებებს თხზავს, ხოლო რეჟიმის მარიონეტად ქცეულ სასამართლოს სასტიკი განაჩენები გამოაქვს. ასე თანდათან იქცევა ჩვენი ყოველდღიური რუტინის ნაწილად ჯარიმების ჩაბარება, უთენია ძალოვანი სტრუქტურების საკუთარ სახლებში „მას-პინძლობა“ და სასამართლოებში მგლის თავზე სახარების კითხვა. ის, რაც სულ რაღაც ერთი წლის წინ მხოლოდ დისტოპიური რომანების

მხატვრული ნარატივი გვეგონა, ახლა ჩვეულ რეალობაა. ასე შემოგვეპარა დემოკრატიის, მშვიდობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული ღირებულებების სახელით გამართებული და ე.წ. „გამჭვირვალობის კანონებით“ წელგამაგრებული დიქტატურის რუსული მოდელი.

ამ საბედისწერო პროცესის ათვლის წერტილად ალბათ 2024 წლის გაზაფხული უნდა მივიჩნიოთ, როცა ივანიშვილმა გადაწყვიტა, აღარ მორიდებოდა საზოგადოების რისხვას, საბოლოოდ მოეხსნა დემოკრატიის ნილაბი და რუსთაველის გამზირიდან ამაყად ამცნო საზოგადოებას, რასაც უპირებდა. ერთი წლის შემდეგ მან ყველა შემზარავი ალთქმა პირნათლად შეასრულა, განსხვავებით 2012 წლის წინასაარჩევნო დაპირებებისა, რომლებსაც ოლიგარქმა ხუმრობა უწოდა, მით უმეტეს, რომ 12 წლის განმავლობაში ამაზე პასუხი მისთვის არც არავის მოუთხოვია. მაშინ საზოგადოება საკუთარი ნებით გაჩუმდა და უმოქმედობა ირჩია. ახლა კი, როდესაც შექმნილი ვითარების გაპროტესტების ნება გამოხატა, მას ძალით აჩუმებენ, რადგან უსიერ ტყედ ქცეულ ქვეყანაში თავისუფლების ხმას ვეღარც ვეღარავის გააგონებს, კიდევ რომ ეცადო. ერთი სიტყვით, საქართველოში თავისუფლება ტრაგიკულად გადაჰყვა ადამიანების უმნიშვნელობას, კონფორმიზმს, სიხარბეს, ანგარებას, მითოლოგიურ აზროვნებას, პროგრესის სიძულვილსა და ველურ ტრადიციებს.

სულ რაღაც ათიოდე წლის წინ წარმატებული და სამაგალითო პოსტსაბჭოთა ქვეყანა იმ გაუკვალავ უსიერ ტყეს დაემსგავსა, რომელიც აკუთავას ერთ-ერთი ექსპერიმენტული მოთხრობის მოქმედების ადგილია. ამას ისიც მოწმობს, რომ ქვეყნის ოთხივე (მედიასაც ვგულისხმობ) სახელისუფლებო შტოს მთავარი ფიგურები დასაწყვირებულნი არიან აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ, აშშ-ის ორპარტიული „მეგობარი“ აქტი კი კონგრესში ბოლო პროცედურებს გადის.

აკუთავას „უსიერ ტყეში“ ვახსენე არა მხოლოდ ალუზიისთვის, არამედ იმიტომ, რომ არაფერი ისე ზუსტად არ გამოხატავს საქართველოში შექმნილ ამჟამინდელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, როგორც ეს მოთხრობა და მასში დასმული შეკითხვა - ვინ მოკლა სამურაი უსიერ ტყეში? ეს კითხვა ბევრჯერ ისმის ტექსტში, თუმცა ის

მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და მასზე პასუხს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც კონტექსტისთვის და არც ტექსტისთვის. ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ გამოუცდელ მკითხველს აინტერესებს, რომლისთვისაც ეს მოთხრობა დეტექტიური ჟანრის პათოსით იკითხება.

ჩვენს სინამდვილეშიც ხშირად ისმის ამ ტიპის შეკითხვები - ვინ მოკლა თავისუფლება? ვინ გვართმევს დამოუკიდებლობას? ვინ არის დამნაშავე? არც აქ არსებობს ზუსტი პასუხი, რადგან ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ თავისუფლება მოკლეს, ყველა დანარჩენი ნარატივი კი ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და არ ემსახურება სიმართლის დადგენას. რატომ, რისთვის, ვინ ან რამ მოკლა - ეს უკვე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის თვალთ დახედული პროცესებია, საკვს სპეკულაციებით, მანიპულაციებითა და ინტერპრეტაციებით, მისი მკვლელობის პასუხისმგებლობა კი სრულად არავის ეკისრება.

აკუტაგავას მოთხრობაში შვიდი ნარატორია და შვიდივე მკვლელობის განსხვავებულ ვერსიას ჰყვება. პირველი ნარატორი ტყის მჭრელია - პასიური მოქალაქე. ის მკვლელობის ამბავს ისე ჰყვება, როგორც უბრალო დამკვირვებელი. მართალია, მას სამურაის მოკვლაში უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ მაინც გადაეყარა ტრაგიკულ შედეგს. მოთხრობელი ყურადღებას ამახვილებს ნიშნებზე და არ ცდილობს მნიშვნელობების ძიებას, ყოველგვარი ნუხილის გარეშე ჰყვება მკვლელობის ამბავს და ემოციურად სრულიად დისტანცირებულია. მოწმეთაგან ყველაზე შემზარავი სწორედ მისი მონათხრობია - არა ფაქტობრივად, არამედ ემოციურად. ასეთი მოქალაქეები ჩვენს გვერდითაც ცხოვრობენ. ისინი, ერთი შეხედვით, არც ვინმეს დარბევაში მონაწილეობენ და არც ვინმეს უკანონო დასჯაში, უბრალოდ ხედავენ ხელისუფლების უკიდურეს თავგასულობას, თვალყურს ადევნებენ ქვეყნის რუსიფიკაციას, ადამიანების წამებას, დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურებას, მაგრამ მდუმარედ აგრძელებენ დამკვირვებლის როლის შესრულებას.

მეორე ნარატორი, მოხეტიალე ბერი, დუმილის ჩრდილს შეფარებული მორალური ავტორიტეტია, რომელსაც ისტორიულად ევალებოდა სინმინდისა და სიმართლის

დაცვა, ახლა აზრსაც კი ვერ უყრის თავს, რადგან საკუთარი თვალთ არაფერი უნახავს და ამიტომ ფორმალური თანაგრძნობითა და მორალური გამონათქვამებით შემოიფარგლება. ის გვახსენებს იმ ქართველ ინტელექტუალებს, ხელოვანებსა და ეკლესიის წარმომადგენლებს, რომლებიც შესანიშნავად ხვდებიან, რა არის სიმართლე, რომ ძალადობა დაუშვებელია, რომ ირგვლივ განუკითხაობა და უსამართლობაა, მაგრამ მოხსნილი აქვთ მორალური პასუხისმგებლობა და დუმილს ამჯობინებენ ან, განურჩევლად, ორივე მხარეს აკრიტიკებენ - „ძალადობა ცუდია, მაგრამ...“ - რეალურად კი ამით მხოლოდ მოძალადე რეჟიმს აძლიერებენ.

ტექსტის მესამე ნარატორი ჩაფარია - სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელი. მისი მონოლოგი შეიცავს წინასწარგანსაზღვრულ ბრალდებას და მტკიცებულებათა მიკერძოებულ ინტერპრეტაციას. ჩაფარი ამბობს: ბოდიში, რომ საქმეში ასე ვერევი, მაგრამ საჭიროა თუ არა გამოძიება? აქ საქმე გვაქვს ე.წ. ბრალის ავტომატურ დაკანონებასთან, რაც მიგვანიშნებს სასამართლო სისტემაში არსებულ წინასწარგანსაზღვრულ შედეგზე. ჩაფარი იხსენებს წარსულ საქმეს და საზოგადოებრივი ჭორების საფუძველზე ამყარებს ექვმიტანილის ბრალს. ეს ძალიან ჰგავს დღევანდელ საქართველოში რეჟიმის მიერ შეკვეთილ და პროპაგანდისტული მედიის მეშვეობით გავრცელებულ წინასწარგანწყობას, ხალხს დააჯეროს აბსურდული ბრალდებები, რათა სასამართლოს გაუადვილდეს ხელისუფლებისთვის მაამებელი განაჩენების გამოტანა. ფარსად ქცეულ ქართულ სასამართლოს ბრალდებების მიკერძოებული ინტერპრეტაციითა და ფორმალური გამოძიებით, ზეწოლითა და ცრუ მოწმეებით ზედიზედ გამოაქვს უკანონო განაჩენები და, რეჟიმის ინსტრუმენტად ქცეული, სრულად უგულებელყოფს სამართლის მორალურ ღირებულებებს.

მეოთხე ნარატორის - მოხუცი ქალის - მონოლოგი მოკლულ სიძესა და დაკარგულ შვილზე ძალიან ჰგავს თანამედროვე საქართველოს პატრიარქალური საზოგადოების ემოციურ რეაქციას - გულწრფელს, მაგრამ სუბიექტურსა და დეზორიენტირებულს. მოხუცი ქალიარამხოლოდოჯახურიტკივილით,არამედ ისტორიული უმწეობითაცაა შეძრწუნებული.

ის უბრალოდ დედა კი არა, მთელი თაობაა, რომელმაც ვერ შეძლო საკუთარი მომავლის დაცვა იმ სამყაროსგან, რომელიც თავად ვერ შეცვალა, ამიტომ სამართლის აღსრულებას ტრანსცენდენტულ ძალას - ღმერთს სთხოვს. თანამედროვე საქართველოს კონტექსტით მოხუცის ხმა, იმ მშობლების სასოწარკვეთა, რომლებიც შვილების დაპატიმრებას, მათზე ძალადობას, უსამართლობასა და მორალურ განადგურებას ვეღარ ებრძვიან ვეღარც სამართლით და ვეღარც პროტესტით.

ტაჯიმარუ - მეხუთე მთხრობელი - ყაჩაღია, რომელიც აღიარებს მკვლელობას და ქალზე ძალადობას, თუმცა ამას სრულებითაც არ ნანობს. მისი ნარატივი ყველაზე გრძელი და თამამია. დიახ, მან მოკლა სამურაი, იძალადა ქალზე, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ეს უტიფარი ავაზაკი, რომელიც მთელი მონოლოგის განმავლობაში საკუთარ თავს ვითარების მსხვერპლად წარმოაჩენს, საქართველოში დამყარებული რეჟიმის ალეგორიად შეგვიძლია განვიხილოთ - ძალაუფლების მექანე სისტემა, რომელიც დაუფარავად გვეუბნება, რომ საგარეო კურსის შეცვლა, პოლიტიკური ოპონენტების განადგურება, მათზე ძალადობა, მათი დაპატიმრება და დევნა დიდ მიზანს - მშვიდობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებას ემსახურება, რომ მსხვერპლი თავად მოძალადე რეჟიმია და არა მის მიერ დევნილი ადამიანები. პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია გარე ძალების ჩარევამ, დასავლურმა პროპაგანდამ, ოპოზიციურმა პარტიებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და თავისუფალმა მედიამ, მათ კი მხოლოდ დაიცვეს ქვეყანა ომისა და ქაოსისგან. რეჟიმი ავაზაკ ტაჯიმარუსავით ცდილობს ისტორიის მორგებას, თითქოს მის გადანყვევტილებებს, ავტორიტარიზმს, სისასტიკეს და რუსეთთან „ფლირტს“ ალტერნატივა არ გააჩნია.

ნამუსახილი ქალი მოთხრობის მეექვსე ნარატორია. ავაზაკი ძალადობს მასზე ქმრის თვალწინ. ქართული ოპოზიციის მსგავსად, მას წართმეული აქვთ ნება, უფლება, და, საუბედუროდ, საღი განსჯის უნარიც - ეჭვით, მაგრამ მაინც მიჰყვება ავაზაკს უსიერ ტყეში, ცდილობს თავდაცვას, მაგრამ ვერ ახერხებს - ერთი მხრივ, მებრძოლია, მეორე მხრივ კი, დამორჩილებული. ქართული ოპოზიცია წუხს, რომ დემოკრატია დასრულდა, ხალხს ხმა მოჰპარეს, არჩევნები გააყალბეს, თუმცა

საკუთარ დანაშაულს ამაში ვერ ხედავს და, შესაბამისად, არც რეფლექსია გააჩნია. დამარცხებული ქალის მსგავსად, ოპოზიციის ნარატივი ემოციური და წინააღმდეგობრივია. ის ვერ აყალიბებს, რა უნდა და რისთვის იბრძვის, ვერც პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე და უჭირს მარცხის გააზრება, ამიტომაც მუდმივად მანიპულირებს საკუთარი მსხვერპლობით.

ყველაზე ტრაგიკულია გარდაცვლილი სამურაის სული, რომელიც წინასწარმეტყველის საშუალებით მეტყველებს. ის ამბობს: მე, მე თვითონ მოვიკალი თავი. ესაა ჭეშმარიტების დადგენის მთელი აბსურდულობა, როცა სიმართლე ყველა მონაწილის ნარატივს უარყოფს. სამურაი - ფასეულობების, ღირსებისა და სამართლიანობის მეტაფორა - ვერ უძლებს ძალაუფლების მანქანას, რაც გვიჩვენებს, რომ სისტემასთან ჭიდილში სიმართლის მახვილი მხოლოდ დროებით ძალას ფლობს, რადგან ის ფრაგმენტირებულ და ურთიერთდაპირისპირებულ სოცუმს ეფუძნება.

პირობითად, აკუთავას ეს ექსპერიმენტი მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობის აქტუალურ მეტაფორად შეიძლება განვიხილოთ. საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ქაოსი და ფრაგმენტირებული სიმართლე იწვევს საზოგადოებრივ ნიჰილიზმსა და უნდობლობას, ხოლო რეალობა აღიქმება პარტიული ინტერესებით მოტივირებულ ისტორიათა გროვად, სადაც გზის გაკვლევა ისეთივე ძნელია, როგორც უსიერ ტყეში.

და მაინც ვინ მოკლა თავისუფლება? ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს - ყველას ჩვენი წილი პასუხისმგებლობა გვეკისრება. ■





რიკარდო სილვესტრე

სედვა აცლანსიკიდან

პორტუგალიელთა უმრავლესობისთვის, დიდი ხნის მანძილზე, საქართველო ფიქივით შორეული, ეგზოტიკური ადგილი იყო, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად ენერგიული მამაკაცების ეროვნული სარაგბო მატჩებითაა ცნობილი. ეს მნიშვნელოვნად შეიცვალა, როდესაც ჩვენს ეკრანებზე ნანა მალაშხია ვიხილეთ, რომელიც წყლის ქაღალის მანქანების, რეპრესიებისა და ავტორიტარიზმის წინააღმდეგ შეუდრეკლად აფრიალებდა ევროკავშირის დროშას. ჩვენს პატარა, იბერიულ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ ცოცხალია რეპრესიული რეჟიმის ხსოვნა და რომელშიც ბლოკში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროკავშირის მხარდამჭერი განწყობები, აღნიშნულ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს თავისი თვალთ იხილა თქვენმა მონა-მორჩილმა, როდესაც შარშან, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდისა და ევროპის ლიბერალური ფორუმის მიერ ორგანიზებულ შავი ზღვის უსაფრთხოების კონფერენციაზე დასასწრებად ჩამოსვლისას, სასტუმროში ჩანთების დატოვების შემდეგ, შოთა რუსთაველის გამზირზე ჩავისეირნე. ქალაქის მთავარი არტერია წინასაარჩევნო პერიოდის გამო მშვიდად გამოიყურებოდა თუმცა ვიცოდი, რომ ეს ის ადგილი იყო, სადაც ადამიანები პროტესტს გამოხატავდნენ. თავიანთი ქვეყნის მომავლისთვის მებრძოლი საქართველოს

მამაცი ქალებისა და კაცების მხრიდან ეს პროტესტი ახლაც გრძელდება. ადგილის სილამაზისა და ისტორიის გარდა, კიდევ ერთი რამ, რაც, ევროპული პროექტის გულმხურვალე მხარდამჭერმა შეუძლებელია ვერ შეამჩნიო, შენობების კედლებზე ამოტვიფრული ყვითელი ვარსკვლავებით მოჭედილი ევროკავშირის ლურჯი დროშების სტენსილებია.

კონფერენციის დროს გამართულმა გულ-ახდილმა საუბრებმა საქართველოს მნიშვნელობას კიდევ უფრო გაუსვა ხაზი. ევროპული პროექტის მომავლის დიდი ნაწილი სამხრეთ კავკასიას მოიცავს, რაც დაკავშირებულია ენერგეტიკასთან, საზღვაო ტრანსპორტთან, უსაფრთხოებასთან და პუტინის ექსპანსიონისტური განზრახვების შეჩერებასთან. თუმცა, იყო რაღაც შემაშფოთებელი მათთვის, ვინც ყურადღებით აკვირდებოდა შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ტრანს-ფორმაციას. ეს იყო პარტია, რომელიც დემოკრატიისთვის, ხალხთა თავისუფლებისა და თვითგამორკვევისთვის მებრძოლთა მხარდამჭერით ამაყოფადა. ახლა ის გადაიქცა „MAGA“ მოძრაობად, რომელიც გაჯერებულია ტრამპის „ეპოქით“ შეგულიანებული რადიკალი კონსერვატორებით, მოძრაობების „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ და თეთრკანიანთა

უპირატესობის მომხრეებით, ქრისტიანი დომინიონისტებით, ანტიდემოკრატიული და ანტილიბერალიზმის მომხრე ფანატიკოსებით. კონფერენციაზე, საქართველოდან და ფართო რეგიონიდან ჩვენი ზოგიერთი მეგობრის რწმენა, რომ ტრამპის მეორე ადმინისტრაციაში „ზრდასრული ადამიანების“ გავლენით ამ ტრანსფორმაციის შემსუბუქება შესაძლებელი იყო, ჩემთვის არარეალურად მოჩანდა.

თქვენს მიმომხილველს შესაძლებლობა ჰქონდა ეს მოსაზრება გამოეთქვა (ორჯერ), როდესაც უშურველად შესთავაზეს თანამშრომლობა. მე ჩემი მხრივ დავამატე, რომ კონგრესში რესპუბლიკელებისგან „ერთი ლიდერის მმართველობის მიმართ“ სრული მორჩილება იყო მოსალოდნელი, რაც უკეთ შეეფერება, მაგალითად, არა საქართველოს, არამედ ჩრდილოეთ კორეას. იმას, რასაც მას შემდეგ ვხედავთ „დიდი ძველი პარტიის“ (ასე მოიხსენიებენ რესპუბლიკურ პარტიას ამერიკაში) შემთხვევაში, ადასტურებს ამ შიშებს: მისი პოლიტიკოსების, არჩეული პირებისა და ლიდერების მიერ საკუთარ მოვალეობებზე თითქმის სრული უარის თქმა, რუსეთის მხარეს გადასვლა, ანტიევროპული განწყობები, უპასუხისმგებლო პოლიტიკური გადაწყვეტილებების დაცვა, კონსტიტუციის პირველ მუხლში ასახული მოვალეობების უარყოფა. არსებობს აღნიშვნის ღირსი საპატიო გამონაკლისებიც, რომელიც აჩვენებს, რომ აშშ-ის კონგრესის ზოგიერთ კანონმდებელს გადაწყვეტილი აქვს ისეთი კანონების წარდგენა, რომელიც საკუთარი ბედისთვის მებრძოლ ადამიანებს დაიცავს.

სწორედ მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე „მეგობარი აქტის“ შემთხვევაში. ეს კანონპროექტი აშშ-ის მიერ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას, ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებას, ქვეყანაში დემოკრატიის დაცვას, კონსტიტუციური ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანების გზაზე საქართველოს წინსვლას ემსახურება. ის ასევე ამტკიცებს, რომ აშშ-ს პოლიტიკა უნდა იყოს ქართველების მისწრაფებების მხარდაჭერა, პუტინის აგრესიასთან

ბრძოლაში დახმარება, მათ შორის, მოსკოვთან ვაჭრობაზე ბარიერების დაწესებითა და რუსეთზე მსოფლიოს მასშტაბით სანქციების განხორციელებისა და აღსრულების გზით. ამ კანონპროექტებში ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მოწოდება საქართველოს პოლიტიკური მმართველებისადმი პატივი სცენ მშვიდობიანი შეკრების, მანიფესტაციისა და გამოხატვის თავისუფლებას, მათ შორის,



ჯო უილსონი „მეგობარი აქტით“ ხელში

პრესის თავისუფლებას, რომ ამ ლიდერებმა უნდა იმოქმედონ კანონის უზენაესობის შესაბამისად და მხარი დაუჭირონ ენერგიულ და ინკლუზიურ სამოქალაქო საზოგადოებას. ასევე, საქართველოს მთავრობამ უნდა გაათავისუფლოს პოლიტიკურად მოტივირებული საფუძვლით დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი და მოხსნას მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები, აგრეთვე, საფუძვლიანად გამოიძიოს ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგად წარმოშობილი ყველა ბრალდება. აღნიშნული წინადადებები ორპარტიულია, წარმომადგენელთა პალატის კანონპროექტს დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიებიდან 9-9 თანაავტორი ჰყავს, სენატში კი 2-2.

ეს არ იყო ქართველი ხალხის მხარდამჭერი ერთადერთი ინიციატივა ვაშინგტონში. ასევე არსებობს წინა კონგრესში წარდგენილი „ქართველი ხალხის აქტი“, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ავალდებულებს შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგია საქართველოს მიმართ, მათ შორის, სამხედრო დახმარების გადახედვა და საქართველოს

მოქმედი მთავრობის მიმართ დაფინანსების შეჩერება. აგრეთვე არსებობს დემოკრატი სენატორის ჯინ შაჰინის წერილი ირაკლი კობახიძისადმი (2024 წლის 26 აპრილი), რომელშიც წერილის ავტორი გმობს ქართული სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ თავდასხმებსა და ეწინააღმდეგება მთავრობის განზრახვას, წავიდნენ ევროკავშირში განევრიანების მხარდამჭერი ქართველი ხალხის სურვილების წინააღმდეგ. თუმცა, ამ მნიშვნელოვანი წინადადებების მიუხედავად, კონგრესის ორივე პალატაში მეგობარი აქტის დამტკიცების და შემდეგ პრეზიდენტი ტრამპის მიერ კანონად ხელმოწერის შესაძლებლობა, ვიყოთ გულახდილები, არც ისე მაღალია. რესპუბლიკურ პარტიაში, განსაკუთრებით მის ლიდერში, რუსული ინტერესების მიმართ აშკარა სიმპათიები არსებობს, რაც შემაშფოთებელია. ეს მოქმედ ადმინისტრაციას ევროპისა და ევროპელებისთვისაშკარადამყისიერსაფრთხედ აქცევს. ყოველივე ამას ემატებოდა ევროკავშირში MAGA მოძრაობის მიერ ულტრამემარჯვენე პარტიებისა და იდეოლოგიის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედებები, ან ისეთი ექსტრემისტული ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა Heritage Foundation, ამერიკული ლიბერალური ექსპერიმენტის დემონტაჟი და ევროკავშირზე შიგნიდან თავდასასხმელად გეგმების შედგენა.

რა შეიძლება გაკეთდეს? აი, მცირე სია, მეგობრის დახმარებით:

ერთიანობის შენარჩუნება. საქართველოში, აუცილებლად, მაგრამ ასევე საქართველოზე მზრუნველ მთელ დემოკრატიულ სამყაროში და იმ სხვა ქვეყნებშიც, რომელთა დემოკრატიული სისტემები და ინსტიტუტები თავდასხმის ქვეშაა.

კონცენტრირება. ამბობენ, რომ დრო დიდებული მკურნალია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ასე არ არის. დროის გასვლა ხალხს ყურადღებას უფანტავს, ენერგიას აცლის და უზურპატორებს ძალაუფლების კონსოლიდაციის საშუალებას აძლევს.

როგორც ჩანს, მსოფლიო პოლიტიკურად სულ უფრო ირაციონალური ხდება და არ

არსებობს ამის უკეთესი მაგალითი, ვიდრე ის, რასაც ვაშინგტონში ვხედავთ, მაგრამ მიზანზე თვალი აუცილებლად უნდა გვეჭიროს - დემოკრატიის დაბრუნება საქართველოში და მისი ხალხის ნება, მისდიოს თავის მიზანს გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი (ეს უკანასკნელი იმ დროისთვის თუ კიდევ იარსებებს).

მოეკიდეთ საქმეს მეტი ყურადღებით.

პროგრესის, ლიბერალიზმისა და დემოკრატიის მოწინააღმდეგეები ამ თამაშში “ოლ ინ” არიან ჩართული და არ შეჩერდებიან, სანამ არ დავამარცხებთ. მათი არსებობა ამ ბრძოლაზე დამოკიდებული, ხოლო ძალაუფლებისადმი მათი ლტოლვა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ბრუტალურ ფორმებს იძენს.

დაეხმარეთ ინფორმირებულობის გაზრდას.

გამოიყენეთ თქვენი პლატფორმა, რაც არ უნდა იყოს ის - სოციალური ქსელი, პოდასტი ან წერილი თქვენს მედიას - რომ ხმა მიანვიდინოთ თქვენს მთავრობას და პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც გული შესტკივთ ლიბერალური დემოკრატიის ბედზე.

შეიტანეთ თქვენი წვლილი, რომ გაიზარდოს წნეხი ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ევროპის კავშირზე და გაერთიანებულ სამეფოზე, რათა მათ გააძლიერონ ზეწოლა ივანიშვილზე, ივანიშვილის ოჯახზე, ქსელზე, რომელიც მას რეჟიმის შენარჩუნებაში ეხმარება და მისი პოლიტიკური გუნდის საკვანძო წევრებზე.

როგორც „ახალი ივერიის“ წინა ნომერში აღინიშნა, უნდა დავიჯეროთ, რომ ბოლოს გმირები ყოველთვის იმარჯვებენ. და თუ ჯერ ეს ასე არ მომხდარა, ე.ი., ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. საქართველოს აქვს გმირობის გრძელი ისტორია. დღევანდელი გმირები ქვეყნის ქუჩებში, სიტყვებსა და ქმედებებში, ქართველებისთვის უკეთესი მომავლის შექმნის გზაზე დასახმარებლად ჩამოყალიბებულ კოალიციებში ყალიბდებიან.

„ძალა ერთობაშია!“ - ახალი გმირები სწორედ ამ სულისკვეთებით გაიმარჯვებენ. ■



გია ჯაფარიძე

ფარსთაქის არჩევანი

წარსულში უნდა დავბრუნდეთ ცოტა ხნით და ნაცნობი ისტორია გავისხენოთ. ისტორია იმისთვისაც გვჭირდება, რომ იქიდან გაკვეთილები გამოვიტანოთ, მხოლოდ ლეგენდად ან ისეთ წარსულად არ უნდა დარჩეს, რომელიც არ გვხვება.

მეექვსე საუკუნის შუა ხანებში ლაზიკის სამეფო აღმოჩნდა ორი დიდი იმპერიის - აღმოსავლეთ რომისა (ბიზანტია) და სასანიდური ირანის დაპირისპირების საგანი. ბიზანტიასა და სპარსეთს შორის კონფლიქტში ლაზიკა რომაელთა მხარეზე იბრძოდა. ბიზანტიელი სარდლების მუხანათურ ღალატს მოჰყვა ლაზიკის მეფე გუბაზის სიკვდილი. ქართულ სამეფოს მომავალი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია უნდა გადაეწყვიტა, რა მიზეზითაც 555 წელს ლაზიკის პოლიტიკური ელიტა შეიკრიბა და ისტორიაში „ეგრისის კრების“ სახელით შესული თავყრილობა გაიმართა.

ლაზიკის პოლიტიკოსთა ნაწილი მხარს უჭერდა ბიზანტიასთან ურთიერთობის განწყვეტას და ირანთან მოკავშირეობას, ხოლო მეორე ნაწილი, მიუხედავად ბიზანტიელი სარდლების ღალატისა, აგრძელებდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის მხარდაჭერას. ორ ბანაკს წარმოადგენდნენ იმ დროის ცნობილი პოლიტიკოსები და რიტორები - აიეტი და ფარტადი.

აიეტი ამტკიცებდა, რომ „გაქრა კოლხების ძველი ღირსება, - დღეიდან ჩვენ სხვებზე ვეღარ ვიბატონებთ ... ჩვენ რომ ეს ბოროტმოქმედება უყურადღებოდ დავტოვოთ, რომაელები უკვე აღარ დაგვეხსნებიან და კიდევ უფრო გაგვაბახებენ ჩვენი უმოქმედობის წყალობით. რა თქმა უნდა, რომაელები იმათ უფრო თავხედურად ექცევიან ვინც ემორჩილება და ჩვეულებრივად ზევითა და ქვევით უყურებენ იმათ, ვინც მათ ემსახურება



... მე მინდა რომ კოლხეთის სამეფოს ჰქონდეს თავისი ძველი დიდება, რომ მას არ სჭირდებოდეს უცხოელების დახმარება გარედან, რომ როგორც ომის ასევე მშვიდობის დროს ის თავის ძალებს ეყრდნობოდა. მაგრამ როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით ან ორივე მიზეზის წყალობით ისე დავუძღვრდით, რომ სხვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია იმის ხელქვეითი ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც დაურღვევლად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებთან და მოკავშირეებთან“. (ხომ არ პოულობთ პარალელებს ქოცურ დღევანდელობასთან?)

ფარტაძიმ ხაზი გაუსვა ბიზანტიასთან ღირებულებებისა და ქრისტიანული იდენტობის ერთიანობას და თქვა, რომ „რომაელები მაინც უფრო მისაღებნი არიან, რადგან სპარსელები ვერასოდეს ვერ შეეგუებიან, რომ ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვს. სასოწარკვეთილებას და გრძნობების ღელვას კი არ უნდა აფუკეთ და მონებივით კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ უნდა გავიმსჭვალეთ კოლხის თავისუფლების სურვილით, ვაჟკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არავითარი უღირსი და მამაპაპური წესების შემბლაღავი საქციელი. შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს, თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უარყოფილი იქნა, მაშინ ვიფიქროთ სპარსელებთან კავშირზე“.

საბოლოოდ ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი მთელი ისტორიის მანძილზე ევროპის კრებას ჰგავს. საქართველოს ყოველთვის უწევდა მანევრირება დიდ ცივილიზაციებს შორის, რომ შეენარჩუნებინა თავისუფლება და საკუთარი იდენტობა.

მაშინაც კი, როცა აღმოსავლეთის დიდი ძალები (Great Powers) ქართველ მეფეებს თავისუფლების სანაცვლოდ კომფორტს, კეთილდღეობას და პიროვნულ დიდებას სთავაზობდნენ, ქართველი მმართველები ევროპული ცივილიზაციის სივრცეს ირჩევდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც სპარსეთის

**საქართველო ყოველთვის
საგარეო პოლიტიკური
არჩევანის წინაშე იდგა და
ყოველთვის ირჩევდა ბერძნული
დემოკრატიის, რომაული
სამართლისა და ქრისტიანული
მორალის სივრცეს, რაც არის
კიდევ ევროპა და ზოგადად
დასავლური ცივილიზაცია.**

იმპერიის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მმართველად დანიშნულმა, ფაქტობრივად გუბერნატორმა, ვახტანგ VI-მ სტამბა დაარსა, მან პირველი ახალი აღთქმა და „ვეფხისტყაოსანი“ დაუბეჭდა ქართველებს. თუ რამე განსაზღვრავდა ქართველთა იდენტობას, ეს იყო სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ და ქრისტიანული ფილოსოფია. ვახტანგ მეექვსე ქართველთა დაკარგული თუ მივიწყებული იდენტობების და ცნობიერების დაბრუნებას შეეცადა მისი თანამედროვე ქართველებისთვის, რომლებიც ისტორიულმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა დააშორა თავის ნამდვილ სახეს.

საქართველო ყოველთვის საგარეო პოლიტიკური არჩევანის წინაშე იდგა და ყოველთვის ირჩევდა ბერძნული დემოკრატიის, რომაული სამართლისა და ქრისტიანული მორალის სივრცეს, რაც არის კიდევ ევროპა და ზოგადად დასავლური ცივილიზაცია.

დასავლეთის ქვეყნებში შეიცვლება მთავრობები, ხელისუფლებაში პერიოდულად მოვლენ პოლიტიკური ძალები, რომელთა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები საქართველოს ინტერესებისგან განსხვავებული იქნება. შეიძლება ისევ მოხდეს, რომ დასავლურ სახელმწიფოებს სხვადასხვა საკითხებზე ერთმანეთში აზრთა სხვადასხვაობა შეექმნათ, მათ ურთიერთობებში ბზარები გაჩნდეს და დასავლეთმა ვერ გამოავლინოს ერთიანობისა და სოლიდარობის სულისკვეთება, მაგრამ საქართველოს საუკეთესო არჩევანი არის





მისი ინტეგრაცია დასავლეთის სტრუქტურებში ეროვნული უსაფრთხოების, ეროვნული თვითმყოფადობის და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ შეიძლება საქართველოს დასავლურ არჩევანს ეგზისტენციალური, არსებობისთვის აუცილებელი არჩევანი ეწოდოს.

საქართველო დღესაც ამ არჩევანის წინაშე დგას. საქართველო ვერ შეცვლის თავის გეოგრაფიას. იგი მდებარეობს ისტორიულ გეოპოლიტიკურ სამკუთხედში - რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორის. სამივე ძველი ისტორიული ძალაა, მუდმივი რევიზიონისტული მისწრაფებებით. მყარი გეოპოლიტიკური რეალობის შეცვლას დრო სჭირდება, თბილისს დიდხანს მოუწევს ამ ვითარებაში ფუნქციონირება, გაურკვეველი მომავლით, უსაფრთხოების გარანტიების და ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივის გარეშე. პრაგმატულად, დასავლეთის ეკონომიკურ და უსაფრთხოების სტრუქტურებში ინტეგრაცია საქართველოს ერთადერთი გამოსავალია.

შეიძლება საქართველოს დასავლურ არჩევანს ეგზისტენციალური, არსებობისთვის აუცილებელი არჩევანი ეწოდოს.

მაგრამ ერთია, რა არჩევანი აქვს საქართველოს და მეორეა, რამდენად შესაძლებელია ეს პრაქტიკაში განხორციელდეს. საერთაშორისო პოლიტიკა უმეტეს შემთხვევაში ორმხრივი მოძრაობის ქუჩაა. რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს ევროპასა და აშშ-ს საქართველოს მიმართ?

ევროპა და აშშ ღირებულებების სივრცეა. თავისუფლება, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა - ეს ის ღირებულებებია, რომლებსაც დასავლეთი არა მხოლოდ მხარს უჭერს, არამედ მათზე დაფუძნებით ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც იზიარებს

ერთსა და იმავე პრინციპებს. პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ზოგიერთი მიმდევარი შეიძლება არ ეთანხმებოდეს, მაგრამ ზუსტად რეალიზმის თეორიის მიხედვით, საერთო ღირებულებების მქონე ქვეყნების მხარდაჭერა ეროვნული ინტერესია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში შედარებითი ძალაუფლების გაზრდის მიზნით.

რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია უკრაინაში ერთგვარი გამოფხიზლება იყო ევროპისთვის. ევროპის კავშირი, ე.წ. „გაფართოების დაღლის“ მდგომარეობაში, არ ფიქრობდა მომავალ გაფართოებაზე; დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები, მხოლოდ გეოგრაფიიდან გამომდინარე, უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ქვეყნები. ეს პროგრამაც მხოლოდ „დამამშვიდებელი პრიზი“ იყო იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მგზავრები იყვნენ სადგურზე, სადაც გაფართოების მატარებელი არასოდეს ჩამოივლიდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის მიერ საზღვრის ძალისმიერი შეცვლისა და უკრაინის რუკიდან წაშლის მცდელობამ გამოაფხიზლა ევროპა და მან გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღო საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებით და უკრაინასა და მოლდოვასთან განწევრიანების მოლაპარაკებების დაწყებით. დღეს საქართველოს დე ფაქტო მთავრობა უკვე ევროპის კავშირის თავისუფალია, რადგან ის განწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსით სარგებლობს. თუ რამე არ აძლევს ხელს ევროპის კავშირს, თუ რამე დააზიანებს მის რეპუტაციას, თუ რამე იქნება ევროპის კავშირის შემდეგი გაფართოების საკითხზე მძიმე დარტყმა, ეს არის ევროპის კავშირის „ჩავარდნა“ რომელიმე კანდიდატ ქვეყანასთან მიმართებაში. საქართველოს შეუძლია ეს მომენტი საკუთარ უპირატესობად გამოიყენოს, ერთგვარ შანტაჟად - ამ სიტყვის კარგი გაგებით.

არსად ფრიალებს ევროკავშირის დროშა ისე მაღლა, როგორც თბილისში, ივანიშვილის ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ გამართულსაპროტესტოაქციებზე. გაფართოება ახალ ბიძგს აძლევს ევროინტეგრაციის პროექტს, აძლიერებს ევროპული იდენტობის



იდეას, აღვიძებს ევროპული ერთიანობის მიძინებულ კონცეპტს, გამოსავალს იძლევა ჩიხში მოქცეული ევროპული პროექტისთვის და ასრულებს ევროპული ინტეგრაციის პროცესს, რომელიც ევროპას გეოპოლიტიკურ აქტორად აქცევს. შემთხვევითი არ არის, რომ გერმანიის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა არაერთხელ გაიმეორა - თბილისი დღეს ევროპის ნამდვილი დედაქალაქია.

არსად ფრიალებს
ევროკავშირის დროშა ისე
მალლა, როგორც თბილისში,
ივანეშვილის ავტორიტარული
რეჟიმის წინააღმდეგ
გამართულ საპროტესტო
აქციებზე. გაფართოება
ახალ ბიძგს აძლევს
ევროინტეგრაციის პროექტს,
აძლიერებს ევროპული
იდეოლოგიის იდეას, აღვიძებს
ევროპული ერთიანობის
მიძინებულ კონცეპტს,
გამოსავალს იძლევა ჩიხში
მოქცეული ევროპული
პროექტისთვის და ასრულებს
ევროპული ინტეგრაციის
პროცესს, რომელიც ევროპას
გეოპოლიტიკურ აქტორად
აქცევს. შემთხვევითი არ არის,
რომ გერმანიის ყოფილმა
სახელმწიფო მდივანმა
არაერთხელ გაიმეორა -
თბილისი დღეს ევროპის
ნამდვილი დედაქალაქია.

ევროპა არ ცხოვრობს „ცივი ომის“ რეალობაში, სამყარო შეიცვალა ბოლო 30 წლის განმავლობაში. ძნელი წარმოსადგენია ევროპის უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონის

უსაფრთხოების გარეშე. ამიტომ აუცილებელია, რომ ევროკავშირში გაწევრიანებას თან ახლდეს უსაფრთხოების კომპონენტი. უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ ეს დაადასტურა და რეალური საფრთხეები შეახსენა ევროპის ქვეყნების დედაქალაქებს. შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გასაზრებელია დასავლეთში. უკრაინისა და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებანიშნავს შავი ზღვის „დასავლეთის ტბად“ ქცევას, რაც სამუდამოდ ასამარებს რუსეთის ამბიციას, გახდეს „მესამე რომი“ და გასასვლელი ჰქონდეს „თბილ წყლებზე“. შავი ზღვის რეგიონი ისევე აუცილებელია დასავლეთის უსაფრთხოებისთვის, როგორც არქტიკის რეგიონში ძალთა ბალანსის საკითხი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში მეტი სიმძაფრით დადგა საერთაშორისო დღის წესრიგში.

რუსეთის ფედერაციისა და ირანის საერთაშორისო სანქციების ქვეშ ყოფნა, რაც შესაძლოა კიდევ დიდი ხანი გაგრძელდეს, სხვა უფრო უარესი სცენარების განვითარების ალბათობა რომც არ დავუშვათ (ომის გაგრძელება უკრაინაში, სხვა ომი ფართო რეგიონში), გულისხმობს დასავლეთისთვის სავაჭრო-ეკონომიკური კომუნიკაციების დივერსიფიკაციის აუცილებლობას. მიუხედავად ბევრი გამოწვევისა, რომელიც „ცენტრალური დერეფნის“ პოტენციურ პროექტში მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ (პროექტის სიძვირე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, არსებულის მოდერნიზაციის საჭიროება, ზოგიერთ სახელმწიფოს შორის ხანგრძლივი უთანხმოებები კასპიის ზღვის გარშემო, სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და სხვა), ცენტრალური დერეფნის პროექტი მაინც რჩება დასავლეთისთვის ძვირ, მაგრამ საუკეთესო გამოსავლად ცენტრალურ აზიასთან და ინდო-ჩინეთთან სავაჭრო კომუნიკაციის და ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების კუთხით. საერთაშორისო იზოლაციიდან რუსეთის და/ან ირანის გამოსვლა არ წარმოადგენს გარანტიას, რომ მომავალში მოსკოვი და/ან თეირანი უკან

მოითხოვებს რევიზიონისტულ მისწრაფებებს და გახდება დასავლეთის პარტნიორი.

კრიზისი ქმნის შესაძლებლობებსაც. პრაგმატიზმი, რაციონალიზმი და გარკვეული დოზით მორალური სიცხადე უნდა ამოძრავებდეს საქართველოს საგარეო პოლიტიკას, რომელიც თავის მხრივ მხოლოდ ქვეყნის გრძელვადიანი ეროვნული ინტერესებით განისაზღვრება ცვალებად საერთაშორისო გარემოებებში. საქართველოს აქვს მხოლოდ იმედგაცრუების უფლება, როგორი იმედგაცრუებულებიც დავრჩენილვართ წარსულში, როცა „ერთა ლიგის“ მიღმა დავტოვეს, შემდეგ კი ყოყმანის გარეშე დაუთმეს საქართველო სტალინს, მერეც, როცა მარტივად დაუტოვეს საჯიჯნად რუსეთს მთელი აღმოსავლეთი ევროპა, როცა არ შეაჩერეს „მოკავშირე“ სტალინის არმიის სვლა ევროპის დედაქალაქებისკენ, როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „ძია იოსებს“ (Uncle Joe, როგორც მოფერებით ეძახდნენ კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს სერიულ მკვლელს) გადასცეს დასავლეთს შეფარებული რუსეთის იმპერიის მოქალაქეები, რომელთაც სსრკ-ში უეჭველი სიკვდილი ელოდათ; როგორი იმედგაცრუებულებიც დავრჩით 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესიის დაშვებით, ხოლო აგვისტოს ომის შემდეგ თვალის დახუჭვით იმ ფაქტზე, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად მოხდა ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს

ტერიტორიული მთლიანობის შელახვა და საზღვრების უხეში დარღვევა; გვეტკინა, როცა ზოგი დასავლელი პოლიტიკოსი მსხვერპლის ხარჯზე ჯალათთან ურთიერთობების დალაგებას ცდილობდა, ან როცა ომიდან რამდენიმე თვეში რუსეთს გადატვირთვის ლილაკი მიაართვეს; იმედგაცრუებული დავრჩით, როცა პარტნიორები თბილისს სთხოვდნენ რუსეთისთვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე საქართველოს მხრიდან ვეტოს მოხსნას; იმედგაცრუებული დავრჩით 2014 წელს ყირიმის და დონბასის ანექსიაზე დასავლეთის რეაქციით, ნორდ სტრიმ 1 და ნორდ სტრიმ 2 პროექტებით რუსეთის გაზზე დამოკიდებულების გაზრდით; იმედგაცრუებულები ვიყავით, დასავლეთის მხრიდან საქართველოში ივანიშვილის რეჟიმის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევებზე, მართლმსაჯულების და ბოლოს სახელმწიფოს მიტაცებაზე, მედიის და პოლიტიკური პარტიების შევიწროებაზე; გვიკვირდა და სასონარკვეთილებაში გვაგებდა დასავლეთის მიამიტობა და, დიპლომატიურად რომ ვთქვათ, გადაჭარბებული ოპტიმიზმი რუსეთის და ივანიშვილის მიმართ, მაგრამ არასდროს მოგვრევია ბრაზი, რადგან ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს.

ჩვენ სულ ფარტადის არჩევანი გვაქვს. ■





მათე გულუა



რატი ტყემალაძე

სახვი და სანახაობა

„კომისია, კომისია, კომისია!“ - გაჰყვირის ტელევიზორი, რადიო, სოცმედია და თქვენი მეზობელი. უკვე თითქმის ორი თვეა, ქართული ოცნების მასკარადი, ასევე ცნობილი, როგორც „დროებითი საგამოძიებო კომისია“ დომინირებს ქართული საზოგადოების ცაიტგაისტში. „ნახე, წულუკიანმა რა თქვა?“, „გახარია დაუბარებიათ“, „ქალბატონი ალუდა“ და ა.შ. არის ფრაზები, რომლებსაც ხშირად მოისმენთ. მაგრამ რატომ? რატომ დგამს ბიძინა ივანიშვილის ე.წ. პარლამენტი ამ ცირკს მთელი საქართველოს წინაშე?

ვიცით, რომ ბატონი ბიძინა თავისი „პატარა ტრიუკებით“ გამოირჩევა, ამიტომ, ადვილი გამოსაცნობია, რომ ეს საგამოძიებო კომისია, რომელიც ნიურნბერგის პროცესის თანამედროვე, უნიჭო, ლოკალურ-გროტესკული ვერსიაა, კიდევ ერთი ხრიკია ბიძინა ივანიშვილის რეპერტუარიდან. თუკი შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ ეს არის ტრიუკი, მაშინ ჩნდება შეკითხვა: სად გვატყუებს ივანიშვილი? ამ შეკითხვაზე სწორი პასუხია „ყველგან“, მაგრამ კერძოდ ამ კომისიის კონტექსტში პასუხი უფრო რთული საპოვნელია.

ერთი შეხედვით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საგამოძიებო კომისიამ უკვე მთლიანად მიიტაცა საზოგადოების ყურადღება, შეიძლება ყველაფერი ისე აღვიქვათ, თითქოს ტრიუკის მიზანი იყო, მოსახლეობის ფოკუსი პროტესტიდან გადმოსულიყო იმაზე, თუ როგორ ეარშიყებიან გახარია და წულუკიანი

მთელი ერის წინაშე ერთმანეთს, უნდა მისულიყო თუ არა X პიროვნება, როდესაც ის დაიბარეს, უნდა გადაიხადოს თუ არა Y პიროვნებამ არმისვლის გამო დაკისრებული გირაო, როგორ წაართვა შევარდნაძის რეჟიმის ყოფილ ჩინოვნიკსა და ყოვლად პატიოსან Z პიროვნებას ნაცმოძრაობამ მისი სრულიად ლეგიტიმურად მითვისებული ქონება, და ა.შ... ანუ ეს ყველაფერი ტრადიციული „პური და სანახაობა“, თუმცა ამ ქვეყანაში ბევრისთვის უკვე პურიც ჭირს და სანახაობაც საკმაოდ უნიჭო გამოდგა, მაგრამ თუკი ტრიუკის მიზანი მართლაც ეს იყო, მაშინ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ მან თავისი მისია ათიანზე შეასრულა.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ბოლო 13 წლის განმავლობაში ერთი რამ თუ უნდა გვესწავლა, ეს არის ის, რომ ბიძინას ტრიუკები ერთგანზომილებაში არ უნდა აღვიქვათ. მეტიც, ოცნების ამ სვლაში ტრიუკი ზუსტადაც ის არის, რომ ჩვენ ის უბრალო „პური და სანახაობის“ სტრატეგიად აღვიქვათ და მეტი არაფრად. თუმცა, მის მიღმა ბევრად უფრო ვერაგული და ბოროტი ჩანაფიქრებია. რეალურად, ე.წ. „ნაცმოძრაობის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი კომისია“ მრავალსაფეხიანი შეტევაა საქართველოს ისტორიაზე, ანმეოსა და მომავალზე.

სინამდვილეში, კომისიას აქვს სამი მიზანი. პირველი და შედარებით აშკარა არის ის, რომ წულუკიანის გამოძიების შედეგად

საქართველომ საკუთარი პირით აღიაროს 2008 წლის ომის დაწყება. მეორე საცეცი, რომელიც ოდნავ უკეთ არის შეფუთული, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის 9 წლის გაშვებაა. ამაზე მინიმუმ 12 წელია ხელიხელჩაკიდებულები მუშაობენ „ქართული ოცნება“ და რუსეთი, მაგრამ ახლა, საქართველოს პარლამენტის სახელით ნიურნბერგის ოფიციალური მოქაფის მოწყობით ამ დაგმობას ავტორიტეტული, ოფიციალური და დავარცხნილი სახე ექნება. აღარ იქნება მდინარაძის მოგონილი ტყუილები ე.წ. „სისხლიან“ 9 წელზე უბრალო

მებრძოლი ხალხი. დიახ, სწორად გაიგეთ, პატივმოყვარეობა ისეთ სახელმწიფოსაც კი აქვს, როგორიც რუსეთია - ოლონდ, ამ სიტყვის გამრუდებული ინტერპრეტაციით. რუსული თვალსაზრისით, ომი მართლაც საქართველომ დაიწყო, არა იმიტომ, რომ პირველი ქურვი ისროლა, არამედ იმიტომ, რომ გაბედა და წინააღმდეგობა გაუწია მას. შესაბამისად, საქართველო უნდა დაისაჯოს. კოდორის სპეცოპერაციაში მონაწილე სპეცრაზმელების, ზელიმხან ხანგოშვილისა და ბევრი მათნაირის ბედს თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ რუსეთი არ ივინყებს და არ პატიობს. ყველა, ვინც რუსულ



ქორი, რომლის ტოლფასსაც ე.წ. „ბესედაშიც“ მოისმენთ, არამედ ახლა ეს ქორი გამყარებული იქნება „სერიოზული“ გამოძიებითა და დასკვნებით. მესამე, საცეცი ყველაზე კარგადაა შენიღბული. მეტიც, მას ორი თავი აქვს: ეს საცეცი მიზნად ისახავს, არალეგიტიმური კომისიის მიღებული არალეგიტიმური დასკვნის საფუძველზე არალეგიტიმურმა პარლამენტმა არალეგიტიმურად გამოაცხადოს ოპოზიცია და აკრძალოს ის, როგორც „კოლექტიური ნაცმოდრაობა“, ხოლო ამავდროულად, რეჟიმს გაანეიტრალინების პროტესტი, ჩაანიშნინოს ახალი არჩევნები, შეუქმნას ახალი „ჭიბის ოპოზიცია“ და მისცეს საკონსტიტუციო უმრავლესობა.

მოდით, განვიხილოთ თითოეული მათგანი უფრო დეტალურად.

დაუკვირვებელი თვალისთვისაც კი ნათელია, თუ ვის ემსახურება ქართული ოცნება ბოლო 12 წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა - რუსეთს. ხოლო რუსეთისთვის პატივმოყვარეობის საკითხია 2008 წლის ომი და მის წინააღმდეგ

ექსპანსიონიზმს აღუდგა წინ, უნდა იქნას სამაგალითოდ დასჯილი - ოლონდ თუ აქამდე ამას თავისი აგენტურის ხელით აკეთებდა, ახლა ამას წულუკიანის კომისიით აკეთებს. კომისიამ უნდა მიიღოს დასკვნა, რომ „გიჟმა და პირსისხლიანმა“ სააკაშვილმა დაიწყო ომი და უმანკო რუსი „მშვიდობისმყოფელები“ ჩახოცა, რასაც სამართლიანი რეაქცია მოჰყვა და მძინარე დათვმა ნეონაციისტი ქართველი დიქტატორი დააშოშმინა. ფორმალურად, ითქმება, რომ სააკაშვილმა დაიწყო ომი, ხოლო რეალური მესიჯი იქნება ის, რომ ომი დაიწყო საქართველომ. გარდა იმისა, რომ ეს საქართველოსა და ქართველ ერს ამცირებს, ეს ასევე ემსახურება მიზანს, რომ საერთაშორისო არენაზე რუსეთი მსხვერპლად, სტატუს ქვოს დამცველად წარმოჩინდეს. ამ მესიჯბოქსის საწყისი ეტაპების განვითარება უკვე ვნახეთ - თუ აქამდე წულუკიანისთვის და „ოცნებისთვის“ ეს მხოლოდ სააკაშვილის „ავანტიურა“ იყო, კომისიის დაწყებისთანავე რიტორიკის ზალპი გახსნეს და რამდენიმე კვირაში გვამცნეს, რომ გიორგი ანწუხელიძე გმირი კი არა, ვილაცის

პიარს უაზროდ შეწირული ყოფილა. დაიწყეს სააკაშვილით და მიადგნენ ამ ომის ყველაზე დიდ სიმბოლოს, გიორგი ანწუხელიძეს და მისი ჰეროიზმის გაუფასურება სცადეს. შეგიძლიათ თავად წარმოიდგინოთ, როგორ საზიზღარ ნარატივს შემოგვთავაზებენ მას შემდეგ, რაც ამ კომისიით ოფიციალურად დაასკვნიან, რომ ომი საქართველოს ბრალი იყო.

ახლა მეორე საცეცხე რომ ვისაუბროთ: რუსეთისთვის მიუღებელია არა მხოლოდ როდესაც ეწინააღმდეგები, არამედ როდესაც უბრალოდ ვითარდები და წარმატების ალტერნატიულ მოდელს სთავაზობ რეგიონს. მასებს, რომლებსაც რუსი მმართველები საკუთარ ქვეყანაში სიდუხჭირეში აცხოვრებენ, ახარებთ და აშოშმინებთ აზრი, რომ მათ გარშემო

რუსეთი არ იზიჯება და არ კანციალირებს. ყველა, ვინც რუსულ აქსესორიზმს აღუბნა წინ, უნდა იქნას საზიზღარო და სიძულადი - ოღონდ თუ აქამდე არაა თუ ვინაა ახლოს ხალხი აქამდე, ახლა არაა ხალხი ახლოს კომისიით აქამდე.

ზოგადად, ომის პერიოდშიც და შემდგომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვინ და როგორ ავრცელებს დომინანტ ნარატივებს. 2008 წლის ომის პერიოდში რუსებმა საქართველოზე განახორციელეს მასშტაბური საინფორმაციო შეტევა. ქართულმა მხარემ ვერ შეძლო ობიექტური ფაქტების სწრაფად გავრცელება საერთაშორისო მედიაში, მითუმეტეს, რომ იმ პერიოდში არ არსებობდა ინფორმაციის გავრცელების ისეთი საშუალებები, როგორიც დღეს გვაქვს. შედეგად, საქართველო საერთაშორისო ველზე, ხშირად, ცალმხრივად გაშუქებული ინფორმაციის წინააღმდეგ იბრძოდა და საკმაოდ წარმატებით. თუმცა, როგორც კი საგამოძიებო კომისია აღიარებს ქართული მხარის დანაშაულს 2008 წლის ომში, მაშინვე წყალში ჩაიყრება მანამდე განეული ტიტანური პოლიტიკური და დიპლომატიური შრომა. მაგალითად, თუ დღეს CHATGPT-ის შეუძლია, რომ მეტწილად სწორი ინფორმაცია მოგაწოდოთ ომის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ძალიან მალე ეს შეიცვლება, რადგან ხელოვნური ინტელექტი უახლეს ინფორმაციას დაეყრდნობა, რომელსაც „ქართული მხარე“ თავისი წებით გავრცელებს. რუსეთმა კარგად იცის საინფორმაციო ომის მნიშვნელობა, შესაბამისად, ოკუპანტს სურს ომთან დაკავშირებული „ხვრელები“ მისთვის მომგებიანად ამოავსოს.

ქვეყნებში ყველა მათზე უარესად ცხოვრობს. შეგიძლიათ ესაუბროთ საშუალოსტატისტიკურ რუსს და გაიგებთ, რომ ის გამწარებულია, როცა პოლონელები, ბალტიელები, უკრაინელები და, რაღაც პერიოდი, ქართველები, მასზე უკეთ და მასზე ლაღად ცხოვრობდნენ. ამაზე ფიქრისას, რუსი იმას კი არ ფიქრობს, მეც ესე როგორ ვიცხოვროო, არამედ იმას, თუ როგორ გაუმწაროს მეზობელს ცხოვრება, რომ ისევ რუსზე უარეს მდგომარეობას დაუბრუნდეს.

თუ სადმე წარმატების მოდელი შეიქმნა, მაგალითად, 2003-2012 წლების საქართველოში, ეს დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს და, რაც მთავარია, აღარ განმეორდეს. „აღკვეთის“ ამოცანა 2012 წლიდან უკვე შესრულებულია, აი, „აღარ განმეორება“ კი უკვე წულუკიანის კომისიის დავალებაა. წულუკიანმა უნდა გააშავოს ჩვენი ისტორიის გამორჩეულად წარმატებული 9-წლიანი პერიოდი და ნაციონალური მოძრაობა ნაციტურ გერმანიასთან გააიგივოს, რათა ქართველის გონებაში ის დაღეჟოს, როგორც ტაბუ. ამიტომაც იდგმება ეს წარმოდგენა, რათა ტყუილებისა და კონტექსტუალური მანიპულაციის ქოლგის ქვეშ მოექცეს ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს გატარებული რეფორმები. ამის ერთი ნათელი მაგალითია აფრასიძეების



აფრასიძეები და სპეცოპერაცია
მათ წინააღმდეგ, 2004 წ.

გახმაურებული საქმე, როდესაც სვანეთს კრიმინალური ბანდა აკონტროლებდა და არა მარტო ადგილობრივებს, არამედ დევნილებსა თუ იქ ჩასულებსაც კი იტაცებდა, კლავდა, აყაჩაღებდა ან აუპატიურებდა. ნულუკიანის კომისიის ამოცანა კი ისაა, რომ მოახდინოს აფრასიძეთა კრიმინალური დაჯგუფების რომანტიზება და შემოგვასაღოს ის, როგორც რეჟიმის მსხვერპლი. რატომ? იმიტომ, რომ იქ, სადაც “გაგება” ბატონობს და არა კანონი, კრიმინალი არ უნდა ისჯებოდეს, რომ საქართველო რუსეთზე უკეთესი არ გახდეს. იმავენაირად, ამ სტატიის წერის მომენტში საქართველოში ნულუკიანის კომისია დიდწილად მუშაობს და ისმენს ნაციონალური მოძრაობის მიერ „შევიწროებული“ „პატიოსანი“ ბიზნესმენების ისტორიებს, რომლებიც სინამდვილეში „ქართულ-ჯიგურული“ კორუფციის ფლაგმანები იყვნენ და რომლებსაც არაერთგზის ჰყავთ გაძარცვული ქართული სახელმწიფო და, შესაბამისად, ქართველი ხალხი. რატომ? იმიტომ რომ სახელმწიფოს ძარცვა ყოველდღიურობაა რუსეთში - ასე უნდა იყოს საქართველოშიც!

მესამე, ყველაზე შენიღბული საცეცი, არის

„ოცნების“ (და რუსეთის) გრძელვადიანი გეგმა, დაეპატრონოს საქართველოს მომავალს. მას შემდეგ, რაც „საგამოძიებო“ კომისია დაასრულებს „გამოძიებას“ და დაადგენს, რომ ნაციონალური მოძრაობა უტოლდება (ან უსწრებს) ნაცისტურ გერმანიას თავის დანაშაულებში, ლოგიკური შემდეგი ნაბიჯი იქნება მისი აკრძალვა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ 2024 წლის საოცრად დემოკრატიულ არჩევნებზე „ოცნებამ“ ვერ გაბედა, რომ საკუთარი თავისთვის საკონსტიტუციო უმრავლესობა მიენიჭებინა, ამ ეტაპზე, მათ უბრალოდ არ აქვთ ბერკეტი, რომ ეს პარტია აკრძალონ. ამიტომ სჭირდებათ ქართველი ხალხის კიდევ ერთხელ, ბოლოჯერ გვერდში დადგომა რათა ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხოთ ეს ფაშისტური ნაციონალური მოძრაობა.

ტექსტის შემდეგი ნაწილი არის სპეკულაცია სტატიის ავტორების მხრიდან. გთხოვთ, ნუ მიიღებთ მას, როგორც უტყუარ ფაქტს ან მომავლის წინასწარმეტყველებას, მაგრამ ყველაფრის გათვალისწინებით, ის არც ისე არარეალისტურია.

„ქართული ოცნება“ გამოიყენებს კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვების მოტივაციას, რათა ჩანიშნოს ახალი, „ვადამდელი“ საპარლამენტო არჩევნები, რითაც არა ერთ, არა ორ, არამედ 5 ჩიტს დაიჭერს.

პირველი - რა თქმა უნდა, გააყალბებს ამ არჩევნებს და აბსოლუტურ ძალაუფლებას მიანიჭებს საკუთარ თავს.

მეორე - მიუბრუნდება ჩვენს დასავლელ პარტნიორებს და ეტყვის, „აი, ჩვენ ხალხს ვუსმენთ“ და, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი დასავლელი პარტნიორების არაკონფრონტაციულ ბუნებას, ისინი ამ პირფერობაზე თვალს დახუჭავენ. მსგავსი შინაარსის განცხადება ახლახანსაც კი გავრცელდა, რომელშიც ევროკომისიარი მარტა კოსი: “არ გამორიცხავს საქართველოში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლებთან უმაღლესი რანგის კონტაქტების აღდგენას, რაც 2024 წლიდან შეჩერებულია.”

მესამე - მიუბრუნდება ქართველ ხალხს და ეტყვის, „აი, ჩვენ გისმენთ, თქვენმა 1-წლიანმა უწყვეტმა პროტესტმა ჩვენამდე მოაღწია და ამიტომაც ვნიშნავთ ახალ არჩევნებს, მოდით, დავუბრუნდეთ პოლიტიკურ პროცესსო“. რაც უნდა აბსურდული იყოს ეს პოზიცია, ოპოზიციური სპექტრის გარკვეული ნაწილი მას აუცილებლად გაგებით მოეკიდება, ზოგი რა საბაბით, ზოგიც - რა საბაბით, რის შედეგადაც პროტესტი, რომელიც უკვე საკმაოდ შესუსტებულია, ბოლომდე დემორალიზდება და გატყდება.



არჩევნები 2024

მეოთხე - მიუბრუნდება პოლიტიკურ პარტიებს და კულისებს მიღმა ეტყვის: „თქვენ გაქვთ ორი ვარიანტი, ან მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას და იქნებით კონსტრუქციული ოპოზიცია, ან არ მიიღებთ მონაწილეობას და იქნებით „კოლექტიური ნაცები“, „კოლექტიურ ნაცებს“ კი არჩევნების შემდეგ ხომ იცით, რაც მოელის?“. ამ მუქარას ისედაც სუსტი ოპოზიციური ფლანგი ვერ გაუძლებს, აუცილებლად გამოჩნდება პარტია ან პარტიები, რომლებიც ამ ანკესზე ნამოყვებიან და შიშით თუ იმ ილუზიით, რომ ნაციონალური მოძრაობის აკრძალვის შემდეგ თვითონ იქნებიან უდიდესი ოპოზიციური პარტია, „ქართულ ოცნებას“ ამ თამაშში გაჰყვებიან. და აქედან გამომდინარე, ესეც თქვენი მეხუთე ჩიტი:

მეხუთე - ეყოლებათ თავისი „ჭიბის“ ოპოზიცია, რომელიც „ოცნებას“ ამ თამაშში აჰყვა და რომელსაც ვერანაირი სათქმელი ვერ ექნება ამ ფსევდოპოლიტიკური პროცესების წინააღმდეგ, რადგან თავისი ნებით ექნება მონაწილეობა მიღებული დადგმულ „არჩე-

ვნებში“ და უბრალოდ მოუწევს, კარგად მოირგოს „კონსტრუქციული ოპოზიციის“ როლი.

„ოცნების“ ამ ჩანაფიქრს ამყარებს დეტალი, რომელიც ბევრ ჩვენგანს გამორჩა ამ ორომტრიალში - ცესკოს „რეფორმების“ მიხედვით, დაუშვებელია: (ა) კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება; (ბ) ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენების მოთხოვნა; და (გ) ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი ინფორმაციის ფოტო-ვიდეოგადაღება ან სხვაგვარი გადამოწმება.

საინტერესოა, რატომ ემზადება „ოცნება“ მასობრივი გაყალბებისთვის თუ უბრალოდ ადგილობრივ არჩევნებს ელოდება, ადგილობრივ არჩევნებს, რომელში მონაწილეობაზეც ჯერ-ჯერობით ყველა ოპოზიციური პარტია მტკიცე (ან რბილ) უარს აცხადებს.

საბოლოოდ, ძვირფასო მკითხველო, კომისიას, რომელიც, ერთი შეხედვით, გასართობია და ზედმეტ ყურადღებას არ იმსახურებს, ბევრად უფრო მზაკვრული მიზნები აქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. „ნაციონალური მოძრაობის გასამართლება“ კარგად მოფიქრებული ევფემიზმია, რომლის უკანაც უფრო პატარა სიტყვა - საქართველო იმალება. რამდენჯერ გიხუმრიათ იმაზე, რომ „ვერ დაასრულეს ნაცები“, „ქოცი ხომ ნაცია“, „თვითონ გახდნენ ნაცები“ და ა.შ. თუმცა, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდით ერთხელაც არ დაფიქრებულხართ, რომ ამ ნიღბების უკან რუსეთი დგას, რომელიც საქართველოს „დასრულებას“ ისევ ქართველის ხელით ცდილობს. არცაა გასაკვირი, რადგან თქვენთვის არასდროს ყოფილა ნაციონალური მოძრობა და საქართველო ერთი და იგივე, რაც ობიექტურად ასეც არის, ოღონდ, ტრაგედია იმაშია, რომ ამას თქვენ არ წყვეტთ. ეს უკვე გადაწყვეტილია, თანაც მოსკოვში - და მოსკოვში გადაწყვეტეს, რომ ის რაც კარგია საქართველოსთვის, არის ნაცობა, და ნაცობა წულუკიანმა უნდა გაასამართლოს, დაამციროს და დასაჯოს. ■



გიორგი ფანიაშვილი

საზრდო საფიქრაციო სტილი

უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან მალევე, საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ უკრაინის მხარდაჭერა იცოცხლა, მერე ევროპასთან დაახლოების შეფერხებას მიჰყო ხელი, მოგვიანებით კი, დასავლეთს ღიად წაეკიდა და ომიდან თითქმის სამი წლის თავზე, საქართველო მეგობრების გარეშე დატოვა.

ომში ჩათრევისა და ოჯახური ფასეულობების გადარჩენის მიზანმიმართულად გაბნეული მარცვლები ნოყიერ ნიადაგზე დაეცა, საკმარისი მოსავალიც მოიტანა და საქართველოში ჯერ კიდევ ახალგაშენებული „დასავლური ბაღი“ საგრძნობლად თუ არა გამოუსწორებლად დააზიანა.

ბოლო ხანებში კი, საქმე ისე მოექცა, რომ „დასავლურ ბაღს“ დიდად აღარც მისტირიან, უფრო ამბობენ - ჩვენი ცხოვრების წესი რუსულს დაემსგავსა და წესიერ კაცს ქვეყანაში აღარ დაედგომებაო. გამარჯვებაც ხელის განვდენის მანძილზე ნამდვილად არ მოსჩანს და მამაცი ახალგაზრდების შეძახილები - „არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა“ - ზოგჯერ განწირულ ამოძახილს უფრო მოაგონებს კაცს, ვიდრე გარდაუვალი გამარჯვებისას.

მაგრამ თუ ახალ რეალობას თვალს გავუსწორებთ, ძველ, უსარგებლო უნარ-ჩვევებს წარსულში დავტოვებთ და ჩვენ ლექსიკასა თუ ქმედებებს ახალ დამძიმებულ რეალობას მოვარგებთ, შეიძლება შესაძლებლობაც გაჩნდეს. მუდმივი ხომ არაფერია...

„ევროპა და, ზოგადად, „დასავლეთი“ საქართველოსთვის საკრალური თემა აღარ არის. ბოლო წლებში, ამ თემას უკვე არაერთხელ შეეხნენ და შებღალეს კიდევ. ამიტომ, პერიოდული, განწირული ამოძახილები - საქართველო ევროპულ გზას თუ გადაუხვევს, გადაიჩეხება და უფსკრულში აღმოჩნდება - სულ მცირე, უსარგებლოა. აქ, საგულისხმოა, რომ საქართველომ ევროპულ გზას უკვე გვარიანად გადაუხვია და დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობებიც უკვე საფუძვლიანად გააფუჭა. არადა, მზეც ისევ ისე ამოვიდა, გაზაფხულიც ისევ დადგა და

ცხოვრებაც თითქოს ჩვეულებრივ გაგრძელდა ძველი მეგობრების გარეშე. დასავლეთთან გამორჩეული სიახლოვის თავმოწონება კი, პროპაგანდამ და ომის შიშმა ჩაყლაპა.

რუსეთს რაც შეეხება, საქართველოს ისტორია ვასალობის ან ვასალობიდან თავის დაღწევის ისტორიაა, გადარჩენის და არა განვითარების ისტორია. ერთიანი, ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველო სულ რაღაც საუკუნეახევრის მანძილზე თუ ყოფილა მისი არსებობის მანძილზე. არც რუსული გავლენა ქვეყნისთვის უცხო, ბოლო, არასრული სამი საუკუნე ქვეყანამ სწორედ რუსეთის ქვეშ იცხოვრა და ეს რუსეთიც

მისთვის სენია, თუმცა კარგად ნაცნობი სენი. მოკლედ, რუსეთის ქვეშაც პრინციპში გაუძლია და გადარჩენილა კიდეც.

მართალია, დასავლელი მეგობრებისგან ჩახსნისა და რუსეთზე ჩაბმის უარყოფით შედეგებს რიგითი მოქალაქე მოგვიანებით იგრძნობს და ნუ დავძრახავთ ამის გამო. ის არცაა ვალდებული 2-3 წლით ან კიდეც უფრო მეტით წინ გაიხედოს. ისიც ხომ თავისი ქვეყნის შვილია და, ქვეყნის მსგავსად, აქ და ახლა გადარჩენაზე უფრო ორიენტირებული ვიდრე მომავალსა და თანმდევ განვითარებაზე. თან ეს ევროპული მომავლისკენ მიმავალი გზაც ფათერაკებითაა სავსე და მანდაც გარანტირებული არაფერია.

საქართველომ ევროპულ გზას უკვე გვარიანად გადაუხვია და დასავლელ ქართველთა ურთიერთობებშიც უკვე სადუქლოიანად გააფუჭა.

მაშინ რას ვერჩით იმ კურსს, რაც „ქართულ-მა ოცნებამ“ აირჩია და მიუყვება კიდეც მეტ-ნაკლები წარმატებით?

ზევით, „გადარჩენა“ და „განვითარება“ ტყუილად არ გვიხსენებია. პირველ რიგში, ევროპაც და დანარჩენი დასავლეთიც საქართველოს იმიტომ სჭირდებოდა, რომ მისი გადარჩენის ისტორია როგორმე განვითარების და მოდერნიზების ისტორიად გადაექცია. თუ ქართველს გადარჩენასა და განვითარებას შორის თუნდაც ყალბი არჩევანის წინაშე დააყენებ, ის პირველს აირჩევს და თავის არჩევანშიც წელგამართული იქნება.

თუმცა, საქმე იმაში გახლავთ, რომ ისტორიის ამ ეტაპზე გადარჩენა-არგადარჩენის თემა არ დამდგარა, არც რუსეთს სჭირდებოდა საქართველოში შემოჭრა (ის უკვე აქაა) და არც დასავლეთს - საქართველოს ომში ჩათრევა, რადგან ერთმაც და მეორემაც მშვენივრად უწყიან, რომ ეს ქვეყანა ვერც ომს გასწვდებოდა და, რომც გაერისკა, თავის უმნიშვნელო სამხედრო წამოწყებით ვერავის წაეხმარებოდა. უნდა გვესმოდეს, რომ არც კრემლისთვისაა საქართველო ახლა ისეთი მნიშვნელოვანი, რომ თუნდაც ხანმოკლე ომად უღირდეს.

ასეთ არეულ დროებაში, რუსეთთან სიფრთხილეს და თავშეკავებულობას თავისი გამართლება ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ძალიან საეჭვოა რუსეთს დაჟინებით მოეთხოვა - ტალინიდან ვაშინგტონამდე ყველას წაეკიდე, ურთიერთობები განწყვიტე და ომი გამოუცხადე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მორჩენილი ორი დივიზიით საქართველოში შემოვიჭრებიო.

ქართული ოცნების ხელისუფლებას ეს საქართველოს კი არა, საკუთარი ძალაუფლების გადასარჩენად სჭირდებოდა, ხალხს კი, საქართველოს გადარჩენად შეასალა და, ომის ჩრდილქვეშ, მოსახლეობას გონებაც მშვენივრად აურია. მოქალაქეს აქაც ნუ დავძრახავთ, ჩვენ სიახლოვეში, როცა ასეთი ომი მძვინვარებს, რთულია შიშს არ აჰყვე - მართლა ვინმეს ხომ არ სურს ჩვენი ომში გახვევაო.

ამასობაში, პატარა საქართველომ სწორედ ის პენი დაკარგა, რომელიც მას ამ რეგიონში გამოარჩევდა და რაღაცით განსაკუთრებულს ხდიდა - დასავლეთთან სიახლოვე. სწორედ „დასავლეთთან სიახლოვე“ იყო საქართველოს ე.წ. „დამატებითი ღირებულება“, რომელიც რეგიონის სხვა ქვეყნებს გარკვეულწილად აიძულებდა ოფიციალურ თბილისთან მეტნაკლები პატივისცემით ესაუბრათ, რიგით მოსახლეს კი, სამეზობლოში გასეირნებისას, თავმოწონებისა და უხილავი მორალური უპირატესობის შეგრძნებით ესაიმოვნა.

თუ ქართველს გადაჩენასა და განვითარებას შორის თუნდაც ყალბი არჩევანის წინაშე დააყენებ, ის ქართველს აირჩევს და თავის არჩევანშიც წელგამართული იქნება.

ქვეყნის გარეთ ჩვენი ეს მთავარი პენი, ხელისუფლებამ ძალაუფლების შენარჩუნებაში გაცვალა. უმრავლესობა არა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი კი იმაში დაარწმუნა, რომ ქვეყნის გადარჩენის და ომის აცილების ერთადერთი გარანტი თვითონ არის.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ყველა იმ სუბიექტის მხრიდან, რომელიც ხელისუფლებაზე გავლენის

მოხდენას ან მის შეცვლას ცდილობს, მოსახლეობის დაშინება ევროპული მომავლის დაკარგვით ან რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევით ფუჭია. საქართველო ევროპასაც დაშორდა და რუსეთის გავლენაც მკვეთრად გაზრდილია, უკვე მომხდარით დაშინება კი ფრიად უსარგებლო საქმეა. ალბათ აჯობებს, ყველა იმ ძალამ, რომელიც წინააღმდეგობაშია ჩართული, მოსახლეობას დაანახოს, რომ მათაც შეუძლიათ პირველ რიგში ამ რეგიონში გზის გაკვლევა, კონტაქტების თუ ურთიერთობების გაბმა მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან და თუნდაც ომის თავიდან აცილება. რიგითი ქართველიც ხომ სწორედ ამას ითხოვს?

ახლა, ევროპაზე მეტად, რეგიონული აღქმის და რეგიონული მიდგომის გასხივებაა საჭირო და არა რეგიონით დაშინება, რომ ან რუსეთი გავხდებით ან აზერბაიჯანს დავემსგავსებით. ქართველი უფრო მშვიდად იგრძნობს თავს თუ ეცოდინება, რომ ხელისუფლებაში პოტენციურად მომსვლელი ძალა სამეზობლოშიც ფრთხილად იქნება და თავისებური მეზობლობის წესებს მშვენივრად გაუწევს ანგარიშს. ევროპელებთანაც ნამდვილი სათქმელი გვექნება - ჩურჩხელა და ღვინო კი არა, ეს რეგიონი გვესმის კარგად და აქ გზის გაგნებაში ჩვენ დაგეხმარებითო.

ამასთან, წინააღმდეგობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ახალ, დამძიმებულ რეალობას და შესაბამისად დააკორექტიროს დასახული ამოცანების ვადები, ლექსიკა თუ სამოქმედო გეგმები. იოლად და მალე არც აქამდე გამოვიდა არაფერი, აწი მითუმეტეს არ გამოვსა.

**ჩოჩაგანდისკული მედიუმი
და ცროლოში ავრცელებდნენ
ყაღზე ინფორმაციას,
თითქმის „ახალი თეატრი“
ფონდმა „ქართუმ“ შეაკეთა.
სინამდვილეში, ის კულოსურის
სამინისტროს ზიუჯეციდან
გამოყოფილი თანხით, ანუ ჩვენი
გადასახადებიდან დაფინანსდა.**

ამიტომ, მოსახლეობაში მოლოდინების გაღვივებას, რომ „ორიოდე კვირა დარჩა“ და „რეჟიმი ჩამოიშლება“, რბილად რომ ვთქვათ, საზიანოა თავად წინააღმდეგობისთვის. წინააღმდეგობას ექნება აზრი, თუ ის უფრო გრძელვადიან ამოცანებს დაისახავს მიზნად და ამ ამოცანების შესრულებისას თანმიმდევრულობას, სიდინჯესა და რეგიონულ ხედვას გამოასხივებს, ასევე ძველი, ან უკვე დაკარგული პენის დაბრუნებაშიც დაარწმუნებს ქართველს. ყველა სხვა მოკლევადიანი ქმედებები თუ დაშინებები ევროპისგან დაშორების თუ რუსეთთან დაახლოების მოშველიებით, მარცხისთვის იქნება განწირული. რა თქმა უნდა, არც ჩემი ეს მოსაზრებაა წარმატების გარანტია, მაგრამ მოსახლეობამ კიდევ ერთხელ რომ არ თქვას - „ამათ არც არაფერი უსწავლიათ და არც არაფერი დავინწყებითო“ - ცდად ნამდვილად ღირს. ■





ვასილ ჟიჟიაშვილი

ჩეხოსლოვაკი კანონები ხალხის წინააღმდეგ



ხელისუფლებაში ყოფნის მეცამეტე წელს ქართულმა ოცნებამ წარმატებით მოახერხა, დაემორჩილებინა ყველა მნიშვნელოვანი დემოკრატიული ინსტიტუტი. ამაზე მეტყველებს Freedom House-ის მსოფლიო თავისუფლების ინდექსიც, რომლის მიხედვითაც საქართველოს მონაცემი 2017 წელს 64 ქულა იყო, 2024 წელს კი - 58 ქულაა. ამავე ორგანიზაციის დემოკრატიის ხარისხის ინდექსით 2024 წელს 2017 წელთან შედარებით საქართველოს მაჩვენებელი 6 ქულით დაქვეითდა და 34 ქულას შეადგენს, რის გამოც საქართველო ტრანზიციულ ჰიბრიდულ ავტორიტარულ რეჟიმად კლასიფიცირდება. Reporters Without Borders-ის ინდექსის მიხედვით, ასევე გაუარესებულია მედიის თავისუფლების მდგომარეობაც - 2020 წელს საქართველო 180 ქვეყანას შორის 71 ქულით მე-60 ადგილს იკავებდა, 2024 წელს კი 53 ქულით 103-ე ადგილს იკავებს. თუმცა, ძალაუფლების კონსოლიდაციის პროცესში მყოფ ხელისუფლებას ამ დრომდე არ გამოსდის, სრულად დაიმორჩილოს და პოლიტიკური პროცესებიდან საბოლოოდ გააქროს ისეთი არაფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორებიცაა მედია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები.

სტატიაში მოკლედ მიმოვიხილავთ მედიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიულ საკანონმდებლო

ცვლილებებს და მათ გავლენას დემოკრატიასა და ქვეყნის საგარეო კურსზე.

● „ჩუსული კანონი“

2022 წლის 3 მარტს საქართველოს მიერ ევროპის კავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადის შეტანას შედეგად მოჰყვა 2022 წლის 23 ივნისს ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭება და ასოცირების გზაზე 12 პრიორიტეტის განსაზღვრა. ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლებამ 2023 წლის მარტში დააინიცირა კანონპროექტი „უცხოელი აგენტების შესახებ“, რომელიც საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაორგანიზაციებს, რომელთა შემოსავლების 20%-ზე მეტს უცხოური დაფინანსება შეადგენდა, არქმევდა „უცხოური გავლენის აგენტებს“ და უწესებდა სხვადასხვა ვალდებულებას. მოცემული დეფინიციის ფარგლებში ექცეოდა საქართველოში მოქმედი სამოქალაქო/არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ონლაინ მედიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ისინი ფინანსების მნიშვნელოვან ან ძირითად ნაწილს უცხოური დონორი ორგანიზაციებისგან იღებენ. მმართველმა პარტიამ კანონპროექტი მასობრივი პროტესტის ფონზე გაიწვია, თუმცა აღნიშნული კანონის ინიცირების საკითხი მოხვდა ევროკომისიის 2023 წლის

8 ნოემბრის გაფართოების ანგარიშში და შეფასდა, როგორც ასოცირების პროცესის დამაზიანებელი ნაბიჯი. 2023 წლის 9 მარტს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა გაიწვიეს „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონპროექტი და საზოგადოების წინაშე დადეს პირობა, რომ კანონპროექტს ხელახლა აღარ დააინიცირებდნენ.

ამის მიუხედავად, 2024 წლის აპრილში ხელისუფლებამ ხელახლა დააინიცირა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც საზოგადოების მასობრივი პროტესტის ფონზე პარლამენტმა მაინც მიიღო და ძალაში შევიდა აგვისტოში. კანონი არასამთავრობო ორგანიზაციებს, მუწყებლებსა და ონლაინმედიებს, რომელთა შემოსავლების 20%-ზე მეტი უცხოური დაფინანსებაა, ავალდებულებს, დარეგისტრირდნენ სპეციალურ რეესტრში „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“. ასევე, კანონის მიხედვით, ორგანიზაციებს უჩნდებათ ფინანსური შემოსავლების დეკლარირების ვალდებულება და ექვემდებარებიან იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც ვალდებულნი არიან, სამინისტროს გადასცენ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის მიღებამ მნიშვნელოვნად დააზიანა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, რადგან 2024 წლის 27 ივნისს ევროპულმა საბჭომ დე ფაქტო შეაჩერა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი. მოცემული კანონის ძალაში შესვლის შემდგომ რეესტრში მედია და სამოქალაქო ორგანიზაციების მხოლოდ 2% დარეგისტრირდა, ამასთან, ხელისუფლებას არ აუმოქმედებია კანონით გათვალისწინებული რეპრესიული მექანიზმები.

● უცხოეთის აგენტების ჩეხისგანსხიის აქტი (FARA)

ამ ე.წ რუსული კანონის მიღების შემდგომ გაყალბებული არჩევნებისა და ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის ფონზე მმართველმა პარტიამ კიდევ ერთხელ ამოიღო მიზანში არასამთავრობო ორგანიზაციები და 2025 წლის აპრილში პარლამენტმა მიიღო კანონი, სახელწოდებით

„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“. ხელისუფლების განცხადებით, მოცემული კანონი ამერიკული FARA (Foreign Agents Registration Act)-ს სიტყვასიტყვითი თარგმანია. მმართველი პარტიის წარმომადგენლები პარლამენტში კანონპროექტის განხილვისას არ მალავდნენ, რომ აღნიშნული კანონით გათვალისწინებული სანქციები უფრო მკაცრია, ვიდრე ე.წ რუსული კანონის შემთხვევაში, რაც საბოლოოდ გაანადგურებს არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ამერიკაში FARA-ს მიღების კონტექსტი მეორე მსოფლიო ომის პარალელურად მომდინარე ნაცისტების საფრთხის წინააღმდეგ გატარებულ ზომებს უკავშირდება. მისი მიღების ისტორია და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, რომ FARA ქვეყანაში გამჭვირვალედ მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია ორგანიზაციების წინააღმდეგ არ გამოიყენება, არამედ მისი მიზანია მტრული სახელმწიფოებიდან მომდინარე საფრთხეების პრევენცია. ამდენად, საქართველოს პარლამენტის მიერ FARA-ს არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წინააღმდეგ მიღება სცდება კანონის სულისკვეთებას და განხილული უნდა იქნას, როგორც მორიგი რეპრესიული კანონმდებლობა.

„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ საკმაოდ მკაცრ ვალდებულებებს უწესებს მის რეგულირების ქვეშ მყოფ პირებს. კერძოდ, თუ ვინმე, იქნება ეს ფიზიკური პირი თუ ორგანიზაცია, უცხო ქვეყნის ხელისუფლების, პარტიის ან უცხოური ორგანიზაციის დავალებით საქართველოში ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, აგროვებს ფულს თუ ავრცელებს ინფორმაციას, ვალდებულია მიმართოს ანტიკორუფციულ ბიუროს და დარეგისტრირდეს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტი. კანონის მიხედვით, უცხოური პრინციპალის აგენტს მოეთხოვება, ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინოს თავისი საქმიანობის დეტალური ანგარიში, მის საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალის საჯაროდ გავრცელებისას კი უნდა მიუთითოს, რომ გავრცელებული ინფორმაცია მომზადებულია უცხოური პრინციპალის აგენტის მიერ. კანონის დარღვევა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, რაც მოიცავს პირის დაჯარიმებას 5,000-10,000

ლარამდე ან თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე ვადით.

ამ კანონის არასამთავრობო და მედია-ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოყენებამ შეუძლებელია არ გაგვახსენოს რუსეთში მოქმედი აგენტების კანონი, რომელმაც პოლიტიკური პროცესებიდან გააქრო დამოუკიდებელი ორგანიზაციები, ხოლო ორგანიზაციების მცირე ნაწილი, რომელიც კვლავ ქვეყანაში რჩება, საზოგადოებაში სახელმწიფოს მტრადაა გამოცხადებული.

● მედიის წინააღმდეგ მიმართული კანონები

2025 წლის აპრილში მმართველმა პარტიამ რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო ასევე მედიების წინააღმდეგ. საკანონმდებლო ცვლილებებით მაუწყებლებს სრულად აკრძალათ უცხოური დაფინანსების მიღება. ამასთან, ცვლილებებით დაწესდა დეტალური რეგულაციები ტელე- და რადიომაუწყებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ფაქტის ჟეროვან სიზუსტესა და პასუხის უფლებას, სამართლიანობას და მიუკერძოებლობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებას და გადაცემას, შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევისა და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქებას და არასრულწლოვან პირთა დაცვის ცალკეულ საკითხს. კანონპროექტში წარმოდგენილი დეტალური რეგულაციების დიდი ნაწილი მაუწყებელთა ქცევის კოდექსიდანაა აღებული, რასაც ცვლილებებამდე ტელე- და რადიომაუწყებლობის ქცევის კოდექსი არეგულირებდა. ახალი ცვლილებებით, მაუწყებლების მიერ შინაარსობრივი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევების განხილვის უფლებამოსილება კომუნიკაციების კომისიას მიენიჭა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კომუნიკაციების კომისიის საქმიანობა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მმართველი პარტიისადმი ლოიალური განწყობების გამო არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი, ხოლო 2025 წელს ლიეტუვამ კომისიის ხელმძღვანელი - კახა ბექაური დაასაწესცირა.

მოცემული საკანონმდებლო ცვლილებები კიდევ უფრო გააუარესებს საქარ-

ველოში მედიაგარემოს, შეზღუდავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და გაართულებს ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას.

● ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ მიმართული კანონები

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პოლიტიკური პარტია, თუ მისი მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.

მმართველმა პარტიამ 2025 წლის მარტში დააინიცირა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლო ზემოთ მითითებული შემთხვევების გარდა უფლებამოსილი იქნება აკრძალოს პარტია, რომლის გაცხადებული მიზანი ან/და საქმიანობის არსი (მათ შორის, პერსონალური ან/და შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარდგენილი პარტიული სიის შემადგენლობა) არსებითად იმეორებს ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს ან/და საქმიანობის არსს (მათ შორის, პერსონალურ შემადგენლობას).

დემოკრატიული საზოგადოებისთვის პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში ჩარევა, გაუქმება ან აკრძალვა ყველაზე მძიმე, შესაბამისად, მაქსიმალურად საფრთხილო გადაწყვეტილებაა. მიუხედავად კონსტიტუციით დაშვებული ე.წ „თავდაცვითი დემოკრატიის“ ფარგლებში პარტიის აკრძალვის შესაძლებლობისა, მსგავსი ღონისძიება უკიდურესად სახიფათოა, რადგან იწვევს პარტიის პოლიტიკური აქტივობის, არჩევნებში მონაწილეობისა და ამომრჩევლებთან კავშირის შეწყვეტას. „ვენეციის კომისიის“ მიხედვით, პარტიის აკრძალვა უკიდურესი ღონისძიებაა, რომელიც მაქსიმალური სიფრთხილით, მიუკერძოებელი



სასამართლოს გადაწყვეტილებითა და მკაფიო დასაბუთებით უნდა განხორციელდეს, პოლიტიკური ზეგავლენის გარეშე.

საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების აკრძალვას, თუ ისინი იმეორებენ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული პარტიის მიზნებს ან საქმიანობის არსს, მათ შორის პერსონალური შემადგენლობის მსგავსებით. მმართველი პარტია წლებია საქართველოში მოქმედ ოპოზიციურ პარტიებს ე.წ. „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობად“ მოიხსენიებს, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე კი საარჩევნო დაპირებაში ამომრჩეველს აღნიშნული პარტიების აკრძალვას ჰპირდებოდა. ამდენად, მოცემული ცვლილებების რეალური მიზანია ე.წ. „მემკვიდრე“ პარტიების აკრძალვის შესაძლებლობის გაჩენა, რაც ქმნის პოლიტიკური ოპონენტების ჩახშობისა და პოლიტიკური სპექტრის შეზღუდვის რისკს. „ქართული ოცნების“ მიერ კონტროლირებადმა საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა გამოიყენოს ფართო ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით პერსონალური შემადგენლობის კრიტერიუმით, რაც პარტიებისა და ინდივიდების დევნის ინსტრუმენტად იქცევა. მმართველმა პარტიამ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა 2 მოსმენით უკვე მიიღო და მოსალოდნელია, რომ მიმდინარე თვეში მას საბოლოოდ მიიღებენ.

● შეჩიხისა და გაგოსაშვილის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული კანონები

მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, 2025 წელს, მმართველმა პარტიამ არაერთი რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილება შემოიღო, რაც უკიდურესად ამძიმებს ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის, ასევე შეკრების თავისუფლების რეალიზების შესაძლებლობას. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებებით:

- აიკრძალა აქციებზე დროებითი კონსტრუქციების განთავსება (მათ შორის კარვის);

- აიკრძალა აქციაზე სახის ნებისმიერი ფორმით დაფარვა, პასუხისმგებლობის ზომად

კი განისაზღვრა 2000-ლარიანი ჯარიმა.

- აქციის გამართვამდე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის 5 დღით ადრე გაუფრთხილებლობის შემთხვევაზე დაწესდა პასუხისმგებლობა, ჯარიმის სახედ კი განისაზღვრა 2000 ლარი.

- აიკრძალა შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება დახურულ სივრცეში/შენობაში, მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.


- მნიშვნელოვნად გაიზარდა ადმინისტრაციული ჯარიმები ისეთი სამართალდარღვევებისთვის, როგორებიცაა წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა, გზის ხელოვნური გადაკეტვა. მაგალითად, გზის ხელოვნური გადაკეტვისთვის ჯარიმა 10-ჯერ გაიზარდა და 500 ლარის ნაცვლად 5000 ლარს შეადგენს.

- გაიზარდა ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა 15 დღიდან 60 დღემდე.

მოცემული საკანონმდებლო ცვლილებები გაუმართლებლად ზღუდავს სიტყვისა და გამოხატვის, ასევე, შეკრების თავისუფლებას და ქვეყანაში მიმდინარე უწყვეტი პროტესტის მონაწილეების დაშინებას ისახავს მიზნად.

● დასკვნა

„ქართული ოცნების“ მიერ მიღებული რეპრესიული კანონები - მედიის, სამოქალაქო ორგანიზაციების, ოპოზიციური პარტიებისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვა, მიზნად ისახავს ძალაუფლების კონსოლიდაციას, ოპონენტების ჩახშობასა და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების განადგურებას. ამ კანონების რეალური მიზანია პოლიტიკური სივრცის „განმენდა“ და ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცება. ისინი ქვეყანაში გამოიწვევს სიტყვის, გაერთიანებისა და პოლიტიკური მონაწილეობის თავისუფლებების შეზღუდვას, სამოქალაქო აქტივიზმის დასუსტებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების დაშლას. ევროინტეგრაციისთვის ეს კანონები კატასტროფულია, რადგან ევროპული საბჭოს მიერ პროცესის შეჩერების შემდეგ ისინი სრულად აფერხებენ საქართველოს ევროპულ პერსპექტივას, აშორებენ ევროკავშირს და აუარესებენ ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს. ■



გიორგი გიგინეიშვილი



აფხაზეთში, ზღვის დონიდან 50 მეტრის სიმაღლეზე, გუდაუთიდან 5 კილომეტრში, არის სოფელი ლიხნი (აფხ. Лыхны). ლიხნის ცენტრში X საუკუნის ღვთისმშობლის მიძინების ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიაა, რომელმაც არაერთი ძალიან საინტერესო ქართული წარწერა შემოგვინახა, მათ შორის, ალბათ, ყველაზე საინტერესოა წარწერა „კომეტის გამოჩენის შესახებ“, რომლის არსებობა ქართველმა ისტორიკოსებმა კარგად იციან, თუმცა ფართო საზოგადოებას ნაკლებად სმენია ამის შესახებ.

აღნიშნული წარწერა ერთსტრიქონიანია, შესრულებულია თავისებური და ძალიან ლამაზი ხერხით: ასომთავრული ტექსტის ყოველი სიტყვის პირველი ასო მოზრდილია, იმავე სიტყვის დანარჩენი ასოები კი უფრო პატარა ზომისაა და სიგრძეზეა ჩამოწერილი, ხოლო მრგვალი მოხაზულობის ასოებში, მაგალითად, ან-ში, ორ ადგილას, პატარა ასოები დიდი ზომის ასოს მუცელშია ჩაწერილი. მთლიანად წარწერა შესრულებულია წითელი საღებავით, სინგურიტ. მისი ტექსტი ასეთია:

**„†. ზურთხულ ღარ, იმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ესე იქმნა
დასაბამითგან წელთა ღმერთ — 1065 წ.), ჟორნიკონსა სჴს
(სჴ — 1066 წ.) ჟეფობასა ღაგრატ ჴიორგის ძისასა წდიკტიონსა ჴს
(ღჴ), ჴპრილსა ძვესა ჴარსკულავი ჴამოჩნდა, ჴომელ შისსა წიადსა
ღმოლიდის და წინა შისსა ჴითარცა ჴარავანდუდი შიდი, ჴოკიდებით
შასჴა. ესე იქმნა ჴზობითგან ჴღვსებადის.“**

ქ. ჴურთხული ხარ, ჴმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ესე იქმნა
დასაბამითგანთა წელთა ჴმერთ, ქრონიკონსა სჴს. მეფობასა ჴაგრატ
გიორგის ძისასა, ინდიკტიონსა ჴჴ აპრილსა თუესა ვარსკულავი
გამოჩნდა, რომელ მისსა წიადსა აღმოივლიდის და წინა მისსა.
ვითარცა ჴარავანდი დიდი, მოკიდებით მასჴე. ესე იქმნა ბზობითგან
აღვსებად-მდე“.

ჴალეს კომეტის წარწერა 1886 წ.

1848 წელს წარწერა პირველად შეისწავლა აკადემიკოსმა მარი ბროსემ. მიჩნეულია, რომ ლიხნის ტაძრის წარწერაში აღწერილია ჰალეის კომეტის დედამიწის ხილვადობის სფეროში გამოჩენის ერთ-ერთი შემთხვევა, რომელიც მოხდა XI საუკუნეში, 1066 წელს.

ლიხნის ტაძარზე ასევე მოიპოვება სხვა ქართული წარწერები: ვაჩე პროტოსპათარისა და პეტრიკ პატრიკის წარწერა; გიორგი კურაპალატის წარწერა, ასევე, XI საუკუნით დათარიღებული ათამდე წარწერის ფრაგმენტები; XIV საუკუნით თარიღდება ათზე



წარწერის დასაბამითგანითი თარიღი და თარიღი ბაგრატ IV-ის მეფობის წლების მიხედვით შეესაბამება 1065 წელს, ხოლო ქორონიკონითი თარიღი – 1066 წელს. რადგან ტექსტში აღნიშნულია, რომ კომეტა გამოჩნდა აპრილში, ბზობიდან აღდგომამდე (1066 წელს აღდგომა იყო 16 აპრილს, ბზობა იქნებოდა 9 აპრილს), ამიტომ წარწერის თარიღად 1066 წელი უნდა მივიჩნიოთ. მაშასადამე, საქართველოში კომეტა იხილვებოდა 1066 წლის 9-16 აპრილს.

18.03.1989 წ. სოფ. ლიხნი

მეტი წარწერა, რომლებიც ამ დროის ფრესკებს ახლავს და გამოსახულ პირებსა და სიუჟეტებს განმარტავს.

ლიხნის ტაძრის წარწერები უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის, თუმცა შემდგომ აფხაზეთში მრავალმა წყალმა ჩაიარა და ალბათ მრავალი კომეტაც აკიფდა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მე-18 საუკუნეში იუწყებოდა, „იყო ჭირი დიდი ოდიშსა, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი.“ მწარედ მოუბრუნდა საქართველოს შინა ომებისა და შინა გამცემებისგან დაშვებული საქმე.

1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში უკვე არა ჰალეის კომეტაზე ან გიორგი კურაპალატზე, არამედ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკიდან გამოყოფასა და რუსეთთან შეერთებაზე წერდნენ აფხაზები, თან რუსულ ენაზე.

საბჭოთა საქართველოში ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლების პარალელურად, რუსული სპეცსამსახურების ხელშეწყობით, აფხაზეთში შეიქმნა აფხაზეთის სახალხო

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მე-18 საუკუნეში იუწყებოდა, „იყო ჭირი დიდი ოდიშსა, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი.“

ფორუმი - „აიდგილარა“ (აფხ. Аԥсны Жәлар Форум «Аидгылара» - ერთობა). ეს იყო სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც დაარსდა 1988 წლის 13 დეკემბერს, როგორც აფხაზთა ნაციონალისტური მოძრაობა. საწყის ეტაპზე „აიდგილარას“ მთავარი ფუნქცია იყო ქართველი კომუნისტებისა და „არაფორმალისტებისათვის“ ეჩვენებინა აფხაზეთის გამოყოფის საფრთხე და, ზოგადად, აფხაზეთი გამხდარიყო ქართული ეროვნული მოძრაობისთვის შემაკავებელი ფაქტორი, თუმცა შემდგომში სხვა უკეთური საქმეებიც დაევალა. „აიდგილარა“ იმით განსხვავდებოდა სხვა მსგავსი ორგანიზაციებისგან (გარდა სამაჩაბლოში რუსული სპეცსამსახურების მიერ იმავე პერიოდში შექმნილი „ადამონ ნიხასისა“), რომ მასში აფხაზური წარმოშობის პარტიული მუშაკები, თანამდებობის პირები, მილიციისა და უშიშროების ორგანოების თანამშრომლები წარმოადგენდნენ რეალურ, თუმცა ჩრდილოვან მამოძრავებელ ბირთვს. სწორედ „აიდგილარას“ ინიციატივით, 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში ჩატარდა აფხაზთა მრავალათასიანი თავყრილობა.

მიტინგი სანქცირებული იყო, რაც მსგავსი შინაარსის შეკრებისათვის საბჭოთა წყობილებაში იშვიათობაა. ნიშანდობლივია, რომ მას ესწრებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ელიტის აფხაზური ნაწილი სრულად.

თავყრილობაზე მიიღეს, „ლიხნის მიმართვის“ სახელით, ცნობილი დოკუმენტი, რომელიც დაეგზავნათ მიხეილ გორბაჩოვს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, და სხვა უმაღლეს ინსტანციებს. უკანასკნელ პერიოდში ამ ფაქტსა და დოკუმენტს რუსული დეზინფორმაციული ფილტრის გავლის შემდეგ აწვდიან ქართველ საზოგადოებას, ამიტომ მკითხველმა უნდა იცოდეს სიმართლე - ის, რომ თითქოს აფხაზები ლიხნში დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, ძალიან შორს არის სიმართლისგან, რადგან ამ დოკუმენტის ავტორები ცალსახად ითხოვდნენ რუსული საბჭოთაიმპერიის შემადგენლობაში დარჩენას (მსგავსი მოთხოვნები სეპარატისტულმა ელიტამ არაერთხელ დააფიქსირა, ლიხნის წერილამდე იყო 1987 წლის 17 ივნისის, აფხაზური წითელი ინტელიგენციის, წერილი,

რომელიც გაიგზავნა მოსკოვში და თითქმის ანალოგიური შინაარსის იყო, ასევე, 1993 წლის 23 მარტს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა დეპუტაციამ უკანონო მიმართვის/თხოვნის ტექსტი გაუგზავნა რუსეთის დუმას, რომ აფხაზეთი მიეღო რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში რუსეთისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი



18.03.1989 წ. სოფ. ლიხნი

ფორმით). გარდა ლიხნის მიმართვისა, „აიდგილარა“ აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისათვის 1991 წლის 17 მარტს გამართულ რეფერენდუმში და აფხაზურ საზოგადოებაში ლენინური იდეების ერთგულებას ქადაგებდა და არა თავისუფლებას, როგორც ამის წარმოჩენა სურთ.

ის, რომ თითქოს აფხაზები ლიხნში დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, ძალიან შორს არის სიმართლისგან, რადგან ამ დოკუმენტის ავტორები ცალსახად ითხოვდნენ რუსული საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში დარჩენას

თავად მიმართვის ტექსტი შემდეგი ძირითადი საკითხებისაგან შედგებოდა:

1. დამტკიცდეს კპ ცკ გენერალური მდივნის, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, მ. გორბაჩოვისა და სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ი. რიჟკოვის სახელზე გასაგზავნი წერილი;
2. ეთხოვოს სსრკ-ის კპ ცკ უმაღლეს საბჭოსა




და სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს, აღდგეს სსრ აფხაზეთის სტატუსი იმ ფორმით, როგორიცაა ის არსებობდა ლენინის ეპოქაში;

3. გადაიხედოს ყველა ის გარდაქმნა, რომლებიც წარმოადგენდა სსრკ-ის ერთა თანასწორობის ლენინური პრინციპებიდან უხეშ გადახვევას.

იმავე წლის 24 მარტს „ლიხნის მიმართვა“ დაიბეჭდა „სოვეტსკაია აბხაზიასა“ და აფხაზეთის სხვა რაიონულ გაზეთებში, მათ შორის, გაზეთ „ბზიფში“.

„ლიხნის მიმართვას“ ხელს აწერდნენ: ბორის ადლეიბა – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზკომის ბიუროს წევრი; ვალერიან კობახია – აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზკომის ბიუროს წევრი; კონსტანტინე ოზგანი – აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გუდაუთის რაიკომის პარტიის პირველი მდივანი; ალექსანდრე გვარამია – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა კანდიდატი და სხვანი. სწორედ ამ უკანასკნელის ხელმოწერამ გამოიწვია განსაკუთრებული აღშფოთება სოხუმის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა შორის, რადგან ალექო გვარამიას მიმართ განსაკუთრებული სიმპათიებით იყო განწყობილი ქართველი სტუდენტობა და სწორედ მისგან ვერ აიტანეს დალატად შეფასებული ეს ხელმოწერა.

აღნიშნულ მიმართვას თან სდევს 30 ათასზე მეტი სხვადასხვა ეროვნების (აფხაზები, ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა) ადამიანის ხელმოწერა. 19 მარტიდანვე



აფხაზეთის საბჭოთა ელიტის ხელმოწერები მიმართვაზე 18.03.1989 წ.

აღნიშნული მიმართვის შესახებ ქართველ კომუნისტებს ინფორმაციას პირდაპირ მოსკოვიდან აწვდიდნენ, მუქარანარევი ქვეთქსტებითა და ნიშნის მოგებით, რადგანაც მიმართვის ტექსტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია თბილისში, გაგრში, სოხუმში, გალში, ქუთაისში, ზუგდიდსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. დაიწყო გამოსვლები და მანიფესტაციები, სოხუმის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა უარი განაცხადეს სწავლის გაგრძელებაზე

„აიდგილარა“ აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისათვის 1991 წლის 17 მარტს გამართულ რეფერენდუმში და აფხაზურ საზოგადოებაში ლენინური იდეების ერთგულებას ქადაგებდა და არა თავისუფლებას



ა. გვარამია და ვ. არდინბა

და სხვა მოთხოვნებთან ერთად რექტორის, ალექო გვარამიას, გადადგომაც მოითხოვეს.

ქართველ საზოგადოებაში ცოტას თუახსოვს, რომ საბოლოოდ, სწორედ ლიხნის მიმართვას მოჰყვა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია: ლიხნის მიმართვის საწინააღმდეგო აქციები თბილისში 1989 წლის მარტშივე დაიწყო, თუმცა 4 აპრილიდან უკვე ორგანიზებული სახე მიეცა და მალევე გადაიზარდა ანტისაბჭოთა გამოსვლებში.

ამ გამოსვლებს ისევ მოსკოვმა უპასუხა: 9 აპრილს, გამთენიისას, თბილისში საგანგებოდ შემოყვანილმა რუსულმა სადესანტო შენაერთებმა ალყაში მოაქციეს მანიფესტანტები და სისხლიანი კალო



თბილისი, 1989 წლის აპრილი.

მოუწყვეს ქართველებს: სასანგრე ნიჩბებისა და მომწამლავი აირის გამოყენებით დაარბიეს და დახოცეს მშვიდობიანი მოქალაქეები. დარბევისას დაიღუპა - 21, ხოლო დაშავდა 500-ზე მეტი ადამიანი.

ამ ბარბაროსობაზე სკკპ ცკ-მა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მალევე გაავრცელეს განცხადება, რომლის მიხედვითაც: „8 აპრილს, ღამით, თბილისში, მთავრობის სახლის მოედანზე, ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდა ადამიანთა ჯგუფი სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან. ვაცხადებთ, რომ არცერთს არ ჰქონია ნაკვეთი ან ნაჩხვლეტი ჭრილობა.“ ტრადიციული რუსული მეთოდით ადამიანების ძალადობრივი სიკვდილი ქართულ მხარეს დაჰბრალდა.

მაშინ ქართველმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ლიხნის წერილი საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულების მხოლოდ საწყისი წერტილი იყო - ღილაკი, რომელზედაც ხელის დაჭერით უბედურებების მთელი კასკადი დაატყდა ჩვენს ქვეყანას რუსეთიდან. ■





ნანა კალანდაძე

„დრო იყო მაშინ ასეთი!“

დედამინის ზურგზე არავინ იცის როგორ დაიბადა და რამდენ გრამ რძეს და ფაფას ჭამდა დღეში. შორეული ბავშვობიდან შესაძლოა მეხსიერებას აქა-იქ გაფანტული ფრაგმენტები შემორჩეს, ისიც ძალიან შთამბეჭდავი. თუმცა, მერე, რაც დრო გადის, ხვდები, რომ შენი განვლილი ცხოვრებიდან ბევრი მომენტი გახსენებს თავს, ბევრი ნივთი თუ ვითარება, რასთანაც უფრო მეტი გაკავშირებს, ვიდრე უბრალო მოგონება.

სწორედ ეს ფრაგმენტები არ მასვენებს დიდი ხანია და ხან ერთი წამოყოფს თავს, ხან მეორე. ამიტომაც გადავწყვიტე ყველა მათგანს თავისი „თარო“ მივუჩინო მეხსიერების არქივში. თუმცა თემას, რითიც ვიწყებ, არასდროს გააჩნია კონკრეტული ადგილი, დრო და როლი ჩვენს ცხოვრებაში. ის ჩვენი ხორციელი და სულიერი ნაწილია, რომლის გარეშეც, უბრალოდ, არ ვიქნებოდით ამქვეყნად.

დიახ, ვგულისხმობ მშობლებს.

წინათ, გაზეთ „თბილისის“ მეოთხე გვერდზე ყოველდღიურად ქვეყნდებოდა განცხადებები გარდაცვალების შესახებ. გამომცხადებელთა რაოდენობის მიხედვით ადვილი დასადგენი იყო ადამიანის სანათესავო და სამეგობრო არეალი, ან მისი და მისიანების საქმიანობის წრე... 1968 წლის 26 მარტს დეიდაჩემმა, ვისთანაც დროებით გადამასახლეს მამას ავადმყოფობის გამო, უჩუმრად დამიდო მეოთხე გვერდზე გადაკეცილი გაზეთი, სადაც უამრავ საგანცხადებო უჭრედებს შორის დავინახე ერთადერთი სახელი – გრიგოლ

ალექსანდრეს ძე კალანდაძე! მეუღლე... შვილი... ძმა... დები... მეგობრები... ღრმა მწუხარებით... მგონი ათჯერ წავიკითხე ეს სიტყვები, მერე ხაზები და ასოები აიძვრა, ერთმანეთში აირია, დატრიალდა და გაერთიანდა ერთ დიდ წვეთში, რომელიც ჩუმად და ტკივილით დაეცა გაზეთის ქაღალდს...

მხოლოდ ცხრა წლის ვიყავი...

მაღალი იყო მამა, თხელტანა, ძლიერ-მხრებიანი... საფეთქლებთან შეთეთრებული



მამაჩემი გრიგოლ (გრიშა) კალანდაძე
18 წლის, ციმბირში გადასახლებამდე
რამდენიმე დღით ადრე

ხორბლისფერი თმა და ხაკისფერდაკრული მწვანე თვალები ჰქონდა (ჟღენთების ფერები გამომყვავო, ამბობდა თურმე ხშირად). ლალი სიცილი იცოდა, გემრიელი, შესანიშნავი მომღერალი იყო, კიდევ უკეთესი მოკრიმანჭულე.



დედა და მამას „საქორწინო“ ფოტო, ყაზახეთი

კლასიკური გურული – ჩქარი, ფიცხი, მაგრამ ჩვილი, უზომო სიკეთით სავსე გულით, რომელიც უამრავ სიყვარულს იტევდა. ჩოხატაურში დაიბადა და გიჟდებოდა იქაურობაზე. გადასახლებიდან (იქ რა უნდოდა? მერე გეტყვით) ჩამოსულმა საკუთარი ხელით ააშენა ოდა ძველი სახლის საძირკველზე, ჯიშინი თხილი ჩაუყოლა სუფსისკენ მიმავალ ბილიკს, რცხილები დარგო, მის ფესვებში ჩაყრილ ქვევრებში განსაკუთრებული გემო ეძლევა „ადესასო“, უდიდესი ცაცხვის გაყოლებაზე ხვიარა ვარდების ღობე შემოავლო ეზოს, ბუკისციხის ტყეში მოჭრილი ბებერი წაბლისგან საწნახელი გამართა, „კაცისთავა“ მსხლის ხის უკან „შავი ვაშლის“ ხეები ჩაამწკრივა და ძველი „ქუხნა-სახლიც“ შეაკეთა.

ამ განსაკუთრებულ სიყვარულს ბავშვობიდან გამოყოლილი მონატრება აძლიერებდა. ჯერ იყო და, შვიდ წლამდე სოფელ ჯვარცმაში იზრდებოდა, ბოლქვაძეებში, ახლავე მოგახსენებთ რატომ: ჩვენი ოჯახის სახლიკაცი და შეუცვლელი დამხმარე, რვა გოგოს მამა იასონ ბოლქვაძე, მეცხრე შვილს ელოდებოდა, ბებიაჩემი კი მამაჩემზე ყოფილა ფეხმძიმედ. სად იყო მაშინ ექოსკოპია და ჰოროსკოპია. დაიბადებოდა ადამიანი და მიუყვებოდა თავისი ცხოვრების გზას. წინასწარ რა

იცოდნენ, ვინ გაჩნდებოდა. ჰოდა, ვაჟის მახარობელი თოფის გასროლა რომ ვერა და ვერ ეღირსა იასონს, ჩვენებისათვის უთხოვია, თუ ბიჭი გეყოლათ და მე ისევ გოგო, სკოლის ასაკამდე მაინც გამაზრდევინეთ, ცივ წიავს არ მივაკარებ, პელაგოს (მისი ცოლის) დედური მზრუნველობის გარდა, უფროსი გოგოებიც ძმასავით იყოლიებნო. ჩვენების ოჯახში ორი ბიჭი და სამი გოგო უკვე იზრდებოდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა ასეთი სერიოზული გადაწყვეტილების მისაღებად. დაფიქრდნენ...არც ბებიაჩემი გულნარა ჟღენტი იყო თავადის ასული და არც ბაბუაჩემი ალექსანდრე იზრდებოდა ფუფუნებაში და ძიძებში, მაგრამ ჩვენი ოჯახის მოყვარული და ერთგული იასონისთვის დიდი ხნის ნატვრის ასრულება კეთილ საქმედ მიიჩნიეს და დათანხმდნენ, თუ ბიჭი გაჩნდებოდა, მისთვის პელაგოს გაენია ძიძობა. განგებამაც ასე ინება და მამაჩემი მოუვლინა ქვეყანას, ბოლქვაძეებს კი მეცხრე გოგო მართა აჩუქა. ასე, მის დაუკითხავად გადაწყდა გრიშას - ასე ეძახდნენ მამაჩემს - ბედი, რომელსაც იგი შვიდ წლამდე არანაირად ემდუროდა დედობილ-მამობილისა და შეძენილი დების ზრუნვა-სიყვარულით განებივრებული.



ქართველები ერთ-ერთი გადასახლებული ქართველის საფლავზე ყაზახეთში. ყიზილყუმი 1952 (?) წელი

კალანდაძეებში დაბრუნების დროც მოვიდა. დედ-მამამ გულში ჩაიკრა მონატრებული ბიჭი, და-ძმებმა იუცხოვეს ცოტა. უფროსმა ძმამ შალიამ კი თავიდანვე დაიმეგობრა. ერთად თამაშობდნენ, ერთად სწავლობდნენ და კითხულობდნენ, მიუხედავად ასაკობრივი


სხვაობისა, მეგობრებიც საერთო ჰყავდათ, რომელთან ერთადაც ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი ეზოს ცაცხვის ძირში, ბჭობდნენ, კამათობდნენ. გრიშა ხვდებოდა, რომ შალია და მისი თანამოაზრე ახალგაზრდები რაღაც დინების სანინალმდეგოდ იყვნენ განწყობილი, მაგრამ ასაკი და ცოდნა არ ყოფნიდა კარგად გარკვეულიყო ვითარებაში. უფროსი ძმა და მეგობრები მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ მის ჩათრევას ფედერალისტურ ვნებათა ღელვაში.

სირთულეები არ აშინებდა. ინტერესიანი და მიზანდასახული რომ იყო, მის სპორტულ ჟინშიც ჩანდა. შესანიშნავად თამაშობდა ლელობურთს და სულ რაღაც თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭს გულშემატკივრები ჰყავდა მთელს გურიაში. მაგრამ ლელობურთი რა მოსატანია იმ დიდ გატაცებასა და სიყვარულთან, რასაც ფეხბურთი ჰქვია. იმხანად ფოთი გახლდათ ამ სპორტის სული და გული საქართველოში. ინგლისელი მეზღვაურების სპორტული „ავტოგრაფით“ მონუსხული დიდი და პატარა ამ ჯადოსნურ თამაშზე ლაპარაკობდა და რა გასაკვირი იყო, რომ მამაჩემიც მასზე ოცნებით იძინებდა და იღვიძებდა. ჩოხატაურელ ბიჭებთან ბურთის დევნას არაფერი ერჩივნა, მაგრამ იცოდა, ფოთში სულ სხვა საფეხბურთო ცხოვრება ჩქეფდა და იქით მიუწევდა გული. თან ყურმოკრული ჰქონდა, იმ ქალაქში ერთი ონჭიქეთელი (სოფელია ჩოხატაურის რაიონში) ბიჭი ცხოვრობს, ბორია პაიჭაძე, ჯერ მიწას არ ასცილებია და მისმა თამაშმა გადარია დუნიო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, შალიამ აუსრულა ოცნება გრიცკოს (და-ძმები ასე ეძახდნენ მამას) და წაიყვანა ფოთში. ერთ შეხვედრაში ათამაშეს მამაჩემი „გასასინჯად“ და მოიწონეს კიდეც. იქ ბორიაც გაიცნო და ჩოხატაურელობით შეგულიანებულებს ერთხელ ერთადაც „უჩვენებიათ კლასი“, თუმცა მამა ბორიაზე ექვსი წლით უფროსი იყო. ერთ-ორ წელიწადში გელოდებით ახალგაზრდულ ნაკრებში აგიყვანთ, მანამდე კი ვარჯიში არ შეწყვეტოთ, დაურიგებიათ მამა.

ეკ, ერთი-ორი წელიც გავიდა და სამი-ოთხიც, მაგრამ ფოთი და ფეხბურთი ისევ ოცნებად დარჩა და ამჯერად სამუდამოდ... ჩვენი ოჯახი ათასი თვალისა და ყურის ინტერესის საგნად იქცა, ბოსტანში ჩასვლაც აღრიცხული ჰქონდათ ქვეყნის კეთილდღეობის „დამცველებს“

. მიზეზი საბჭოური მართვა-წყობილების არმალარებელი შალიას ემიგრაცია გახლდათ. ანკი რალა დააკავებდა ქვეყანაში, სადაც ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდა უსამართლობას, უგულობას, დალატს და არაკაცობას, სადაც მამა მოუკლეს ბურუსით მოცულ ვითარებაში და პასუხად მუქარა მიიღო...

წავიდა შალია საფრანგეთში და თან წაიყოლა მამაჩემის ახალგაზრდობა, მომავალი და ოცნებები... „შალიას კუდიაო“, სიყვარულით ამბობდნენ მამაზე ნათესავ-ახლობლები. მაგრამ ეს ზედმეტსახელი მალე ჩაანაცვლა უმძიმესმა ორმა სიტყვამ - „ხალხის მტერი“, რომელიც ოც წელზე მეტი ჰქონდა საპალნესავით ზურგზე მოკიდებული.



მამიდაჩემი ქეთევან (ჩიტო)
კალანდაძე, ცნობილი პედიატრი,
რომელსაც 1937-ში ქმარი დაუხვრიტეს
და მერე თვითონ გადაასახლეს ორ
შვილთან ერთად ყაზახეთში

ციმბირის გულაგები გაუხადეს მისამართად, „ლაგერებში“ აჯახირეს, დამპალ შახტებში აძრომიალეს... ერთხელაც ჩაინგრა ის დაწყევლილი, მაგრამ მიწიდან მაინც ამოძვრა ფეხმოყინული (ბედის ირონიაა, აბა სხვა რა ჰქვია ამას?)... სიცოცხლე უყვარდა და არ აცლიდნენ ამ სიყვარულს; გადარჩა, ჩამოვიდა და მალევე ყაზახეთის გზას გაუყენეს ახლა უკვე დედასთან, დებთან და დისშვილებთან ერთად. ვორკუტის ყინვები ყიზილყუმის ხვატებმა ჩაანაცვლა... ერთი საყვადური არ



შალვა (შალვა) კალანდაძე, რომლის საფრანგეთში ემიგრაციის გამო ციმბირში, ვორკუტაში გადაასახლეს (13 წელი დაყო) მამაჩემი და მერე ყაზახეთში ჩემი ბებია, უფროსი მამიდა, უმცროსი მამიდა ორი შვილით და ისევ მამაჩემი

დასცდენია პარიზის ქუჩებში მოსეირნე ძმის მისამართით. ამდენი დავიდარაბა ვერ მოერია მის კაიკაცობას, რაც შუა აზიის უდაბნოებში გადასახლებულ ქართველებს არ გამოჰპარვიათ, განსაკუთრებით კი ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც თავის დედ-მამასთან ერთად იყო გამწესებული მეზობელ „კოლხოზში“.

ეს დედაჩემი იყო.

დედა განსაკუთრებულად ვერ იტანდა ორ ხმას: კარზე ძლიერად და გამეტებით დარეკილ ზარს და დანა-ჩანგლის ჩხაკუნ-ზრიალს. ყველას თავისი ამოჩემება აქვსო, უცებ გაიფიქრეთ ალბათ, მაგრამ ეს ის „ამოჩემებული“ ხმებია, რომელმაც მრავალი ოჯახის მყუდროება დაარღვია 1951 წლის 25 დეკემბერს. დიახ, ვარაზის ხევში, „უდელის“ ღვინის ქარხნის დასახლებაში, შუალამისას წითელი აგურის ერთი ლამაზი სახლის კარი ბრახუნით დახელისზარისუნყვეტი, ისტერიული ტრიალით „ჩამოიღეს“ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა იმის საუწყებლად, რომ ალექსი ფეიქრიშვილი თავისი ცოლ-შვილითურთ „განყოფილებაში“ უნდა გამოცხადებულიყო რამდენიმე უბრალო კითხვაზე პასუხის გასაცემად. საბუთების მოძებნაში დაგეხმარებით, რომ დავაჩქაროთ, სხვაგანაც მისასვლელები ვართო, შესთავაზეს კეთილად და დაიწყეს „ძებნა“ კომოდში, გარდერობში, ქურჭლის კარადაში, დანა-ჩანგლის უჯრაში... უი, ამ ვერცხლის ნივთების სიძველესაც

დავადგენთ, თან წამოვიღოთო, აღარ ჰქონდა საზღვარი მათ სიკეთეს...

რკინიგზის სადგურში ძალდი პატრონს ვერ ცნობდა. გაპოხილ-ჩაშავებულ სატვირთო ვაგონებს ურჩხულის ხახასავით ჰქონდათ დაღებული კარები, რომლებიც გაუმაძღრად ნთქავდნენ გაურკვეველი ჩინის სამხედროფორმიანების მიერ „მსხვერპლად შეწირულ“ ადამიანებს. ატირებული, გაოგნებული, ჩაფიქრებული, მოტყუებული, მწარედ გაღიმებული სახეები გარედან ურდულგაყრილი კარის მიღმა ქრებოდა...

მძიმედ დაიდრა მატარებელი, თითქმის მასაც კი უჭირდა ამ „ტვირთის“ დაძვრა... ვაგონებში საქონელივით შეყრილი „ხალხის მტრების“ ოხვრა-გმინვა და ტირილის ხმა ბორბლების გრუხუნში იკარგებოდა... დედა, ბებია და ბაბუა ერთ კუთხეში მიკუჭულიყვნენ უბრად. დეკემბრის დაუნდობელი სიცივეც კი ვერ ერეოდა უზომო ტკივილს და შეურაცხყოფას...

- კიდევ კარგი, გავიგეთ, რომ ვახტანგი ცოცხალია და მუშაობაც დაუწყია. გერმანულის ცოდნა ალბათ უფრო უადვილებს იქ ცხოვრებას... - ფიქრში აჯერებდა საკუთარ თავს დედა და გულის კუნჭულში უხაროდა კიდევ, რომ არ დაბრუნდა ერთადერთი ძმა, რომელიც, ვინ იცის, რა უბედურებას გადაეყრებოდა ტყვეობაგამოვლილი... - დედა და მამაზე ვდარდობ, როგორ გაუძლებენ ამდენ დარდსა და საშინელებას?... ეს გზაც რომ არ მთავრდება... უსასრულობამდე ხომ არ ვივლით, ოდესმე სადმე ხომ მიგვიყვანს ეს წყეული მატარებელი... მერე ვნახოთ...

ვაგონის ფიცრების ღრიჭობიდან უკიდევანო წყალი დალანდეს, მდინარე ვოლგააო, ვიღაცამ თქვა, მერე კასპიის



დედაჩემი ქეთო ფეიქრიშვილი ყაზახეთში, 1951 წელი.

ზღვასაც გასცდნენ... მატარებელი დაჟინებით მიეჟანებოდა აღმოსავლეთისაკენ...

ყაზახეთის ჩრდილოეთი მხარის ათვისება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრამა იყო და მაშინდელი რეჟიმი უკეთესს რას მოიფიქრებდა თუ არა ამ ტერიტორიებზე ხალხის იძულებით გადასახლებას? ბამბის პლანტაციებში მუდმივად მუშახელის უკმარისობა იყო, ადგილობრივების უმრავლესობას ქლექი ჭამდა, თავისი ნებით კი ვინ ჩავიდოდა საცხოვრებლად იმ ჯოჯოხეთში? ჰოდა „ხალხის მტრები“ და ტყვეები მისწრება იყო ამ საქმისთვის...

მიწურში ცხოვრობდნენ, წყალი მოჰქონდათ არხიდან, რომელშიც ვირები და აქლემებიც იგრილებდნენ ქვიშისგან გადახურებულ ჩლიქებს და ნასიამოვნები, რა თქმა უნდა, ბუნებრივ მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებდნენ. იქ „მცხოვრები“ ადამიანები კი ამ წყლად წოდებულ საზარელ სითხეში „რეცხავდნენ“ თუ რაიმე ებადათ. დალევითაც ეს უნდა დაელიათ, რისთვისაც რამდენჯერმე ადულებდნენ. ამას კი შეშა სჭირდებოდა, რომელიც „მეზობელი“ დასახლების ბაზარში იყიდებოდა, იქამდე კი რამდენიმე კილომეტრი იყო გასავლელი გველებიან უდაბნოში...

შეშის მოტანაში დაეხმარა ერთხელ მწვანეთვალემა ახალგაზრდა. მარჯვენა ფეხით კოჭლობდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა დიდი ტვირთის ზიდვაში... „სახლში“ შეიპატიჟეს ქალიშვილის პატივისცემელი, რომელმაც მალე დაღამება მოიმინებუა და თავისი დასახლებისკენ გაეშურა გულდამძიმებული. მთელი გზა ერთადერთი ფიქრი უტრიალებდა, როგორ გამოეყვანა ამ საშინელი მიწურიდან ეს ჩუმი, მორიდებული გოგო, რომლის სევდიანი სახეც კარგა ხანია მოსვენებას არ აძლევდა... ერთ დღესაც გაიგო, რუსულის მასწავლებელი სჭირდებათ სკოლაშიო...

სამსახურს „უკეთეს“ დასახლებაში გადასვლა მოჰყვა. „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო“, ხომ თქვა ოდესღაც ქართველმა და ამ ანდაზის შესაბამისად განაგრძეს ცხოვრება. „ის ბიჭიც“ გახარებული იყო, თავისთან ახლოს რომ დაიგულა „ის გოგო“ და მალე მათ საერთო არქივში „ვრავ ნაროდას“ და ათასი საზიზღარი საბუთ-ქაღალდის გვერდით



ვახტანგ ფეიქრიშვილი,
დედაჩემის ძმა,
რომელიც გერმანიაში
ემიგრაციის
გამო ყაზახეთში
გადაასახლეს ჩემი
ბებია, ბაბუა და
დედა. დაკრძალულია
ბავარიის.

გაჩნდა ერთი მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, კეთილისმანუწყებელი დოკუმენტი:

HEKE ТУРАЛЫ КҮЕЛІК ანუ ქორწინების მოწმობა ყაზახურ ენაზე, რომელშიც სამელნეში ჩანობილი კალმით, რუსულ ენაზე „ნაწილებით“ ეწერა:

კალანდადზე გრიგორი ალექსანდროვიჩი
პეიკრიშვილი გუგული ალექსეევნა

არადა, ქეთევანი ერქვა. ორივე სახელს შეჩვეული იყო და მაინცდამაინც არ მოუკლავს თავი შესწორებისთვის, იმდენი სხვა პრობლემა ჰქონდა თავსაყარად. იმ ვითარებაში ან კი ვინ დაგიდევდა ასეთ კაზუსებს. დედა იტყოდა ხოლმე, შვიდი სახელიც რომ მერქვას, ვერც ჩემს ქართველობას გადამათქმევინებენ და ვერც ჩემი ქვეყნის სიყვარულს წამართმევენო.

დედას და მამას „ქორწილიც“ კი ჰქონიათ ყაზახურ-გადასახლებური და ბებიაჩემს ოქროს გულსაბნევის ჩუქებაც მოუხერხებია რძლისთვის (პამირის მთების ცეცხლოვანი ოპალისთვლიანი ეს გულსაბნევი დღეს ჩემი კუთვნილებაა და თვალის ჩინივით ვუფრთხილდები). მოკლედ, ერთ ბედქვეშ მყოფები ერთ დიდ ოჯახად გაერთიანდნენ, რამაც ჩემს ბიოგრაფიაში შემოიყვანა რეპრესირებული ცხრა სული: ბებია(მამაჩემის დედა), ორი მამიდა (აქედან, უმცროს მამიდას ქმარი დაუხვრიტეს ოცდაჩვიდმეტში), ორი მამიდაშვილი, ბებია და ბაბუა (დედას მშობლები) და, რა თქმა უნდა, დედაჩემი და ჩემი მამა, რომელიც მანამდე იმ დაწყევლილი ოცდაჩვიდმეტის რეპრესიების წყალობით ცამეტი წლით იყო გადანასახლები ქვეყნის დასალიერში, ციმბირი რომ ჰქვია სახელად. აღარაფერს ვიტყვი ტრაპიზონში „შემთხვევით“ მოკლულ ბაბუაზე...

კარგით ახლა, რა შეიცხადეთ, დრო იყო მაშინ ასეთი! ■



ირაკლი ლაითაძე

თანამედროვეობის ილუზია

ნაწილი 2: კომფორტის ზონიდან გასვლა

*Stress is caused by being here
but wanting to be there.*

Eckhart Tolle

სტრესი გამოწვეულია აქ ყოფნით,
როდესაც გინდა იქ ყოფნა.

ექჰარტ ტოლე

დღეს ვაგრძელებ ჩემს წინა ბლოგში დაწყებულ თემას თანამედროვეობის ილუზიების შესახებ. წინა ბლოგი ეხებოდა წარმატებას და მის ილუზორულობას. იმას, რომ საბოლოოდ, დღის ბოლოს, წარმატება დიდი ტყუილია. მოკლედ შეგახსენებთ ზემოხსენებული ბლოგის ფრაგმენტს: „იქ, სადაც ითქმება - წარმატებული ადამიანი - იქვე იგულისხმება, რომ არიან სხვები, წარუმატებლები. ჩემთვის მიუღებელია სოციალური დარვინიზმი. შესაბამისად, არ ვფიქრობ, რომ მართებულია ადამიანების ასეთი დაყოფა. ძალიან ხშირად ეს იარლიყი მძიმეა „წარუმატებლებისთვის“ და ტოქსიკურად მათობელია „წარმატებულებისათვის“. საკუთარ თავსა და საკუთარ ზომაზე მორგებული წარმატება გროტესკულია. ფუნდამენტურ დონეზე ჩვენ ყველანი თანასწორები ვართ. რაც მოგახსენეთ, მხოლოდ ჩემი აზრია. Als ich kan.“

წინამდებარე ბლოგში კი ვეცდები ასევე დავასაბუთო, რომ კომფორტის ზონიდან გასვლაც ასევე ილუზორულია.

რა არის კომფორტის ზონა? Merriam-Webster-ის (მერიამ-ვებსტერი) ლექსიკონის მიხედვით: “Comfort zone is the level at which one functions with ease and familiarity” - „კომფორტის ზონა არის ის დონე, სადაც ადამიანი ნაცნობ

გარემოში იოლად ფუნქციონირებს.“

დასავლეთის ბიზნეს- და არამარტო ბიზნეს, წრეები წალეკილია შეგონებებით: „გამოდით თქვენი კომფორტის ზონიდან“, „წარმატება იწყება კომფორტის ზონის გარეთ“, „თქვენ იზრდებით მხოლოდ კომფორტის ზონის მიღმა“ და ა.შ. იგივე ტენდენცია საკმაოდ შესამჩნევია საქართველოშიც.

ჩემთვის მოწოდება კომფორტის ზონიდან გასვლის შესახებ და იქიდან საოცნებო მწვერვალებზე ასვლა (ამ პროცესის თანმხლები სელფების კასკადით) ეფუძნება ფუნდამენტურად არასწორ წინაპირობებს. კერძოდ, ადამიანებს by default აქვთ ამბიციების განსხვავებული დონე, სხვადასხვა ინტერესი, მიზნების დასახვის და მიღწევის თავისებური მეთოდები. ასეთ დროს არ არსებობს სწორი და არასწორი. ზოგს მწვანე ფერი მოსწონს და ზოგს - ლურჯი, რომელი მათგანია მტყუანი? არცერთი. ზუსტად ასევეა მიზნების დასახვისა და მიღწევის გზებიც. ზრდასრული ადამიანი თვითონ გადაწყვეტს, რა და როგორ უნდა მას. შესაბამისად, ჩემი აზრით, არ არის საჭირო თვითდანიშნული განმანათლებლებისგან, ე.წ. „წარმატებული ადამიანებისგან“ და ჭკუის დამრიგებლებისგან ზედაპირული რჩევების მოსმენა და მათი ცხოვრებით აღფრთოვანება.

ამაზე ერთი წუთიც არ უნდა დაიხარტოს. გარდა ამისა, ძალიან ხშირად ზემოხსენებულ მენტორებს თავიანთივე არასრულფასოვნების კომპლექსები აქვთ მოსავლელი და, ასევე,

გამბედავები და გმირები არ არიან სცენაზე, იქ მხოლოდ გამბედავების და გმირების კარიკატურებია.

ძალიან ხშირად ისინი მაყურებელს/მსმენელს აჩვენებენ/ასმენინებენ თავიანთი საქმისა და ცხოვრების რეალობისგან საკმაოდ დაცილებულ, კოსმეტიკაგადავლებულ ფასადს.

სავარაუდოდ, კომფორტის ზონიდან გადიან, ძირითადად, 2 შემთხვევაში და, რეალურად, ესეც კი ასე არ არის. მივყვით. პირველი ვარიანტი, როდესაც დასაკარგი არაფერი დარჩა და მეორე ვარიანტი, ამ კომფორტის ზონის მიღმა ყოფნა შეიძლება სასიამოვნოა - ის, რაც შეიძლება ერთისთვის მძიმე ტვირთი იყოს, მეორისთვის მსუბუქი აღმოჩნდეს. გამოდის, რომ ზემოხსენებული არც პირველი და არც მეორე ვარიანტი არ არის კომფორტის ზონიდან რეალური გასვლა - ერთი იძულებულია, ასე მოიქცეს, რადგან მას არაფერი აქვს დასაკარგი და მეორისთვის ეს სასიამოვნო საქმეა. ამავე დროს, ორივე შემთხვევა მაყურებელს/მსმენელს მიეწოდება, როგორც რაღაც საგმირო საქმე. პრობლემა ის არის, რომ გამბედავები და გმირები არ არიან სცენაზე, იქ მხოლოდ გამბედავების და გმირების კარიკატურებია.

საკუთარ თავში ექსპედიციას ვერ შეედრება პროფესიული ზრდა თუ გეოგრაფიული მოგზაურობა.


გვინდა რეალურად ახლის გაგება და აღმოჩენა? მაშინ უკან, მომავლისკენ! ანტიკური ბერძნების მაქსიმაა ὕψις σεαυτὸν (შეიცან თავი შენი). სანამ სხვას რაღაცას მივუთითებთ, ალბათ სჯობს, ჯერ საკუთარი თავის გაუმჯობესებაზე ვიმუშაოთ. სწორედ „შეიცან თავი შენი“ არის ეს გზა, ეს არის კომფორტის ზონიდან რეალური გასვლა: რადგან მძიმე და უსიამოვნო საკუთარი თავის ბნელი მხარეების ძებნა, აღმოჩენა, აღიარება

და მერე მათთვის თვალის გასწორება. თუ მოვახერხებთ და საკუთარი სულის (ფსიქიკის, გონების, აზრების - რაც გინდათ, ის დავარქვათ) ანატომიური კვეთა ბოლომდე გავაკეთებთ - მაშინ ალბათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გავიცანით მსოფლიოს თითქმის ყველა ადამიანი, მათი სურვილები და ვნებები. ჩემი გამოცდილებით გეტყვით, რომ საკუთარ თავში ექსპედიციას ვერ შეედრება პროფესიული ზრდა თუ გეოგრაფიული მოგზაურობა.

დასასრულისთვის კი გავიხსენოთ, რომ იმანუილ კანტს თავისი 79-წლიანი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელაც არ დაუტოვებია მშობლიური ქალაქი კენიგსბერგი და მაინცდამაინც არც კომფორტის ზონიდან გასვლა ადარდებდა. ამას არ შეუშლია ხელი, რომ იგი გამხდარიყო მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე. კანტი იმ გიგანტების რიგიდან არის, რომელთა მხრებზეც დგას კაცობრიობა და რომლის აზროვნების მასშტაბის გასააზრებლად მისი ერთი ნათქვამიც კმარა: „Zwei Dinge erfüllen das Gemüt mit immer neuer und zunehmender Bewunderung und Ehrfurcht [...], Der bestirnte Himmel über mir und das moralische Gesetz in mir.“ „ორი რამ უფრო და უფრო მივსებს გონებას გაცეებით და ძრწოლით, [...] ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემ ზემოთ და მორალური კანონი ჩემში.“ ■







ჟურნალში გამოყენებულია შამილ შუგაევის და
ივანე გოლიაძის ფოტოები

ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილებში გამოთქმული
მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება,
არ გამოხატავდეს „ახალი ივერიის“ რედაქციის პოზიციას.



**ჭავჭავაძის
ცენტრი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
კვლევებისა და საზოგადოებრივი განათლების ცენტრი



**FRIEDRICH NAUMANN
FOUNDATION** For Freedom.
South Caucasus



Auswärtiges Amt



ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
www.akhaliiveria.ge

2025 ივნისი, № 2(9)
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის № 20
0108, თბილისი, საქართველო

© ჭავჭავაძის ცენტრი, 2025



www.akhaliiveria.ge



ახალივერია

ISSN 2720-8729



9 772720 872007

